პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

# კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

პარასკევი, 4 დეკემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 279 (1434)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღიური

- ჩან-ძო-ლინმა თავი მოაკვეთინა გო-სუნ-ლინის ნათესავს, რომლებიც მძევლებად ჰყავდა.
- რაკოში და მისი ამხანაგები კვლავ მისცეს პასუხისგებაში.
- პალესტინა—სირიის კომიტეტი მოითხოვს საფრანგეთის ჯარების გაყვანას სირიიდან.
- ოსმალეთის მიწათმოქმედების კომისარი საბრი-ბეი მიიღო რიკოვმა.
- ხარკოვში ჩავიდა უცხოელ მელითონეთა დელეგაცია.

## ა.-კავკ. კომუნისტური ორგანიზაციების მე-4 ყრილობა

გაიხსნება

5 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, სახელმწიფო ოპერის თეატრში

### დღის წესრიგი:

1. რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ანგარიში
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში
3. რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის ანგარიში
4. მორიგი ამოცანები მრეწველობის განვითარების დარგში
5. პარტიის ამოცანები სოფლად
6. პროფკავშირების შესახებ
7. ა. ლ. კ. კ. შესახებ
8. პარტიის საოლქო ორგანოების არჩევნები.

რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო
კომიტეტის მდივანი ორჯონიკიძე.

## პარტყრილობის რეზოლუცია

გაზეთის დღევანდელ №-ში ვათავსებთ პარტყრილობის რეზოლიუციას ამხ. კახიანის მოხსენების გამო ცეკას მოღვაწეობის შესახებ. ყრილობა „ცნობს ცეკას პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს სწორად და ჩატარებულ მუშაობას სრულიად დამაკმაყოფილებლად",—ვკითხულობთ ამ რეზოლიუციაში.

ყრილობის დამოკიდებულება ცეკას საანგარიშო მოხსენებისადმი ოდნავათაც არ ყოფილა ისეთი, როცა მოხსენებებს თუ გადაწყვეტილებებს მხოლოდ „ცნობად იღებენ" და „ამტკიცებენ" საკითხების ფართოდ განხილვის გარეშე. ცეკას მოხსენების გამო გაიმართა ფრიად გაცხოველებული და საინტერესო კამათი, რომელსაც ორ სხდომაზე მეტი მოუნდა. ამგვართ აზრთა გაცვლა-გამოცვლამ, კამათის დროს წამოყენებულმა კრიტიკამ, ერთხელ კიდევ ნათელჰყო, რომ შინაპარტიული დემოკრატია ცარიელი სიტყვა კი არ არის, არამედ ნამდვილად ტარდება ცხოვრებაში. დელეგატებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ყველა იმ მთავარ საკითხების გაშუქებაში, რომელნიც წამოჭრილია ჩვენს წინაშე. მათ გულდასმით გაარკვიეს ჩვენში არსებული მდგომარეობა, საფუძვლიანად შეაფასეს ყველა მიღწევები და ნაკლულევანებანი. ყრილობაზე გამოაშკარავდა, თუ როგორ საგრძნობლად გაიზარდა პარტიის წევრთა პოლიტიკური შეგნება და თვითმოქმედება. ცეკას მოღვაწეობის მოწონება სწორედ შედეგია მდგომარეობის შეგნებული და სწორი შეფასების.

ყრილობა სხვანაირად ვერც მოიქცეოდა. მიღწევები ყოველ დარგში მეტად თვალსაჩინოა. „ანტისაბჭოთა პარტიების დაშლა საქართველოში და მტკიცე გარდატეხა გლეხთა ფართო მასების სულიერ განწყობილებაში საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ", ასეთია ჩვენი სინამდვილის მჭერმეტყველური ფაქტი, რაც კიდეც აღნიშნა ყრილობამ თავის რეზოლიუციაში. ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად არ მომხდარა. ეს შედეგია სწორი პოლიტიკისა ეროვნულ საკითხის და სამეურნეო-კულტურულ პრობლემების გადაჭრაში, რასაც აგრეთვე ხაზი გაუსვა ყრილობამ.

ამხ. კახიანმა სრული სურათი გადაუშალა ყრილობას ცეკას ნაციონალური პოლიტიკისა საქართველოს პირობებში, ჩატარებულ სამეურნეო-კულტურულ აღმშენებლობისა, მოახსენა მას იმ მიღწევების შესახებ, რომლებიც გვაქვს პარტიის ეხლანდელი ამოცანების განხორციელების დარგში. ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ერთა მეზობლურ ურთიერთობის განმტკიცება, თვითეულ ეროვნულ უმცირესობის უფლებების და ინტერესების სრული დაცვა, ანტისაბჭოთა ორგანიზაციების დარღვევა, სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის შეუჩერებელი აღორძინება-გაფართოვება, მუშის და გლეხის ნივთიერ და კულტურულ დონის ამაღლება, საბჭოების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების გამოცოცხლება, გლეხების აქტივობის გაშლა, საბჭოთა დემოკრატიის გატარება, პროფკავშირების მუშაობის გამოცხოველება და მრავალი სხვა,—აი საითკენ იყო მიმართული ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს მთელი ყურადღება. ყრილობამ ყველაფერი ეს გაითვალწინა და ერთხმად მოიწონა ცეკას მოღვაწეობა.

ამხ. კახიანის მოხსენების გარშემო გამართული კამათის ერთ-ერთ მთავარ ღერძს ნაციონალური საკითხი წარმოადგენდა. თითქო უცნაურია, რომ საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის მიწურულზე ეს საკითხი ასეთი სჯა-ბაასის საგანი შეიქნა. საქმე ის არის, რომ ნაციონალურ ურთიერთობათა დარგში მენშევიკებისაგან ჩვენ მეტად მოწამლული და მძიმე მემკვიდრეობა მივიღეთ. ამ მემკვიდრეობის სავსებით აღმოფხვრა შეუძლებელი იყო მოკლე ხნის განმავლობაში. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთი ადგილობრივი მომუშავე კომუნისტებიც წამოეგნენ წვრილბურჟუაზიულ ნაციონალიზმის ანკესზე. მათ ვერ მოახერხეს სწორი დამოკიდებულების დამყარება ზოგიერთ ეროვნულ უმცირესობებთან და ყოფა-ცხოვრების და კულტურის პირობებით განსხვავებულ მოსახლეობასთან (ცეკამ დროულად მიიღო მიზანშეწონილი და გადაჭრილი ზომები ამ არა ნორმალური მოვლენის აღმოსაფხვრელად. რამაც შესაფერი ნაყოფიც გამოიღო. ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებულ ყოველგვარ გაუგებრობას ბოლო მოეღო როგორც ამა თუ იმ პარტორგანიზაციაში, ისე საქართველოში მოსახლე ერთა ურთიერთ დამოკიდებულებაში. პარტყრილობაზე ამ მხრივ გამოაშკარავდა აზრების სრული ერთსულოვნება და საქართველოს ხალხთა მტკიცე სოლიდარობა.

დიდი ყურადღება მიიქცია ყრილობაზე აგრეთვე სოფლის საკითხმა. აქ მთავარისა ყურადღება ეთმობოდა პარტხელმძღვანელობის ამოცანებს. ერთმა ამხანაგმა განაცხადა: „დღეს შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როდესაც ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა იციან რა არ უნდა ქნან, მაგრამ არ იციან ის, თუ რისი გაკეთების უფლებაც მათ აქვთ. რათქმა უნდა იმის ცოდნაც, თუ რა არ უნდა გაკეთდეს, დიდი მიღწევაა. აქედან მცირე ნაბიჯია იმის შეგნებისაკენ, თუ რა უნდა გაკეთდეს. სოფლად პარტხელმძღვანელობის გაძლიერება გლეხობის აქტივობის და თვითმოქმედების ზრდასთან დაკავშირებით, ამ მხრივ პარტიის გადაწყვეტილებათა შესისხლხორცება პარტიის თვითეული წევრის მიერ,—ეს ჩვენი ძირითადი ამოცანაა. ამ მხრივ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს მიერ დიდი მუშაობაა ჩატარებული. ეს მუშაობა უფრო უნდა გავაღრმავოთ მომავალში.

ცენტრალურ კომიტეტის მოხსენების გარშემო გაჩაღებულმა კამათმა ცხადჰყო, რომ უკვე მიღწეულ შედეგების ნიადაგზე, პარტია წარმატებით გადასჭრის როგორც ამ, ისე ყველა სხვა საჭირბოროტო საკითხებს, რომელთაც აყენებს მიმდინარე სინამდვილე.

ყრილობამ გამოაჩინა პარტიის რიგების სიმჭიდროვე და ერთსულოვნება. ერთი ნებისყოფით და აზრით გამსჭვალული ჩვენი პარტია მომავალშიც გადალახავს ყველა სიძნელეს და ქვეყანას წაიყვანს ახალ-ახალ გამარჯვებისაკენ.

## გერმანიის სოციალ-დემოკრატია და საბჭოთა კავშირი

დღევანდელი გაზეთიდან მკითხველი გაეცნობა რეიხსტაგში (გერმანიის პარლამენტი) გერმანია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ გამართულ კამათის მოკლე შინაარსს. სოციალ - დემოკრატიული პარტიის სახელით გამოვიდა ბ. ბისელი, რომელმაც განაცხადა: „სოციალ-დემოკრატები მისწრაფვიან საბჭოთა კავშირთან სამეურნეო ურთიერთობის განმტკიცებისაკენ, მაგრამ არ შეუძლიათ უცქირონ საბჭოთა კავშირს, როგორც მსოფლიო სოციალიზმის ცენტრს. ინგლისის იმპერიალიზმს უპირისპირდება რუსეთის იმპერიალიზმი" (?!). მთავარ დაბრკოლებას საბჭოთა კავშირთან სამეურნეო დამოკიდებულების განვითარებისათვის ბისელი ხედავს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაში.

ბისელებს, რათქმა უნდა, ვერ მოვთხოვთ, რომ მათ ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფო აღიარონ მსოფლიო სოციალიზმის ცენტრად. ეს იქნებოდა მათი მხრივ თავის-თავის გამოთრახება. პირიქით, ისინი იმთავითვე არაფერს ზოგავენ, რომ რაც შეიძლება უფრო შავი საღებავებით დაუხატონ მუშათა კლასს საბჭოთა რეჟიმი, რომ ასით დაფარონ თავისი გამცემლობა, ღალატი სოციალიზმის საქმისადმი, შეინარჩუნონ თავისი გავლენა მასსაზე, ხელი შეუშალონ ევროპის პროლეტარიატის დაახლოვებას ჩვენთან, მისი სიმპატიების ზრდას საბჭოთა რესპუბლიკებისადმი და გაამართლონ თავისი მტრული დამოკიდებულება ჩვენდამი. ამიტომ ილაშქრებენ ბ. ბ. კაუცკები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და საჭიროდ აღიარებენ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დამხობას შინაური აჯანყების წაქეზების და ინტერვენციის გზით. ისინი უპირდაპირდებიან საბჭოთა კავშირს და თავს ასაღებენ სოციალიზმის მოციქულებად.

მაგრამ ევროპის მუშათა მასსები თანდათან სცილდებიან „ლიდერებს", ისინი უკვე აღარ უჯერებიან მათ სიყალბეს საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ. მათ საფუძვლიანი ეჭვი შეეპარათ კაუცკების სოციალისტობაში.

თუ ბისელს არ მიაჩნია საბჭოთა კავშირი მსოფლიო სოციალიზმის ცენტრად, სულ სხვანაირად ფიქრობენ ევროპის მუშები, მათ შორის სოციალ-დემოკრატიის მიმდევარი მუშათა ფართო ფენები. სიმართლემ საბჭოთა კავშირის შესახებ უკვე მიაღწია მათ ყურამდე და ისინი შესცქერიან ჩვენს რესპუბლიკებს, სწორედ როგორც სოციალიზმის ცენტრს, და ილტვიან აქეთკენ, რომ თავისი თვალით ნახონ „მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფო" (ჩეხოსლოვაკიის მუშათა დელეგაციის დეკლარაციიდან). რომ საბჭოთა კავშირი მსოფლიო სოციალიზმის ცენტრია, ამას გარკვევით აღიარებს გერმანიის მუშათა დელეგაცია, რომლის უკვე ცნობილ დეკლარაციიდან ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აქ მოვიყვანოთ ერთი ადგილი: „საბჭოთა რუსეთი ფაქტიურად იმყოფება იმ მიზნის განხორციელების გზაზე, რომელიც დასახეს სოციალიზმის მამამთავრებმა, რომ მუშათა კლასს ნამდვილათ უპყრია ხელთ ძალა-უფლება, რომ ის წარმოადგენს პოლიტიკურად ყველაზე უფრო თავისუფალ მუშათა კლასს მთელს მსოფლიოში და რომ სამეურნეო მშენებლობა ხორციელდება სოციალიზმის მიმართულებით და მუშათა ფართო მასსების მონაწილეობით. ბევრის მიერ ასე ათვალწინებული პროლეტარიატის დიქტატურა ნამდვილათ წარმოადგენს ჭეშმარიტ მუშათა დემოკრატიას, რომელიც მეტად დადებითი მხარეებით განირჩევა დასავლეთის ქვეყნების ე. წ. დემოკრატიებისაგან". აი, გერმანიის პროლეტარიატის (და განა მარტო მისი!) აზრი საბჭოთა კავშირის შესახებ. ცხადი არ არის, რომ საბჭოთა კავშირი სოციალიზმის ნამდვილი ცენტრია! მაგრამ ბ. ბისელს ჩვენ ვერ მოვსთხოვთ იმას ცოდნას, მით უმეტეს საჯაროდ აღიარებას, რაც იციან და რასაც საქვეყნოდ აცხადებენ გერმანიის და სხვა ქვეყნების მუშათა კლასის ნამდვილი წარმომადგენლები. ვიმეორებთ, ეს იქნებოდა თავისთვის ნებაყოფლობით სამარის გათხრა.

უფრო საგულისხმოა ბისელის განცხადება „საბჭოთა იმპერიალიზმის" შესახებ—ინგლისის იმპერიალიზმს უპირისპირდება რუსული იმპერიალიზმიო. ჩვენ გვახსოვს კაუცკის ბოროტი გამოსვლა—ევროპის იმპერიალიზმს ასაზრდოებს საბჭოთა იმპერიალისტური ზრახვებიო. სოციალ-დემოკრატია ასეთი კამპანიით ამართლებდა მილიტარიზმის ზრდას ბურჟუაზიულ მსოფლიოში და ევროპის საზოგადოებრივ აზრს ამუშავებდა საბჭოთა რესპუბლიკებზე გასალაშქრებლად.

ბოლო ხანებში, მუშათა მასსების ზეგავლენით, თითქო რამოდენიმეთ შეიცვალა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ „ფორვერტს"-მა და სხვა გერმანულ მენშევიკურმა გაზეთებმა თავიანთ ფურცლებზე საკმაოდ მიუდგომელ ინფორმაციას დაუთმეს ადგილი საბჭოთა სინამდვილის შესახებ. რეიხსტაგის დეპუტატმა, სოციალ დემოკრატ. ლანსბერგმა, ლოკარნოს ხელშეკრულების შესახებ გამართულ კამათის დროს, სხვათა შორის, განაცხადა: ჩვენ სიხარულს გამოვსთქვამთ იმ მიღწევების გამო, რომელთაც განთავისუფლებული რუსეთი შეიტანს კაცობრიობის ისტორიაში"-ო ასეთი ბუნდოვანი გამოთქმაც ნაბიჯია წინ სოციალ დემოკრატ დეპუტატისათვის. „ფორვერტს" ამას წინად სწერდა: „რუსეთი ამ ჟამად (მარტო ამ ჟამად?) თავზე არავის ესხმის, არამედ თვალყურს ადევნებს". მაგრამ ბევრი ხანი გავიდა მას შემდეგ, როცა ესევე გაზეთი საბჭოთა „წითელ იმპერიალიზმზე" ლეგენდებს ავრცელებდა!

ასეთი „რბილი" კილო აიღო ბოლო დროს გერმანიის მენშევიკურმა პრესამ, რა თქმა უნდა იძულებით, საბჭოთა კავშირისადმი სოციალ-დემოკრატ მუშების სიმპატიების ზრდის გამო.

მაგრამ, აი, რეიხსტაგში "ისევ გამოდის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელი და თავისი პარტიის სახელით კვლავ ცილს გვწამებს იმპერიალიზმში. იმდენათ ღრმაა მენშევიკების სიძულვილი პროლეტარიატის დიქტატურისადმი, რომ ისინი მიუხედავათ მათი მიმდევარი მუშების აშკარა წინააღმდეგობისა, მაინც ამჟღავნებენ თავის იდუმალ ზრახვებს, როცა მომენტი ამისათვის ხელსაყრელად მიაჩნიათ. მათი გამოსწორება საბოლოოდ არავის შეუძლია, სანამ მუშათა კლასი მათ ლაგამს არ ამოსდებს და მოქმედების საშუალებას არ მოუსპობს. მათ ხანდახან შეიძლება ტაქტიკური მოსაზრებით შეანელონ ბოროტი კამპანია საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, მაგრამ მუდამ რჩებიან მუშურ-გლეხურ ხელისუფლების შეურიგებელ მტრებად. ამას მოწმობს ბისელის გამოსვლაც.

ბისელი ყველა ამით არ დაკმაყოფილდა, მან იერიში მიიტანა ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაშიც ის ბურჟუაზიის აგენტად გამოდის, ბურჟუაზიის, რომელიც ოცნებობს ჩვენი ქვეყნების „მშვიდობიან" დაპყრობაზე, რისთვისაც ცდილობს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმებას.

ხაზგასასმელია, რომ სოციალ-დემოკრატიის ორატორმა თავისი მტრული გამოსვლით საბჭოების წინააღმდეგ გადააჭარბა ბურჟუაზიულ პარტიების წარმომადგენლებს, უკანასკნელებმა გამოიჩინეს გაცილებით უფრო მეტი ზომიერება. მთავრობის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ახალი ხელშეკრულება გამომდინარეობს რაპალოს ხელშეკრულებიდან, მკვიდრ უფლებრივ საფუძველს უყრის მას და ნიშნავს ორივე ხალხის შემდგომი სამეურნეო დაახლოვებას". ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვაინტერესებს რაპალოს და ლოკარნოს ურთიერთი დამოკიდებულების საკითხი, საკითხი, თუ რამდენათ შესძლებს გერმანია, ერთა ლიგის წევრი და „მოკავშირეთა" საგარეო პოლიტიკის გავლენის სფეროში მოქცეული, ხსენებული ხელშეკრულების პირნათლად შესრულებას. აქ საგულისხმო ის არის, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია უფრო მემარჯვენე პოზიციაზე დგას ჩვენთან დამოკიდებულებაში, ვინემ თვით მემარჯვენენი. ამის მიზეზი ის არის, რომ სოციალ დემოკრატიის არსებობას საფრთხე მოელის არა ბურჟუაზიისაგან, არამედ საბჭოთა კავშირის და კომუნიზმის ზრდისაგან, მიტომ რომ მან საბოლოოდ დაუკავშირა თავისი ბედი ბურჟუაზიულ წყობილებას.

მაგრამ მუშათა კლასი თანდათან თავისუფლდება ბისელების გავლენისაგან, ღრმავდება უფსკრული პროლეტარიატსა და მის „ლიდერების" შორის. მუშათა კლასის ზედაწოლით „მეთაურებზე" აიხსნება ის უფრო რბილი გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების შესახებ, რასაც ხანდახან ვხედავთ მენშევიკურ პრესაში. პროლეტარიატის კლასობრივი გამოფხიზლების სწრაფი პროცესი, რომელიც ისტორიულად აუცილებელია, შექმნის ისეთ მდგომარეობას, როცა ბისელებს არ შეეძლებათ ასეთი თავხედური გამოსვლა მსოფლიო სოციალიზმის ცენტრის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

## გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება რეიხსტაგში

### ყველა პარტიები მხარს უჭერენ ხელშეკრულებას

### ამხ. შტეკერი საბჭ. კავშირის სამეურნეო აღორძინების შესახებ

**ბერლინი,** 2 დეკ. გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების განხილვა რეიხსტაგში სწარმოებდა დიდი გაცხოველებით.

შტრეზემანის დავალებით კამათი გახსნა გარეშე საქმეთა სამინისტროს მრჩეველმა ვალროტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ახალი ხელშეკრულება გამომდინარეობს რაპალოს ხელშეკრულებიდან, ქმნის მისთვის მტკიცე უფლებრივ საძირკველს და მოასწავებს ორივე ხალხის სამეურნეო ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით გამოვიდა ბისელი, რომელმაც განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატები მისწრაფვიან საბჭოთა კავშირთან სამეურნეო დამოკიდებულების განმტკიცებისაკენ, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ამავე დროს უცქირონ საბჭოთა კავშირს, როგორც მსოფლიო სოციალიზმის ცენტრს. ინგლისის იმპერიალიზმს უპირისპირდება რუსეთის იმპერიალიზმი. ბისელის აზრით, მთავარ დაბრკოლებას საბჭოთა კავშირთან სამეურნეო ურთიერთობის განვითარებისათვის წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის მონოპოლია.

**ნაციონალისტი ვეიხერი** მხარს უჭერს ხელშეკრულებას, აკრიტიკებს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას და მსჯელობს ეკონომიური ჯაშუშობის და ტრანსპორტის შესახებ.

„მიუხედავათ ამ დაბრკოლებებისა, განაცხადა ვეიხერმა, გერმანელი ნაციონალისტები ხმას მისცემენ ხელშეკრულებას ამ იმედით, რომ ამას მოჰყვება კიდევ უფრო მეტი გაუმჯობესება".

სახალხო პარტიის წარმომადგენელი რაუმერი დიდ მნიშვნელობას აძლევს იმას, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება იდება იმ დროს, როცა ხელს აწერენ ლოკარნოს ხელშეკრულებას.

კომუნისტი დეპუტატი შტეკერი დაწვრილებით ეხება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესს. სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის ამ გამარჯვებას შტეკერი უპირისპირებს გერმანიის მეურნეობის თანდათანობით დაცემას. შტეკერი აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატების ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ნიადაგი გამოეცალა. შტეკერი ეხება სოციალ-დემოკრატების ბელადების წინასწარმეტყველებას საბჭოთა კავშირის დაღუპვის აუცილებლობის შესახებ. ყველა პარტიების დეპუტატებში შტეკერის მიერ სოციალ-დემოკრატების ამ წინასწარმეტყველების მოგონება სიცილს იწვევს.

ცენტრის პარტიის მემარცხენე ფრთის ბელადი ვირტი ლაპარაკობს: „გერმანია ისე უნდა დააყენოს თავისი საქმე, რომ ის ვერ გამოიყენონ იარაღად რუსეთის და აღმოსავლეთის წინააღმდეგ".

ვირტის სიტყვის შემდეგ კანონპროექტი გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულების შესახებ გადაეცა გარეშე საქმეთა კომისიას და სავაჭრო პოლიტიკის კომისიას.

### ხელშეკრულების განხილვა გადაიდო

**ბერლინი,** 2 დეკემბ. ვენიდან რეიხსკანცლერი და სხვა მინისტრები ბერლინში არ იმყოფებიან, საგარეო საქმეთა კომისიამ გადადვა გერმანია-საბჭ. კავშირის ხელშეკრულების განხილვა.

## ბრიანის მთავრობის დეკლარაცია

### სოციალისტები ბრიანის საფინანსო პროექტების წინააღმდეგ

### ბრიანი საჭიროდ სთვლის საბჭოთა კავშირთან დაახლოებას

### ბრიანის დაპირებები

პარიზი, 2 დეკემბერი. ბრიანის კაბინეტი გამოვიდა დეპუტატთა პალატაში დეკლარაციით, რომელშიც აღნიშნულია, რომ მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტა თავიდან აიცილოს სახელმწიფო სესხის რომელიმე ნაწილის ობლიგაციების გამოცვლა.

მთავრობა იმუშავებს დაწვრილებითი ცნობებს ავტონომიური საამორტიზაციო ფონდის შესავსებათ განსაზღვრული თანხით, რომელიც მიღებული იქნება კეთილშეძენილი ქონებათა დაბეგვრისაგან.

მთავრობას იმედი აქვს, რომ ახლო ხანში დაამთავრებს ომს მაროკოსა და სირიაში და შემდეგ პალატაში შეიტანს წინადადებას სამხედრო ვალების შემცირების შესახებ.

მთავრობა შეიტანს წინადადებას ოლქებში არჩევნების დროს მაჟორიტარული სისტემის შემოღების შესახებ და აგრეთვე სახალხო განათლების რეფორმის პროექტს.

**პარიზი,** 2 დეკემბერი. პალატაში განსაკუთრებული ინტერესი არ გამოუწვევია მთავრობის დეკლარაციას.

### სოციალისტები და ფინანსიური პროექტი

**პარიზი,** 2 დეკემბერი. სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ 33 ხმით 29 წინააღმდეგ უარი განაცხადა ბრიანის კაბინეტის საფინანსო პროექტისათვის მხარის დაჭერაზე.

### ბრიანის გეგმები

**პარიზი,** 2 დეკემბერი. სანფილის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ბრიანმა ჩემბერლენს საუბრის დროს მიუთითა ევროპის სახელმწიფოების საბჭოთა კავშირთან დაახლოების საჭიროებაზე.

აღნიშნა, რა რომ ინგლისი უმთავრეს მნიშვნელობას აძლევს პოლიტიკურ პრობლემას, ბრიანმა ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთს პირველ რიგში აინტერესებს ვალების საკითხის მოწესრიგება.

ბრიანმა ამავე დროს, თითქო მიუთითა ჩემბერლენს, რომ ამ პრობლემის გადაჭრა შეიძლება პრინციპიალური დეკლარაციით ვალების გადახდის შესახებ და მათი კონსოლიდაციით. რაც შეეხება ვალების ფაქტიურად გადახდას, ეს საკითხი შეიძლება გახდეს ცალკე შეთანხმების საგანი.

## დახმარება უმუშევრებს

ბერლინი, 2 დეკემბერი. ბერლინის ქალაქის თვითმართველობამ კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების ხმების უმრავლესობით დაადგინა გადასდოს ათი მილიონი მარკა უმუშევრებისათვის დახმარების აღმოსაჩენად ზამთრის განმავლობაში.

# ლოკარნოს ხელშეკრულების დამტკიცების შემდეგ

## [illegible] ლოკარნოს ხელშეკრულების შესახებ

## გერმანიის პრესა კმაყოფილია [illegible]

## აღმოსავლეთის პოლიტიკური მოღვაწენი ლოკარნოს წინააღმდეგ

### რაპალო და ლოკარნო

**ბერლინი,** 2 დეკემბ. „პტი ჟურნალ"-ის თანამშრომელთან საუბრის დროს შტრეზემანმა განაცხადა, რომ „ისე, როგორც რაპალოს ხელშეკრულება არ მოასწავებდა გადასვლას საბჭ. კავშირის მხარეზე დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ, ისე ლოკარნოს ხელშეკრულება არ ნიშნავს გერმანიის გადასვლას დასავლეთის სახელმწიფოების მხარეზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გერმანიას არც კი შეუძლია ფიქრი კონფლიქტზე დასავლეთთან ან აღმოსავლეთთან ამიტომ იყო რომ ერთა ლიგის წესდების მეთექვსმეტე მუხლი მან შესწორებებით მიიღო".

### პრესა შეთანხმების შესახებ

**ბერლინი,** 2 დეკემბერი. გერმანიის მთავრობის პრესა ზომიერებას იჩენს შეთანხმებაზე ხელისმოწერის მნიშვნელობის შეფასებებში.

დემოკრატიული, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატიული პრესა აღფრთოვანებულია.

„ფორვერტსი" სწერს ახალი ხანის დასაწყისზე, როცა გერმანიის ს.-დ. პარტიამ უნდა იკისროს გერმანიის გადაქცევა დემოკრატიულ სახელმწიფოთა იდეურ ხელმძღვანელად.

### აღმოსავლეთი და ლოკარნო

**ბერლინი,** 2 დეკემბ. აღმოსავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლები შეცდომათ სთვლიან გერმანიის მიერ ლოკარნოს ხელშეკრულების მიღებას.

ავღანისტანის ელჩმა ბერლინში სთქვა, რომ ეს ფაქტი დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს აღმოსავლეთის ერებში.

სპარსეთის ეროვნული პარტიის გამოჩენილმა ბელადმა აბდურახმან სეიფ-ასადმა განაცხადა: „გერმანია ლოკარნოს ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის შემდეგ დაჰკარგავს ყველა იმ მორალურ პოზიციებს, რომლებიც მოიპოვა ომის შემდეგ აღმოსავლეთში. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტურ კოალიციაში შესულ გერმანიას აღმოსავლეთის ერები მოეპყრობიან ისეთივე უნდობლობით, როგორც დასავლეთის სხვა იმპერიალისტებს, რომლებსაც ისინი თავის მოსისხლე მტრებათ სთვლიან.

### დარბაზობა მაკდონალდთან

**ლონდონი,** 2 დეკ. მაკდონალდმა გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრო ლიუტერი, შტრეზემანი, ვანდერველდე, ბენეში და ინგლისის თემთა პალატის მრავალი გამოჩენილი წევრები.

## საგარანტიო ხელშეკრულება ხელმოწერილია

### „პრავდა"-ს წერილი

**მოსკოვი,** 3 დეკ. „პრავდა" მოწინავე წერილში ამ სათაურით სწერს:

„ლოკარნოს შეთანხმება დადებულია. საგარანტიო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს გუშინ ლონდონში. კვლავ მონობის ბორკილებში ჩასჭედეს ევროპის მეტწილ ქვეყნების მშრომელთა მასები. გამოგონებულია ევროპაში „მშვიდობიანობისა და წესრიგის" ახალი ფეტიში, შექმნილია ხალხთა ფორმალური „სოლიდარობა", კიდევ ახალი ვალდებულებათა უღელი დაადეს უფრო სუსტ ქვეყნებს, ქაღალდზე მიღწეულია ერთა ლიგის წევრთა თანასწორობა, რომლის საფარველს ქვეშ განვითარდებიან ძლიერთა მიმართ სუსტთა მონური დამოკიდებულების ფორმები და გაიშლება დიპლომატიურ ინტრიგების და თვალთმაქცობის ბინძური ქსელი.

ლოკარნო წარმოადგენს ლონდონის დიპლომატიის გამარჯვებას. ტყუილად კი არ მიუღია ჩემბერლენს მეფისაგან ინგლისის არისტოკრატების ადათების თვალსაზრისით მეტად საპატიო ორდენი.

სახელმწიფოს, რომელმაც ლოკარნოში მსხვერპლად მიიტანა თავისი საგარეო-პოლიტიკური თავისუფლება,—გერმანიას, სრულებითაც არ ახარებს „ახალი ხანის" დასაწყისი. სიფრთხილის და იჭვის ხმები, ზოგჯერ აშკარა უკმაყოფილება, სულ უფრო და უფრო ძლიერდება ეხლანდელ გერმანიაში. მთელს გერმანიაში ფეხს აკიდებს ოპოზიცია ლოკარნოს წინააღმდეგ. ის უკვე თვალსაჩინო ხდება და იძლევა კიდევ უფრო გაძლიერების ნიშნებს, მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიისათვის მეტად მძიმე ხელშეკრულება დადებულია.

ამაოა ფრანგ პოლიტიკოსების სიხარული. მათ მაინც არაფერი აქვთ სასიხარულო. მძიმე ვალებით და პერმანენტული ფინანსიური კრიზისით დასუსტებულ საფრანგეთს ეს ეხლა კიდევ უფრო უზღუდავს ხელ-ფეხს საგარეო პოლიტიკის სფეროში. საფრანგეთის დიპლომატია ვარდება ლორდ ჩემბერლენის უფროსი ნოქარის მდგომარეობაში.

მტკიცეა თუ არა ლოკარნოში შეკრული ჯაჭვი, ალაგმავს თუ არა ის იმპერიალისტური მოგების და ქიშპობის გაძლიერებულ ზრახვებს, დაიცავენ თუ არა წონასწორ მდგომარეობას ლოკარნოს შენობის ამგები ერთი-მეორეს მოწინააღმდეგე ელემენტები, დამყარდება თუ არა ნამდვილად დაპირებული „ნორმალური ცხოვრება" და საყოველთაო მშვიდობიანობა? ამის შესახებ შეგვიძლია ვსთქვათ—არა, და ათასჯერ არა. ლოკარნოს შეთანხმება იშვა. ის მოკვდება ისე, რომ ვერც კი მოასწრებს გაფურჩქვნას".

## რა ხდება ჩინეთში

### მძევლების დასჯა

**ხარბინი,** 2 დეკემბერი. ჩჟან-ძო-ლინის მოწინააღმდეგე გენერლის გო-სუნ-ლინის ნათესავები 70 კაცი, დატუსაღებულნი მუკდენში, დასჯილ იქნენ მუკდენის ციხეში 29 ნოემბერს თავის მოკვეთით.

## აჯანყება სირიაში

### პალესტინა-სირიის კომიტეტის მოთხოვნილება

**ლონდონი,** 2 დეკემბერი. პალესტინა სირიის ეროვნულ კომიტეტმა საფრანგეთის უმაღლეს კომისარს სირიაში დე-ჟუვენელს წარუდგინა შემდეგი მოთხოვნილებები, რომლებიც ეროვნული მოძრაობის თვალსაზრისით შეიძლება საფუძვლად დაედოს ზავს: ფრანგების ჯარები სცილდებიან სირიას, საფრანგეთის მანდატი სირიაზე უქმდება: სირიაში ეწყობა ეროვნული მთავრობა, რომელთანაც უნდა სწარმოებდეს მოლაპარაკება შეთანხმების შესახებ; სირია ხდება ერთა ლიგის წევრი.

დე-ჟუვენელმა განაცხადა, რომ წამოყენებულ პირობებს მიუღებლად სთვლის და პასუხისმგებლობა მომავალში რეპრესიების გაძლიერებისათვის ეკისრება კომიტეტს.

## პოლონეთი და ამერიკა

**ვარშავა,** 2 დეკ. ფინანსთა მინისტრმა ზდეხოვსკიმ ლონდონში მყოფ პრემიერ სკშინსკისგან მიიღო ცნობა, რომ მორგანის ბანკი თანახმაა მისცეს პოლონეთს სესხი 120 მილიონი დოლარის რაოდენობით იმ პირობით, თუ მას მიეცემა სპირტის ან თამბაქოს მონოპოლია.

## მუშათა დელეგაციები საბჭოთა კავშირის შესახებ

**ოსლო,** 2 დეკემბერი. ნორვეგიის მუშათა დელეგაციის წევრები, რომლებიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან დაბრუნდენ, განურჩევლად თავისი პარტიული მიმართულებისა, აღფრთოვანებულ მოხსენებებს აკეთებენ საბჭ. კავშირის შესახებ.

ნორვეგიელი დელეგატები სავსებით იზიარებენ შვედ და ინგლისელ დელეგატების შთაბეჭდილებებს.

დელეგაციის წევრები ერთხმად იზიარებენ აზრს, რომ საბჭოთა კავშირში სწარმოებს მუშაობა სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად. დელეგატები მიუთითებენ, რომ დაბრკოლებები, რომლებსაც უქმნიდენ რუსეთ-ინგლისის მთლიანობის კომიტეტს, სამარცხვინო მოვლენას წარმოადგენს მუშათა მოძრაობის ისტორიაში. რუსეთის პროფკავშირები სანიმუშო მუშათა ორგანიზაციებს წარმოადგენენ. იმ მუშათა კლასით, როგორიც საბჭოთა კავშირში არის, შეიძლება ყოველგვარი დაბრკოლებების გადალახვა.

## რაკოშის კვლავ ასამართლებენ

**ვენა,** 2 დეკემბერი. ბუდაპეშტის საპროკურორო ზედამხედველობამ მიმართა სასამართლოს თხოვნით, რათა უკანასკნელმა დაიწყოს ახალი საქმე რაკოშის და მისი ამხანაგების წინააღმდეგ მათ მიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესრიგის დარღვევის გამო, რისთვისაც რაკოშის და მის ამხანაგებს მოელით 10 წლით კატორღაში მუშაობა.

# უკანასკნელი ცნობები

### ბრიანის კაბინეტის მდგომარეობა

**პარიჟი, 2 დეკემბ.** ფინანსიურ კანონპროექტის განხილვის დროს დეპუტატთა პალატაში მემარჯვენე ორატორი წინადადებას იძლეოდენ, რომ პალატას მოეწონებია ახალი ინფლიაცია, როგორც აუცილებელი ზომა, იმ პირობით, რომ მთავრობას უკან წაეღო თავისი ფინანსიური კანონპროექტი და 8 დეკემბრის შემდეგ წარმოედგინა საერთო გეგმა ფინანსიურ გაჯანსაღების შესახებ.

### შიშს დიდი თვალები აქვს

**ლონდონი, 2 დეკემბ.** ინგლისის პარლამენტის კონსერვატიულმა დეპუტატმა ლოკკერ-ლემპსონმა შეიტანა პალატაში წინადადება, რომელშიც მოითხოვს „მიღებული იქნეს ზომები უცხოეთის სახელმწიფოების მიერ ინგლისში კონფლიქტების გამოსაწვევად ფულების გადმოგზავნის წინააღმდეგ“.

ბრიანი ამაზე არ დასთანხმდა.

კანონპროექტის მეორე მუხლის კენჭის ყრის დროს, რომელიც შეეხება ზოგიერთ პირდაპირ გადასახადების გადიდებას და რომლის წინააღმდეგაც მემარჯვენენი არიან, მთავრობამ დასვა საკითხი ნდობის შესახებ. კენჭის ყრის დროს მთავრობამ მიიღო 243 ხმა წინააღმდეგ 18 ხმისა, რაც მით აიხსნება, რომ ზოგიერთ სოციალისტებმა მთავრობას მისცა ხმა. ფიქრობენ, რომ მთავრობა კიდევ ჩავარდება გასაჭირში კანონპროექტის მეოთე მუხლის კენჭის ყრის დროს, რომელიც ახლად ინფლიაციას მოითხოვს.

### ერთა ლიგაში გვეპატიჟებიან

**ლონდონი, 2 დეკემბ.** ეხება რა ხმებს, რომ ჩიჩერინს განზრახვა აქვს ჩავიდეს ლონდონში, ლიბერალური გაზეთ „სტარ“-ის კორესპონდენტი სწერს:

„თუ საბჭოთა კავშირს სურს მიბაძოს გერმანიის მაგალითს შევიდეს ერთა ლიგაში და განიხილოს ეს საკითხი, ჩემბერლენი, ეჭვს გარეშეა, შეხვდება ჩიჩერინს.

# ლოკარნოს ხელშეკრულების დამტკიცების შემდეგ

## „დავიღუპებით ყველანი ერთად“

**ბერლინი, 2 დეკემბერი.** ვოლფის სააგენტოს ატყობინებენ ლონდონიდან, რომ ლოკარნოს ხელშეკრულებებზე ხელის მოწერის შემდეგ შტრეზემანმა მადლობა გადაუხადა ჩემბერლენს „მისი ხელმძღვანელობის დამსახურების გამო ლოკარნოს შეთანხმებათა განხორციელების საქმეში“.

ლოკარნოს ხელშეკრულებაში, სთქვა შტრეზემანმა, მე — ვხედავ მტკიცე საფუძველს მომავალი საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებისათვის.

მიმართა რა ბრიანს, შტრეზემანმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ევროპის ბედი საერთოა მათთვის.

„თუ დავიღუპებით, სთქვა შტრეზემანმა, დავიღუპებით ყველანი ერთად“.

# საერთაშორისო სარკინიგზო კონფერენცია

**მოსკოვი, 3 დეკემბერი.** საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს რუძუტაკმა შემდეგნაირად დაახასიათა მომავალი საერთაშორისო სარკინიგზო კონფერენციის მუშაობა:

„7 დეკემბერს მოსკოვში იხსნება სარკინიგზო კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: საბჭოთა კავშირი, იაპონია, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი, გერმანია და საფრანგეთი. კონფერენციის მიზანია პირდაპირი სამგზავრო და საბარგო მიმოსვლის აღდგენა იაპონიასა და დასავლეთ-ევროპის შორის ჩვენს ქვეყანაზე გავლით.

კონფერენცია სრულიად განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს, არა მარტო თავისი ამოცანებით, არამედ იმ მხრივაც, რომ კონფერენცია განიხილავს საკითხს უდიდეს მანძილზე პირდაპირი მიმოსვლის მოწყობის შესახებ.

# მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

## გერმანიის პროფმოძრაობის დაქსაქსულობა და პოლიტიკა

მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიის პროლეტარიატი მრავალრიცხოვანია, პროფესიონალური მოძრაობა იქ სუსტია. ეს სისუსტე შედეგია პროფმოძრაობის დაქსაქსულობის. გერმანიის პროფმოძრაობაში ოთხი მთავარი მიმდინარეობაა. რიცხობრივად, პირველ რიგში უნდა აღნიშნოთ, ე. წ. „თავისუფალი პროფკავშირები“. 44 ასეთ „თავისუფალ პროფკავშირში“ გაერთიანებულია 5.749.763 წევრი (1923 წ. ბოლო რიცხვების სტატისტიკა). ამ პროფკავშირების ცენტრია „პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანება“. თავისუფალი პროფკავშირები პოლიტიკურად მენშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. „თავისუფალ პროფკავშირების“ ყველა თანამდებობის პირნი სოციალ-დემოკრატები არიან. სიტყვით ისინი აღიარებენ კლასთა ბრძოლას, ცხოვრებაში კი კლასთა თანამშრომლობის პრინციპს ატარებენ.

რიცხობრივად მეორე ადგილი უჭირავთ „ქრისტიანულ პროფკავშირებს“. ასეთი პროფკავშირი 18-ია. ისინი აერთიანებენ 806.992 წევრს (1923 წ. ცნობებით). „ქრისტიანული პროფკავშირები“ 30 წლის წინად დაარსეს კათოლიკმა მრეწველებმა და კათოლიკურმა სამღვდელოებამ. დამაარსებლებს მიზნათ ჰქონდათ სოციალ-დემოკრატიული პროფკავშირების გავლენის შესუსტება და მუშებში სოციალისტური იდეების შეჭრისათვის წინააღმდეგობის გაწევა. კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარ მუშებს კათოლიკური სამღვდელოება უკრძალავდა სოციალ დემოკრატიულ პროფკავშირებში შესვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში „ჯოჯოხეთითა“ და „ღვთის რისხვით“ ემუქრებოდა.

მაგრამ ამავე დროს კათოლიკური ხუცები, ასე გამოქნილნი მასების მოტყუებაში, აღიარებენ ზოგჯერ კლასობრივ ინტერესების წინააღმდეგობას. თავისთავად ცხადია, რომ ეს თეორეტიული დათმობა ნაკარნახევია არა იმ მოსაზრებით, რომ კათოლიკური ბურჟუაზია საჭიროდ სცნობს მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ დემაგოგიური მოსაზრებით. ცენტრის პარტია, რომელსაც სათავეში უდგიან კათოლიკე-მრეწველები, ქრისტიანულ პროფკავშირების პოლიტიკური ხელმძღვანელები, არჩევნების დროს აყენებენ კათოლიკური ბურჟუაზიის ლოზუნგს „ურწმუნო, ულვთო კაპიტალის“ წინააღმდეგ. ამ ლოზუნგით „კათოლიკური“ კაპიტალი თვალებს უხვევს კათოლიკ მუშებს და იყენებს მათ ბრმა იარაღათ „ებრაელი“ და „პროტესტანტული“ კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მემარჯვენე პარტიებმაც შექმნეს საკუთარი პროფკავშირები. ესენი არიან ხელოსანთა და გერმანელ—ნაციონალური პროფკავშირები (42 ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 255.994 წევრს). ამ პროფკავშირების უმრავლესობა შექმნილია თვით მეწარმოებლების მიერ. მათ აქვთ ანტისოციალისტური ხასიათი, უარყოფენ კლასობრივ ბრძოლას და ქადაგებენ შრომისა და კაპიტალის ინტერესთან ერთგვარობას.

ჰირშ-დუნკერის პროფკავშირები (19 ორგანიზაცია 224.597 წევრით) თავის დროზე დაარსებული იქნა მაქს გირშის მიერ ინგლისის ტრედ-უნიონების მსგავსად, რომ ხელი შეეშალა მუშათა წრეში სოციალისტური იდეების შემოჭრისათვის. შრომისა და კაპიტალის ინტერესთა ერთგვარობა, — ასეთია ამ პროფკავშირების ლოზუნგი. ეს პროფკავშირები ხშირად მოღალატურ როლს ასრულებენ გაფიცვების დროს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილ 4 მთავარი მიმდინარეობისა გერმანიის პროფმოძრაობაში, არსებობს კიდევ 4 კატეგორიის პროფესიონალური ორგანიზაციები, რომლებიც უმთავრესად აერთიანებენ მოსამსახურეებს, მოხელეებს და თავისუფალი პროფესიის ინტელიგენციას. ესენი არიან: სინდიკალისტური, „დამოუკიდებელი“, მოსამსახურეთა და მოხელეთა პროფკავშირები.

ყველაზე უფრო მუშური ხასიათი აქვს 11 სინდიკალისტურ (ანარქისტულ) პროფკავშირს, 246.000 წევრით. შემდეგ — 8 „დამოუკიდებელი პროფკავშირი“ 179.000 წევრით. ამ კავშირში შედის „სასოფლო-სამეურნეო მუშათა თავისუფალი კავშირი“ და უკანასკნელ დრომდი შედიოდა „გონებრივი შრომის მუშაკთა კავშირი“, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინათ პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანებაში შევიდა.

მოსამსახურეებისა და მოხელეების ორგანიზაციებს წარმოადგენენ მოსამსახურეთა კავშირი (66 ორგანიზაცია 1.682.000 წევრით) და მოხელეთა კავშირები (14 ორგანიზაცია 1.995.000 წევრით).

ამრიგად გერმანიის მშრომელნი გაერთიანებული არიან 9 კატეგორიის პროფკავშირებში. პროფორგანიზაციების რიცხვი უდრის 256, წევრთა რიცხვი 12 მილიონს.

პროფმოძრაობის ეს არაჩვეულებრივი დაქსაქსულობა დიდ ზიანს აყენებს გერმანიის მუშების კლასობრივ ბრძოლას. იდეოლოგიური დამოკიდებულება ბურჟუაზიულ, გირშ-დუნკერის, ქრისტიანულ პროფკავშირებისაგან და პროფკავშირების სოციალ-დემოკრატიულ ბელადების შეუთანხმებელი და მოღალატური პოლიტიკა არა თუ ასუსტებს მუშათა კლასის ეკონომიურ ბრძოლას, არამედ, ხშირად, პროლეტარიატს აქცევს ბურჟუაზიის ინტერესების დაცვის იარაღად.

# საბჭოთა კავშირში

## რუსეთი

### საბრი-ბეი რიკოვთან

**მოსკოვი, 3 დეკემბერი.** 2 დეკემბერს რიკოვმა მიიღო ოსმალეთის მიწათმოქმედების კომისარი საბრი-ბეი.

საბრი-ბეიმ გადასცა რიკოვს სალამი ოსმალეთის კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ისმეტ-ფაშას სახელით.

საუბრის დროს შეეხენ სასოფლო-მეურნეობის და გლეხობის მდგომარეობის საკითხს როგორც ჩვენში, ისე ოსმალეთში. აღნიშნული იყო ოსმალეთის და საბჭოთა კავშირის გლეხობის საერთო ინტერესები. შემდეგ შეეხენ საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს.

### გათავისუფლება შემოსავლის კვალობაზე გადასახადისაგან

**მოსკოვი, 3 დეკემბერი.** საბჭოთა კავშირის ფინსახკომმა დაადგინა განთავისუფლებულ იქნას ძირითად შემოსავლის კვალობაზე გადასახადისაგან ის სახლის მეპატრონეები, რომელთაც არავითარი შემოსავალი არა აქვთ სახლის მოქირავეებიდან.

## უკრაინა

### ქარიშხალი შავზღვაზე მძვინვარდება

**ოდესა, 3 დეკემბერი.** ქარიშხალი შავზღვაზე თანდათან წყნარდება. დაღუპულია რამოდენიმე წვრილი გემი.

### კულაკების შურისძიება

**ველიკი უსტიუგი, 3 დეკემბერი.** სოფლის კულაკებმა მხეცურად მოჰკლეს კომკავშირელი გლეხი ტუპლიკოვი. მკვლელობა გამოწვეულია შურისძიებით იმასათვის, რომ გამომჟღავნებული იქნა კულაკი შეფიროვი, რომელიც გაძვრა კოოპერატივის გამგეობაში.

### ნავთის ამოღება ქერჩის ნახევარკუნძულზე

**მოსკოვი, 3 დეკემბერი.** ნავთის სინდიკატის დავალებით, გეოლოგმა მირონოვმა გამოიკვლია ჩოგოლოვის რაიონის ქერჩის ნახევარკუნძულზე ნავთის მრეწველობის საკითხის გამოსარკვევად.

მირონოვის გამოკვლევით დამტკიცდა, რომ აღნიშნულ რაიონში შეიძლება ნავთის ამოღების წარმოება. დანიშნულია პუნქტები ღრმა ჭების გასათხრელად.

### ამერიკელი მრეწველები ხარკოვში

**ხარკოვი, 3 დეკემბერი.** ჩამოვიდა 5 ამერიკელი მრეწველი-სპეციალისტი სამთო ინჟინერის ფორნგამის მეთაურობით. კომისია მიემგზავრება დონის ოლქში სამადნო მრეწველობის მდგომარეობის და ახალ ქარხნის აშენების შესაძლებლობის გამოსარკვევად.

## ბელორუსია

### პროფკავშირთა ყრილობა

**მინსკი, 3 დეკემბ.** გაიხსნა ბელორუსიის პროფკავშირთა მე 5 ყრილობა. გამოცხადდა 400 ზე მეტი დელეგატი.

# თათბირი პურის დამზადების შესახებ

**მოსკოვი, 3 დეკ.** შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის ადგილობრივი განყოფილებათა თათბირზე ციურუპას შესავალ სიტყვის შემდეგ მოსმენილი იქნა შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის ადგილობრივ განყოფილებათა მოხსენებანი.

უკრაინის წარმომადგენელმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ 80 მილიონი ფუთი პურის პროდუქტებიდან, რომელიც დამზადებული იყო უკრაინაში 1 დეკემბრამდე, უდიდესი ნაწილი შეძენილი იყო ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხებისაგან. დარჩენილი პურის მარაგი უმთავრესად შეძლებულ, კულაკურ გლეხების ხელშია.

შეეხო რა იმ მიზეზებს, რომლებიც აფერხებენ პურის დამზადების კამპანიის დამაკმაყოფილებლად ჩატარებას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ მხრივ, გარდა სამრეწველო საქონლის ნაკლებობისა, დიდი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ გლეხობას არ შეუძლია მიზანშეწონილად გამოიყენოს თავისი ფულები. უკრაინელ გლეხობას აქვს თავისუფალი 50-70 მილიონი მანეთი. გლეხობა გაურბის ფულის დაგროვებას.

ყველა მომხსენებლები აღნიშნავდენ, რომ საჭიროა პურის დამზადებელთა შეთანხმებული გამოსვლა პურის ბაზარზე. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება მიღწეული იქნას პურის ფასების სიმტკიცე.

# გორკის წერილი მეზღვაურებისადმი

**ოდესა, 3 დეკემბერი.** იტალიიდან საბჭოთა კავშირის ხომალდების დაბრუნების შემდეგ, შავი ზღვის მეზღვაურებმა მიიღეს რამდენიმე წერილი მაქსიმ გორკისაგან. უკანასკნელი სთხოვს მეზღვაურებს მიაწოდონ მას ცნობები თავიანთ ყოფა-ცხოვრების შესახებ და აგრეთვე გაუგზავნონ გაზეთები. გორკი აღუთქვამს მეზღვაურებს გამოუგზავნოს ამას წინათ მის მიერ დაწერილი მოთხრობა.

## მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრება

**მოსკოვი, 3 დეკემბერი.** 2 დეკემბერს უშედეგოთ დამთავრდა გრიუნფელდ—ლევენფიშისდა ტარტაკოვერ—რომანოვსკის (თეთრები) თამაშები. რეტიმ (შავები) მოუგო ილინ—ჟენევსკის, გოტჰილფმა—ზემიშს.

დასვენების შემდეგ უშედეგოთ დამთავრდა ეიტსის და მარშალის, რაბინოვიჩის და ტორეს, და ბოგატირჩუკის და ვერლინსკის პარტიები. ზუბარიოვმა წააგო კაპაბლანკასთან მე-46 სვლაზე. რუბინშტეინმა მოუგო დუზ-ხოტიმირსკის, ლასკერმა—შპილმანს.

# ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

## საქართველო

### სამაზრო საავადმყოფო

**ახალციხე, 3 დეკემბერი.** მთავრდება შენება სამაზრო საავადმყოფოსი, რომელიც დაჯდა 10.000 მანეთზე მეტი. საავადმყოფოს ექნება ქირურგიული, ტერაპევტიული, ქალთა და სამეანო განყოფილებები.

### ნავთის მიღება

**ახალქალაქი, 3 დეკემბერი.** ქალაქში ნავთის მოტანა, რომელიც ფერხდებოდა აქამდე, ეხლა წესიერად სწარმოებს.

### კოოპერატიული თათბირი

**ლიუქსემბურგი, 3 დეკემბერი.** დაიწყო კოოპერატიული თათბირი. თათბირზე მოსმენილ იქნა მოხსენებანი 4 რაიონის ერთიან მომხმარებელ საზოგადოების 4 სას. სამეურნ. ამხანაგობის, ერთ საკრედიტო ამხანაგობის ცეკავშირის და წარმოკავშირის ინსტრუქტორებისა ბორჩალოში სას. სამეურნ. და მომხმარებელ კოოპერაციის მუშაობის შესახებ. გამოირკვა, რომ გლეხობა ეტოვებს სამომხმარებლო კოოპერაციას და გადადის სას. მეურნ. კოოპერაციაში, რომელმაც ღრმა ფესვები გაიდგა გლეხობაში, ეს განსაკუთრებით ითქმის მევენახეობაზე და მებაღეობაზე, სას. სამეურნეო კოოპერაცია სამომხმარ. კოოპერ. სისუსტის გამო, ხდება აგრეთვე სამომხმარებლო მუშაობის წარმოებაც.

მაზრაში არის 4 სამომხმარებლო საზოგადოება, სამი სას. სამეურნეო, 4 საკრედიტო და სხვა.

თათბირმა გამოარკვია ანგარიშწარმოების დეფექტები. მიღებულია მთელი რიგი რეზოლიუციებისა პრაქტიკულ ღონისძიებათა გამოსაძებნად სამომხმარებლო და სას. სამეურნეო კოოპერაციის ფუნქციების განსაზღვრისათვის.

თათბირი სიხარულით შეხვდა ცნობას საკრედიტო ამხანაგობათა და სასოფლო სამეურნეო გაერთიანებათა შესახებ.

### სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ბორჩალოს მაზრაში

**ლიუქსემბურგი, 3 დეკემბერი.** ბორჩალოს მაზრისათვის დაწესებული სასოფლო სამეურნეო გადასახადიდან რომელიც უდრის 178.698 მან. და 03 კაპიკს, 15 ნოემბრამდე შემოვიდა 62.409 მან. ესე იგი 34,86 პროც. ნარჩენი იმავე რიცხვამდე შემოვიდა 3562 მან. ზოგიერთ რაიონებში გლეხები იხდიან გადასახადს მთლიანად. გადასახადის სუსტი შემოსვლა ზოგიერთ რაიონებში აიხსნება მოსავლის დაგვიანებული რეალიზაციით საქონლის ჭირის ეპიდემიით და ზაფხულის საძოვრებიდან გვიან დაბრუნებით.

საერთოდ ბაშკიჩეთის რაიონმა შეასრულა 50 პროც. სარვანისამ—21,19 პროც. ლიუქსემბურგისამ 38,68 პროც. შაუმიანისამ 29,6 პროც. საშუალოდ მაზრაში—34,86 პროც.

## აზერბეიჯანი

### გლეხებისათვის სესხის მიცემა

**ბაქო, 3 დეკემბერი.** სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების მიზნით აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრალურმა კავშირმა შესაძლებლად აღიარა სესხის გაცემა მომხმარებელი კოოპერატივების საშუალებით იმ გლეხებზე, რომლებიც აბარებენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს რძის პროდუქტებს.

### ბინათა სააღმშენებლო კოოპერატივი

**ბაქო, 3 დეკემბერი.** გაიხსნა ახალი ბინათა სააღმშენებლო კოოპერატივი რომლის წევრებად არიან თანამშრომლები ცენტრალური კოოპერატიული ორგანიზაციების, საბინაო კავშირის, აზერბეიჯანის სასოფლო მეურნეობის ცენტრალური კავშირის, ცენტროკავშირის, კიმერლიგის და ცენტრალური კოოპერატიული ბანკის.

# კოოპერაცია

## წარმოკავშირის საბჭოს მეოთხე სესია

### კამათი ამხ. დუმბაძის მოხსენების გარშემო

წარმოკავშირის საბჭოს მეოთხე სესიის მეორე სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ლ. დუმბაძის მოხსენების გარშემო, რომელმაც მეტად გაცხოველებული ხასიათი მიიღო.

ორატორები აღნიშნავდენ, რომ გამგეობა მუშაობას აწარმოებდა ფინანსიური მდგომარეობის გაუთვალისწინებლად; ორგანიზაციების რიცხვი იზრდებოდა უსისტემოდ, არ შეიძლება ამხანაგობების ასე აჩქარებით დაარსების გამართლება. საჭირო იყო უფრო მეტი თავის შეკავება.

ძალიან გაზრდილია წარმოკავშირის აპარატიც, საჭიროა მისი შემცირება. ამას გარდა, წარმოკავშირი დავალიანებულია; ეს დავალიანება ნაწილობრივ დაუდევრობით არის გამოწვეული. გამგეობა სარგებლობდა ამხანაგობების მეგობრული თამასუქებით, რომლებსაც შემდეგ პროტესტში უშვებდა და ამით საფრთხეში აგდებდა ამხანაგობების არსებობას.

წარმოკავშირის გავლენა სოფლად ნაკლებათ მოსჩანს. ცენტრი უფრო მეტ დახმარებას უნდა უწევდეს საღ ორგანიზაციებს, ავათმყოფი ორგანიზაციების დატოვება მიზანშეწონილი არ არის.

წარმოკავშირმა ვერ გამოიყენა მოსახლეობის ნდობა და სწორი ხაზი ვერ აიღო საორგანიზაციო მშენებლობის დროს. ხშირად ისეთ ორგანიზაციებს აარსებდენ, რომლებსაც არავითარი ნიადაგი არ ჰქონდათ. წარმოკავშირი თავის ორგანიზაციებთან მეტოქეობას აწარმოებს, მაგალითად, მატყლის დამზადების საქმეში და კერძო აგენტებთან აწარმოებს ზოგიერთ თავის ოპერაციებს.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ სესიამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც წარმოკავშირის გამგეობის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სთვლის და ზოგიერთ ნაკლულევანებათა გამოსასწორებლად საჭიროთ სცნობს მთელ რიგ ღონისძიებების გატარებას.

შემდეგ სესიამ მოისმინა ამხ. ჯაბადარის მოხსენება ფინანსიური საქმიანობის შესახებ.

### ამხ. ჯაბადარის მოხსენება

წარმოკავშირის მოკავშირე ორგანიზაციების რიცხვი 1924 წლის 1-ლ იანვრისათვის იყო 23, ხოლო 1925 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის ავიდა 163-დე, რომელთა წევრების რიცხვი უდრის 32,058.

ამ ორგანიზაციებს წარმოკავშირიდან მიუღიათ ოპერაციებისათვის 1923 წლიდან 1925 წლის 1-ლ ოქტომბრამდე, 6.111.659 მან. 50 კაპ. აქედან დაუბრუნებიათ 4.787.612 მან. 93 კაპ. მათზე ირიცხება 1.343.947 მანეთი, გარდა პროცენტებისა.

1925 წელში წარმოკავშირმა უკვე შესცვალა სისტემა ოპერაციების გატარებისა. ავანსების გაცემა დაეყრდნო? მოკავშირე ორგანიზაციების მიერ მათი გამართლების რეალურ შესაძლებლობას და კონტროლიც გაძლიერა.

1925 წლის პირველ ოქტომბრისათვის წარმოკავშირის მოკავშირე ორგანიზაციებზე იყო ვალი ღია ანგარიშებით და თამასუქებით 1.909.910 მანეთი.

ის თანხა წარმოკავშირს ადევს ვალად და გადახდილი აქვს წარსულ 1924—25 საოპერაციო წელში პროცენტები 262.162 მანეთის რაოდენობით და საღერბო და თამასუქების ხარჯი დაახლოებით 20.000 მანეთი.

მაშასადამე წარმოკავშირს გადაუხდია 282.162 მან. ანუ 41,64 პროც. მთელი წლიური ხარჯისა იმ თანხებზე, რომელიც ორგანიზაციებზე არის ვალათ, მაშინ როდესაც ორგანიზაციებს არაფერი გადაუხდიათ ამაში.

წარმოკავშირის დავალიანების 80 პროც. ბანკებშია. ის მარტო პროცენტებში იხდის 59 პროც.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. ორატორები აღნიშნავდენ წარმოკავშირის მუშაობის დეფექტებს სამეურნეო-საფინანსო დარგში და მოსამსახურეების დავალიანების სიდიდეს.

დასასრულ გამოითქვა აზრი, რომ საფინანსო მდგომარეობის გამოსასწორებლათ საჭიროა მთავრობის დახმარება და კრედიტის ვადების გაგრძელება.

### არჩევნები

არჩევნების წინ ამხ. ლ. დუმბაძე აცხადებს, რომ ორი თვის წინათ ის პარტიის მიერ დანიშნული იქნა სხვა თანამდებობაზე და მოითხოვს განთავისუფლებას. გამგეობის სხვა წევრებიც მოითხოვდენ მოვალეობიდან განთავისუფლებას.

საბჭომ დაადგინა გამგეობის აქტიურ წევრთა რიცხვი შემცირებულ იქნეს 3-დე.

ახალ გამგეობაში დარჩნენ: კ. კაკაბაძე (თავმჯდომარე), ხ. თავდიშვილი და დ. გოგაშვილი. დამატებით არჩეულ იქნენ: გ. ელისაბედაშვილი და ტ. ბაიძე.

## ა-კავკასიის ფინანსთა კომისარიატში

### საგლეხო სესხის მე-5 და მე-6 ტირაჟი

პირველი საგლეხო მოგებიანი სესხის მეხუთე და მეექვსე ტირაჟი მოხდება ქ. სამარყანდში (უზბეკთა ავტონომიური რესპუბლიკა).

გათამაშებათა ტირაჟი დაიწყება მიმდინარე წლის 5 დეკემბრიდან. თითეულ ტირაჟში გათამაშებული იქნება 250.000 მანეთი, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირათ: 10 მოგება—1.000 მანეთი თითეული, 150 მოგება—100 მანეთი თითეული, 750 მოგება—50 მანეთი თითეული, 2500 მოგება—25 მან., 6250 მოგება 10 მან. და 12.500 მოგება—5 მანეთი თითეული. სულ გათამაშებული იქნება 22.160 მოგებიანი ბილეთი.

### სახელმწიფო შემოსავალი ოქტომბერში

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო შემოსავალი ოქტომბრის განმავლობაში შემდეგ სურათს იძლევა:

საერთო შემოსავალი უდრის 3.674.710 მანეთს (საქართველო 1.155.694 მანეთი, აზერბეიჯანი 1.446.383 მანეთი, სომხეთი 413.847 მანეთი და ცენტრალური სალარო 658.786 მანეთი).

საერთო შემოსავალი ცალკე მუხლების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირათ: ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 256.066 მანეთი; დანარჩენი პირდაპირი გადასახადები 662.226 მანეთი; არაპირდაპირი გადასახადები 1.840.000 მან; ბაჟი 452.752 მანეთი; არასაგადასახადო შემოსავალი 453.296 მანეთი და საგანგებო შემოსავალი 10.369 მანეთი.

### შემნახველი სალაროების კამპანია

შაბათს, 5 დეკემბერს, დღის 12 საათზე, ა/კ. ფინსახკომის სააგიტაციო ბიუროში შესდგება თათბირი შემნახველი სალაროების კამპანიის ჩატარების შესახებ.

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1. კამპანიის გეგმა ადგილებზე, 2. პროპაგანდა პრესაში. 3. ინფორმაცია კამპანიის მსვლელობის შესახებ. 4. აგიტატორთა კადრის შესახებ. 5 მიმდინარე საქმეები.

## საგეგმო კომისიაში

### ხე-ტყის ნორმების გადასინჯვა

საქართველოში ხე-ტყე შეღავათიან ფასებში ადგილობრივ გლეხობას ეძლევა განსაზღვრულ ნორმებით.

დასავლეთ საქართველოში, კომლზე სახლის ასაშენებლად, ნორმა შეადგენს 850 კუბ. ფუტს, ბეღლისათვის 40 კ. ფ., სასიმინდესათვის—40 კ. ფ. და ბოსელისათვის—220 კ. ფ.

აღმოსავლეთ საქართველოში ნორმა უდრის—სახლისათვის—325 კ. ფ., გომურისათვის—220 კ. ფ., ბეღლისათვის—40 კ. ფ., საბძლისათვის—150 კ. ფ. სულ დასავლეთ საქართველოში საშენებლი ხე-ტყე ეძლევა—415 კ. ფ. ან 5 ტაქს. საჟ., აღმოსავლეთ საქართველოში—735 კ. ფ. ან 3,3 ტაქს. საჟ.

რადგანაც ეს მასალა გლეხს ყოველ წლივ დასჭირდება, ამიტომ წლიწადში შეიძლება საშუალოდ ერთი მეათედი ვიანგარიშოთ, ამ რიცხვში შევა საჭირო რემონტიც.

შეშა გლეხებს ეძლევა ბარში ერთი ტაქსამეტრ. საჟ., მთაში ორი საჟ., ან საშუალოდ ერთნახევარი საჟ., ფიჩხი—ბარში ერთი საჟ. და მთაში ერთნახევარი.

ხე-ტყე ყველა ხარისხისა კომლზე შეღავათიან ფასებში დასავლეთ საქართველოში მოდის 3,2 საჟ., აღმოსავლეთ საქართველოში—3,0. სტიქიურ უბედურებით დაზარალებულთ და ახლად გადმოსახლებულთ აღნიშნულ ნორმის ფარგლებში ხე-ტყე უფასოდ ეძლევა.

საქართველოში ამ ნორმის მიხედვით სოფლის მოშა ხალხს უნდა მიეცეს სულ 1.029.308 საჟ.

ტყის მაქსიმალური ყოველწლიური შემატება არ აღემატება 0,5 ტაქსმეტრ. საჟ. დესეტინაზე, ამნაირად საქართველოს ტყეების ყოველწლიური მაქსიმალური ნამატი არ აღემატება 420.000 ტაქ. საჟ.. მაშასადამე ამ ნორმით გლეხობას დასჭირდება თითქმის ერთი-ორად მეტი, ვიდრე ჩვენი ტყეები შესძლებენ.

ფაქტიურად ხე-ტყე გლეხებს გაცილებით ნაკლები ეძლევათ. მაგალითად, 1924—25 წლის განმავლობაში გლეხობამ სულ ისარგებლა 60.000 საჟენით, ე. ი. თითქმის 20-ჯერ ნაკლები რაოდენობით, ვიდრე მათ ნორმის მიხედვით უნდა გაეტანათ.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის სასოფლო სამეურნეო სექციამ ამ საკითხზე მოისმინა პროფ. ქურციანის მოხსენება, საიდანაც სჩანს, რომ საქართველოში ნორმები მეტად დიდია და საჭიროა მათი გადათვალიერება.

რაც შეეხება ბორჯომის საკურორტო მამულიდან ხე-ტყის სარგებლობას, აქედან ნორმის მიხედვით ადგილობრივ გლეხობას ეძლევა 65 პროც. მთელი იმ ხე-ტყისა, რომელიც ხარჯთაღრიცხვით ყოველწლიურად იჭრება.

მომხსენებლის სიტყვით ამ ნორმის მომატება მთლად შეაფერხებდა ხე-ტყის მრეწველობას და საკურორტო ტყეებს იმდენად მძიმე პირობებში ჩააყენებდა, რომ ხარჯების დასაფარავად საჭირო იქნება დოტაცია არა ნაკლებ 100.000 მანეთისა.

ამის გამო, სასოფლო-სამეურნეო სექციამ არ სცნო შესაძლებლად საკურორტო ტყეებში არსებული ნორმების გადიდება. ვინაიდან აღმოჩნდა, რომ ეს ნორმები საერთოდ ფრიად გადიდებულია, სექციამ საჭიროდ სცნო მათი გადასინჯვა და ტყეების მდგომარეობასთან შეფარდება.

# უცხოელ მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციების გამგზავრება

### გამგზავრების წინ

ჩეხო-სლოვაკელ და გერმანელ მუშა-ახალგაზრდების დელეგაციების გამგზავრების წინ უკანასკნელი დღე მოანდომეს პარიტეტული კომიტეტის პროცესის გაცნობას, რისთვისაც დელეგატები საგანგებოდ ეწვიენ იუსტიციის სახალხო კომისარიატს. დელეგატებმა დაათვალიერეს პარიტეტულ კომიტეტის წევრთა ყველა ჩვენებები, გაეცნენ აგრეთვე პროცესზე წარმოთქმულ სიტყვებს. დელეგატებს თან ქონდათ მენშევიკ ირ. წერეთლის წიგნი, სადაც სხვათა შორის მოთხრობილია პარიტეტული კომიტეტის პროცესის ამბავი. მათ შეადარეს ნახული და ადგილობრივ გაცნობილი წერეთლის ნაამბობს და ერთხელ კიდევ დარწმუნდენ მასში, თუ რამდენათ დაშორებულია საზღვარგარეთის ქართველი ემიგრაციის მიერ საქართველოს შესახებ გავრცელებული ცნობები საბჭოთა სინამდვილეს.

გზადაგზა დელეგატები ეცნობოდენ აგრეთვე საბჭოთა რევოლიუციონურ კანონიერებას და სამართლის წარმოების წესებს.

შემდეგ დელეგატები ესტუმრენ გლეხთა ცენტრალურ სახლს, სადაც ისინი ესაუბრენ სახლის გამგეს და აგრეთვე იქ მყოფ გლეხებსაც.

საღამოს 7 საათზე დელეგატებმა ინახულეს მუშფაკი.

### დელეგაციის შთაბეჭდილებანი.

გამგზავრების წინ მათ გამოსთქვეს სრული კმაყოფილება მით, რაც ნახეს და ისინი რასაც არ მოელოდენ. არც ერთი ცნობა, — ამბობდენ უცხოელი ამხანაგები, რომელსაც ავრცელებენ საბჭოთა მტრები საქართველოზე, არ გამართლდა. აქ მუშა და გლეხი ქმნის თავის სიმდიდრეს, რომლის ბატონ პატრონი თვითონ არის, აქ დაჩაგრულად ვერ იგრძნობენ თავს ისინიც, ვინც გამასწორებელ სახლში მოხვედრილან, რადგანაც იქ შემოღებული რეჟიმი კი არ სჯის, არამედ ასწორებს მოქალაქეს.

### გამგზავრება

საქ. კომკავშირის და პროფორგანოების წარმომადგენლებთან ამხანაგური გამომშვიდობების შემდეგ გერმანელ და ჩეხო-სლოვაკელ ახალგაზრდების დელეგაციები რკინის გზით გაემგზავრენ ლენინგრადისკენ, რომლის დათვალიერების შემდეგ დაბრუნდებიან სამშობლოში.

# ეკონომიურ საბჭოში

### ნაოსნობა მდინარე რიონზე

რადგან ქვეყნის ეკონომიურად განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი პირობაა იაფი და მოხერხებული გზები, ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ და მიზანშეწონილად სცნო ნაოსნობის მოწყობა მდ. რიონზე, რომლის სანაოსნო ნაწილი რკინის გზის სად. რიონიდან სანავთსადგურო ქალ. ფოთამდე, თითქმის 130 ვერსის მანძილზე აერთიანებს საქართველოს სამ მჭიდროთ დასახლებულ მაზრას 500.000 მცხოვრებზე მეტი მოსახლეობით.

საკითხის ეკონომიურად გამოკვლევისათვის ეთხოვა საქ. სახკომსაბჭოს გაიღოს 3.000 მან. თავის სახსრებიდან.

ამასთანავე ეთხოვა ს. ს. რ. კავშირის გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულს ა/კავკასიაში, წინადადება მისცეს ა/კ. ნავთსადგურთა განყოფილებას, დაუყოვნებლივ შეუდგეს მდ. რიონის კალაპოტის მოწესრიგების საქმეს მისი სანაოსნოთ გამოყენების მიზნით.

### სახალხო მეურნეობის აღორძინებისათვის

ეკონომიურმა საბჭომ მოისმინა საგეგმო კომისიის მოხსენება საქ. სახალხო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ ოქტომბერში. მოხსენება დაამტკიცა საბჭომ და საჭიროდ სცნო გატარებული იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. ბამბის კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით, დაევალოს საქართველოს ბამბის კომიტეტს წარმოუდგინოს საქართველოს საგეგმო კომისია არა უგვიანეს ერთი კვირისა ამ დადგენილების მიღების დღიდან, სათანადო მოხსენება ბამბის მთესავთა პურეულით და ფართლეულით მომარაგების შესახებ.

2. რადგან ცენტრის მიერ პურეულის ადგილობრივ დასამზადებლათ გახსნილი კრედიტის პირობები იმდენათ მძიმეა, რომ არც ერთი ადგილობრივი ორგანიზაცია არ ჰკიდებს მას ხელს, და ამავე დროს ამ თანხით დასამზადებლათ ნავარაუდევი პური განსაზღვრულია ჩაითვალოს რესპუბლიკის მიმდინარე წლის გეგმით შემოსაზიდ პურეულში, დაევალოს საქართველოს შინავაჭრობის კომისარიატს აღნიშნული საკითხის შესწავლა და სათანადო შუამდგომლობის აღძვრა ცენტრის წინაშე ამა დადგენილების მიღების დღიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა.

3. რადგან ქუთაისის მაუდის ქარხნის პროდუქციის შემცირების მიზეზი მატყლის ნაკლებობა და საღებავების უქონლობაა, დაევალოს ს. მ. უ. ს. შეისწავლოს ხსენებული ქარხნის ნედლეულით მომარაგების საკითხი და სათანადო მოხსენება წარუდგინოს საგეგმო კომისიას არა უგვიანეს ორი კვირისა ამა დადგენილების მიღების დღიდან.

4. რადგან საქართველოს რკინის გზების ხაზზე მტვირთავ არტელის მიერ საქონლის დიდ სადგურებზე დატვირთვა გადმოტვირთვა დაგვიანებით სწარმოებს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს საქონლის სწრაფ გადაზიდვას, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა რკინისგზის სამმართველომ შეისწავლოს ეს საკითხი და მიიღოს შესაფერისი ზომები მისი თავიდან ასაცილებლად.

5. რადგან ერთის მხრივ—სამრეწველო საგნების სიმკირე, რომელიც მეტად მწვავე ხასიათს იღებს ჩვენს ბაზარზე და მეორე მხრით კი ზოგიერთი საგანი გეგმაზე მეტი არის შემოტანილი, რაც ნათლად მოწმობს, რომ გეგმა შემცირებული რაოდენობით არის დამტკიცებული, დაევალოს ა.-კ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატს რწმუნებულს აღნიშნული საკითხის შესწავლა და სათანადო მოხსენების წარდგენა საგეგმო კომისიაში.

# როგორი კრედიტია საჭირო

უკანასკნელ ხანებში პრესაში აღძრული იყო საკითხი იმის შესახებ, რომ მუშა-მოსამსახურეებს კრედიტის სახით საქონლის მაგივრათ მისცემოდათ ფული. ამის შესახებ ჩვენს თანამშრომელს ა. კ. ს. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატში აცნობეს შემდეგი:

მართალია მუშებისათვის რეალური კრედიტის მიცემა (საქონლით) პრინციპიალურათ სწორია და ის აღწევს თავის მიზანს, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს კრედიტის ამ სახის ორი ძირითადი დეფექტი.

პირველი—საქონლის საერთო ნაკლებობის გამო კრედიტის მიმცემ ორგანიზაციებს არ აქვთ საქონლის საკმაო სრული შერჩევა, რის გამო მუშებს ყოველთვის არ აქვთ საშუალება მიიღონ საჭირო საქონელი; ამრიგათ, გამოდის კრედიტის მიმღებთა არაპირდაპირი დატვირთვა არაპირველი მოთხოვნილების საქონლით.

მეორე—თავის დროზე არ ხდება წაღებული კრედიტის განაღდება, რის გამო ტრესტებს და სინდიკატების წარმომადგენლობა, რომელიც საქონელს აძლევს კრედიტის მიმცემ ორგანიზაციებს, ხშირათ მეტად მძიმე მდგომარეობაში ვარდება. ამაში უმეტეს შემთხვევებში დამნაშავეა ცალკე წარმოებების და დაწესებულებების ადმინისტრაცია, რომელიც თუმცა თავის დროზე უჭერს მუშა მოსამსახურეებს ვალს, მაგრამ თავის მხრივ აჩერებს შეგროვილ თანხებს და პირნათლად არ ასრულებს თავის მოვალეობას მრეწველობის წარმომადგენლობის წინაშე.

რაც შეეხება იმას, რომ მუშა-მოსამსახურეებს კრედიტის სახით საქონლის მაგივრათ მიეცეთ ფული, უნდა ითქვას, რომ მუშებისათვის აუცილებელი საქონლის მიწოდების თვალსაზრისით კრედიტის ამ სახის ნაკლულევანებანი უფრო სერიოზულია.

ფულადი კრედიტის მიზანშეწონილობის დასამტკიცებლათ მოყავთ ის ძირითადი საბუთი, რომ მუშას, რომელიც იღებს ფულის ნიშნების განსაზღვრულ რაოდენობას, თითქოს სრული შესაძლებლობა აქვს უფრო თავისუფლათ აირჩიოს მისთვის საჭირო საქონელი.

მაგრამ ნამდვილათ კი სულ სხვა მდგომარეობა იქმნება. უპირველეს ყოვლისა კოოპერატიული ორგანიზაციები და სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოები განიცდიან საქონლის, განსაკუთრებით ფართლეულობის ქრონიკულ ნაკლებობას. და მიუხედავად, თუ რომელი პრინციპი დაედება საფუძვლად კრედიტის მიცემას, მუშების მთელი მასსა ორივე შემთხვევაში იძულებული იქნება ან დაკმაყოფილდეს იმ ასორტიმენტით, რომელიც აქვთ კოოპერატიულ ორგანიზაციებს და სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოებს, ანდა გავიდეს კერძო ბაზარზე და იქ იყიდოს საჭირო საქონელი.

ფულადი კრედიტის სისტემას კიდევ ის ნაკლი აქვს, რომ მუშებს, რომლებიც კრედიტის სახით იღებენ ფულს, შეუძლიათ ეს უკანასკნელი გამოიყენონ ისეთი საჭიროების დასაკმაყოფილებლათ, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს კრედიტის დანიშნულებასთან. რეალური კრედიტის დროს კი იმ შემთხვევაში, თუ კოოპერაციაში არ აღმოჩნდება საჭირო საქონელი, მუშას შეუძლია უარი სთქვას კრედიტზე.

ზემოაღნიშნულის გამო, ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი პრობლემატიურათ სთვლის ფულადი კრედიტის სარგებლიანობას და უფრო მიზანშეწონილათ მიაჩნია დარჩეს რეალური კრედიტი, რადგან ამ შემთხვევაში, როგორც ზევითაც იყო აღნიშნული, კრედიტის სახით მიცემული თანხები არ წავა კერძო ბაზარზე და ის არ მოხმარდება მუშა-მოსამსახურეების უფრო ნაკლებ მნიშვნელოვან საჭიროებების დაკმაყოფილებას.

რეალური კრედიტი აღიარებულ უნდა იქნეს კრედიტის ერთად-ერთ მიზანშეწონილ და მისაღებ ფორმათ, მაგრამ აუცილებელია რაც შეიძლება დაჩქარებით მოგვარდეს ვალის თავის დროზე გასტუმრების საკითხი.

ფ.

# საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობა

## რეზოლიუცია

ამხ. კახიანის მოხსენების გამო

## ცეკას მოღვაწეობის შესახებ

**მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ, საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობა ცნობს ცეკას პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს სწორად და ჩატარებულ მუშაობას სრულიად დამაკმაყოფილებლად.**

**ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს ცეკას სწორი პოლიტიკის ნაყოფს ეროვნული საკითხის და სამეურნეო კულტურული პრობლემების გადაჭრაში, იმ პოლიტიკის, რომლის შედეგი იყო ანტისაბჭოთა პარტიების დაშლა საქართველოში და მტკიცე გარდატეხა გლეხთა ფართო მასების სულიერ განწყობილებაში საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ.**

(რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად).

## კამათი ამხ. კახიანის მოხსენების გამო

### მეოთხე სხდომა

**თავმჯდომარე:** (ამხ. სეხნიშვილი). ამხანაგებო, საქართველოს კომპარტიის მე-IV ყრილობის მეოთხე სხდომას გახსნილად ვაცხადებ. გრძელდება კამათი ამხ. კახიანის მოხსენების გარშემო. სიტყვა ეკუთვნის ამხ. მამედ ლოლობერიძეს.

### ამხ. მამედ ლოლობერიძე

(აჭარისტანი)

ამხანაგებო, ამ ორი თვის განმავლობაში აჭარისტანში სხვა მდგომარეობა შეიქმნა. ყველა ამან ბევრი მუშაობა, ბევრი დრო წაგვართვა. მერე რისი ბრალი იყო ეს? ეს იყო იმის ბრალი, რომ აჭარისტანში პარტია არ არსებობდა წარსულში, იქ თითქმის არავითარი პარტიული მუშაობა არ ყოფილა; ავიღოთ თუნდ მეფის დრო; არავითარი სწავლა-განათლება არ ჰქონია აჭარის ფუხარა ხალხს, არ ჰქონია ქარხნები და არც მუშაობდა ქარხნებში. აჭარელი თუ სადმე სჩანდა—ის მხოლოდ და მხოლოდ სტრაჟნიკი იყო.

ამბობდენ, მენშევიკების დროს მოხდა „განთავისუფლებაო", მაგრამ ფაქტიურად გაბატონდა ბეგების ორი ჯგუფი—ხიმშიაშვილების-აბაშიძეებისა. ამათგან აბაშიძეები იყვნენ საქართველოს მომხრეები, ხიმშიაშვილები—ოსმალეთისა. ფუხარა ხალხი კი ხან ამას და ხან იმას ეკედლებოდა. მას არ შეეძლო თავის უფლებაზე ეზრუნა.

დაიმხო მენშევიკური მთავრობა და სხვა სიომ დაჰბერა აჭარისტანშიაც. მოხდა აჭარისტანის გასაბჭოება 1921 წ. ადგილი დაიჭირეს ისევ ძველმა ბეგებმა. მაგრამ მალე მათ ნაცვლად შესდგა წითელი მეჯლისი. იგი მუშაობდა, მაგრამ, როგორც აქ ამხ. კახიანმა თავის მოხსენებაში სთქვა, მაინც იყო გადახრა: ერთი—რუსეთისაკენ, მეორე—საქართველოსაკენ. ამაზე აჭარის ფუხარა ხალხმა ვერ შესძლო თავის სიტყვის თქმა. თუ ამას ბოლო არ მოეღება და თუ აჭარაში ისეთ ხალხი არ დადგება, რომელიც გაატარებს კომუნისტური პარტიის ნამდვილ ხაზს, ყოვლად შეუძლებელი იქნება აჭარაში მუშაობა.

როგორც მოგახსენეთ, წინათ აჭარისტანში პარტიული მუშაობა არ იყო. უკანასკნელი რვა თვის განმავლობაში კი თითქმის ოთხასი კაცი ჩაეწერა პარტიაში და კავშირში და თუ წინათ ოთხასი კაცი იყო, იქ ეხლა რვაასი კაცია, მდგომარეობა გაუმჯობესდა იმიტომ, რომ ეხლა გაჩაღდა იქ როგორც საბჭოთა ისე პარტიის მუშაობა. წინად ფუხარა ხალხმა არ იცოდა რა არის პარტია, იქ ადგილი ჰქონდა მხოლოდ პიროვნების გავლენას. თვით ფუხარა ხალხმა კი არაფერი არ იცოდა. მიუხედავად ამისა, ფუხარა ხალხი საბჭოთა ხელისუფლების მომხრეა. მან იგემა მისგან მოტანილი სიკეთე. ფუხარა ხალხმა იგემა თავისი სკოლები, ხიდები, ადგილები ბათომში და ამით იგი კმაყოფილია საბჭოთა ხელისუფლების და ამიტომ მოხდა, რომ მტერმა ვერ ისარგებლა.

როდესაც ჩვენ ხიმშიაშვილზე ვლაპარაკობთ, უნდა შევეხოთ მის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს, მას ხუთი წლის განმავლობაში ბრძოლა ჰქონდა იქ, იყო გადახრა რუსეთისაკენაც, იყო საქართველოსაკენაც. ამას აწარმოებდა რამდენიმე პირი. და ხიმშიაშვილმა ბოლოს სხვანაირი ნაბიჯი გადადგა. მაგრამ, ამხანაგებო, მარტო ხიმშიაშვილი არ იყო იქ. იმ სესიას ყავდა ხოჯები, ყავდა თავისი კაცები, ეს გამოჩნდება და ეხლაც გამოჩენილია. როდესაც ბეგების საკითხი დაისვა (ხიმშიაშვილი არ იყო იქ), მე ამის წინაღმდეგ წაველი, სხდომა გადავდევი იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა ბეგების შემოსვლა. მე ვსთქვი ეს და სთქვა სხვა რამდენიმე ამხანაგმაც. შემდეგ ეს საკითხი დაისვა მეორე კვირაში და გაიარა კიდეც. მე უთხარი ხიმშიაშვილს, რომ ეს საკითხი, საქართველოს ცენტრალურ აღმასკომში დაგვესვა, მაგრამ მან არ ისურვა ეს. ვინ გაბედავდა და ეტყოდა ხიმშიაშვილს, რატომ შვრები ამასო. ასჯერ გადაცდა ხიმშიაშვილი, მაგრამ ავტორიტეტი ჰქონდა, რადგან მუშაობა შეეძლო.

ეხლა ნამდვილი მუშაობაა საჭირო იქ, სხვებთან ერთად მეც ვიმუშავებ, თუ პარტია ხელს შემიწყობს, თუ დირექტივებს მომცემს.

აჭარაში მუშაობა ადვილი არ არის, აჭარა სხვა კუთხეს არა ჰგავს. ხალხი იქ ფანატიკურად არის აღზრდილი. მორწმუნე ხალხია. მართალია, ახლა ფუხარა ხალხმა ნახა სწავლა-განათლება, მაგრამ იგი მაინც მორწმუნეა. იქ ფუხარა ხალხი დაპყრობილი ჰყავთ ხოჯებს. ყველანი სწავლობდნენ ხოჯების ხელმძღვანელობით. დღეს ეს აღარ არის. ეხლა იქ არის საბჭოთა სკოლები.

ამ მეოთხე ყრილობაზე კომპარტიამ ერთ რამეს უნდა მიაქციოს ყურადღება; საჭიროა აჭარისტანის ხალხი საბჭოების ხელისუფლებასთან ერთად მუშაობაში უფრო მეტად ჩავაბათ. მართალია, აქაც ბევრი მასალაა, აქაც ბევრია გაჭირვებული გლეხობა, მაგრამ უნდა იქაური გლეხები აქ გამოვუშვათ ადგილებზე და აქიდან კიდევ იქ წავიყვანოთ, ამას ის შედეგი მოჰყვება, რომ აჭარელი ფუხარა ხალხი და საქართველოს მშრომელი ხალხი ერთმანეთში უფრო ძლიერად იქნება გადახლართული. ეს შეიძლება, მაგალითად, რკინისგზაზე, მილიციაში; ეს უნდა გაკეთდეს.

ახლა, ამხანაგებო, იყო აჭარაში ქალთა შორის მუშაობა? არავითარი. ვისი ბრალია ეს? რასაკვირველია, თქვენი, თუ გინდათ ჩემიც, მე როდესაც მოვიწვიე ქალთა კრება, მიველი და უთხარი, ქალები გამოსულიყვნენ კრებაზე, მათ მითხრეს; შენი ცოლი რატომ არ მოგყავს კრებაზეო. აი შენ, ხიმშიაშვილმა და მოწყობილმა შემოიყვანეთ თქვენი დები, ცოლები კრებაზე და ჩვენც მოვიყვანთო. ასეც უნდა მოვიქცეთ.

ამასთან, ამხანაგებო, ზედმეტი მუშაობა არის საჭირო კოოპერატივებში. ძალიან ცუდად არის დაყენებული ეს საქმე ჩვენში. მაგალითად, შარშანდელი მანდარინი დაილუპა, წარმოკავშირში დღესაც აუარებელი ვაშლებია, ერთი მილიონი ფუთი მარტო ქობულეთშია, მაგრამ თუ გლეხს არ მოახმარეთ ამას, კოოპერაციამ გლეხის ნაწარმოები თუ არ გამოიტანა და არ გაუსაღა, მაშინ ძნელი იქნება იქ მუშაობა. უნდა გავაძლიეროთ კოოპერაციის მუშაობა, ამით გლეხი ხელისუფლების კმაყოფილი იქნება.

### ამხ. თენგიზ ჟღენტი

ამხანაგებო, აჭარისტანის საკითხი საკმარისად გააშუქეს ამხ. ორჯონიკიძემ და სხვებმა, არც კი ვილაპარაკებდი ამაზე, მაგრამ აქ ისეთი რამ იქნა თქმული, რომ ყოვლად შეუძლებელია ამას არ შევეხო. ორი ამხანაგის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ, როგორც იტყვიან, მათ ენა რომ არ ჰქონოდათ, ყვავი წაიღებდა". (სიცილი) ესენი არიან ამხ. შუშანია და ურუშაძე. მათ წარმოსთქვეს სიტყვები, რომელიც ეხებოდა ჩვენს პოლიტიკას აჭარისტანში. აუცილებელად საჭიროა ყველა გაერკვიოს იმაში, თუ როგორი იყო აჭარისტანში ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის და პასუხისმგებელ ამხანაგების მუშაობა აჭარისტანის პარტიულ კონფერენციაზე და აქაც.

ამხ. კახიანმა სამ გადახრაზე ილაპარაკა: რუსულსა, ქართულსა და აჭარულზე. ერთმა ამხანაგმა ხაზი გაუსვა აჭარულ ნაციონალურ გადახრას და ეს თურმე იმაში გამოიხატულა, რომ სახალხო კომისართა საბჭომ მილიციონერი ვერ დანიშნა. უბედურებაც სწორედ იმაშია, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი აჭარაში ისეთ პოლიტიკას ატარებს და ერთი მილიციონერის საკითხის გულისთვის მთელ დავიდარაბას ჰქმნის. უბრალო კურიერისა და მილიციონერის ირგვლივ ასტეხენ განგაშს. დაინიშნა გურიიდან ჩამოსული ჟღენტი თუ მეგრელიძე, ან ხულოდან მოსული ხაჰსან ბერიძე. აი ამ გარემოებაში ხედავენ საქართველოს თუ აჭარისტანის მომხრეობას. თუ კი ზოგიერთი ამხანაგი განიკურნება ამ სენისაგან, თუ კი ისინი საკითხებს სწორად დასვამენ, ჩვენში ადგილი აღარ ექნება არც რუსულს, არც ქართულსა და არც აჭარულ გადახრას. ყოვლად შეუძლებელია, რომ ვინმემ სთქვას თითქოს აჭარელი სხვა ყალიბის კაცი იყოს, ქართველი კი სხვისაო. ჩვენ გვინდა აჭარელი კომუნისტი. და იქ რომ ვაწარმოოთ შოვინისტური, ნაციონალისტური პოლიტიკა, რომ ვსთქვათ გვინდა აჭარლები გახდენ ქართველებად ან თათრებადო, ეს არ იქნება სწორი.

საქმე ისაა ამხანაგებო, რომ ზოგიერთს ნათლად არა აქვს წარმოდგენილი თუ რას წარმოადგენდა ქედის სესია. მოხდა ის, რომ ჩვენი პარტიის ერთ-ერთმა წევრმა ვერ აიტანა, ან და ვერ შეიგნო ჩვენი პარტიის პოლიტიკა, მისი პრინციპები და დისციპლინა.

ამხ. მამედ ლოლობერიძე სწორედ მიუდგა ამ საკითხს. მაგრამ მას იმასვე ვეტყვი, რაც უთხარი, აჭარის სესიაზე,—უთხარი რომ ხიმშიაშვილი აღარ არის აქ, მაგრამ არიან სხვები ხიმშიაშვილისტები.

ვინ არიან ბათომელი ქართველები. ეს უმეტესად არის ძველი ქართველი ჩინოვნიკები. მათ სურთ იქ აამღვრიონ წყალი. საჭიროა ისინი ავალაგმოთ, ხოლო ზოგიერთი ამხანაგი კარგად გაერკვეს ნაციონალურ საკითხში.

### ამხ. კვირიკაძე

ამხ. კახიანმა თავის მოხსენებაში წითელ არმიაში მუშაობის შესახებ თითქმის ვერაფერი სთქვა. უმთავრესი მუშაობა, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა ამ მიმართულებით ჩაატარა საანგარიშო წელში—ეს იყო ორგანიზაცია ტერ-დივიზიისა.

მაგრამ ცეკას მუშაობას თავისი ნაკლი აქვს: მოსახლეობაში სამხედრო ცოდნის შეტანის საკითხს საბჭოთა პრესაში მოსკოვში და ლენინგრადში—დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ჩვენში კი ეს ასე არ არის. ჩემის აზრით, ეს დიდი ნაკლია. ჩვენს მომავალ ცენტრალურ კომიტეტს მოეთხოვება ამ საკითხს სერიოზული ყურადღება მიაქციოს.

ამხ. კახიანმა თავის მოხსენებაში სთქვა, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ორ მილიონ ცალამდე წითელი ლიტერატურა გამოსცა. მაგრამ ამ ორი მილიონი ეგზემპლარიდან არც ერთ წიგნში არ არის განხილული სამხედრო-პოლიტიკური საკითხები. მე ვფიქრობ, რომ ორი მილიონი წიგნიდან, რომლებიც გამოშვებულია, 1—2000 შეიძლება მოგვეხმარებინა სამხედრო პოლიტიკურ საკითხებისათვის.

შემდეგ მინდა ვსთქვა იმ ყოველდღიური ლიტერატურის შესახებ, რომელიც გამოდის არმიისათვის. 1921 წლიდან ჩვენ გვაქვს ყოველდღიური გაზეთი, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი. რაკი გაზეთი საჭიროდ არის ცნობილი, და მისი დახურვა არა სურთ, მაშასადამე ის უნდა უზრუნველვყოთ.

შემდეგ მე შევეხები ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოს „კომუნისტს". ჯარში ჩვენ გვყავს პოლიტხელები, რომლებსაც ხელთ უნდა ჰქონდეთ ყოველდღიური მასალა, იმისთვის, რომ ამხანაგებს განუმარტონ მიმდინარე საკითხები. ავიღოთ თუნდა მე-2 ინტერნაციონალის კონგრესი. ამ საკითხის შესახებ არის მრავალი დეპეშა, მაგრამ ამის შესახებ წერილს ვერ ვხვდებით ჩვენს გაზეთში. იგივე ითქმის შინაურ და საერთაშორისო ცხოვრების ზოგი სხვა საკითხების შესახებაც.

ახლა სწავლის ფულის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ მართალია ამხ. ორჯონიკიძე, როდესაც მოითხოვს აქ საკითხის გადასინჯვას.

### ამხ. შავერსკი

ამხანაგებო! მე არ ვიცი, როგორ გაიგეს ამხ. კახიანის და ორჯონიკიძის სიტყვები.

თუ ჩვენ ამ სიტყვებს სრულის მნიშვნელობით გავიგებთ, გამოვა, რომ აჭარისტანში მოხდა პარტიული მასის სრული ჩამოშორება მცხოვრებთაგან.

ამაში ღრმა შეცდომას ვხედავთ: რატომ? იმიტომ, რომ აჭარისტანში არ ყოფილა პარტიულ მასის ჩამოშორება მცხოვრებთაგან. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აჭარისტანში პარტიული მასა მცირეა.

ამხ. ორჯონიკიძე: იქ, ბათომის ორგანიზაციაში ათასი წევრი ითვლება.

ათასი კი ათასი, მაგრამ როგორია მისი ღირსება. ყველაში ბრალს ამხ. ჟღენტს ვერ დავსდებთ. ჩვენ აჭარისტანში ხშირად გვესტუმრებიან ხოლმე დიდი კაცები (სიცილი) და ხანდისხან იმით კმაყოფილდებიან, რომ ჩამოვლენ ბათომს და იმის იქით კი ფეხს არ გაადგამენ.

აქ წამოაყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ აჭარისტანში ქალთა შორის მუშაობა ცუდად მიმდინარეობს, რომ არ არის კლუბები და სხვა.

ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჯერ საჭიროა გადასვლა არა საკლუბო სამუშაოზე, არამედ ქოხებში მუშაობაზე, რადგან აჭარელი ქალი კლუბში არ წამოვა.

აქ აღნიშნავდენ, აჭარისტანის მცხოვრებთა შორის არავითარი მუშაობა არ სწარმოებსო. მე უნდა ვსთქვა, რომ ჩვენ მიერ, განაპირა კუთხეებში მომუშავეთა მიერ, პარტიულ კომიტეტის საშუალებით კეთდება გარკვეული სამუშაო. აჭარისტანის ყოველმა სამხედრო ნაწილმა მიიღო თავის თავზე სოფლების შეფობა; ეს უკანასკნელი მარტო მიტინგების მოწყობაზე როდია დამყარებული. იგი ასე თუ ისე შეხვედრის სახეს ატარებს. ძალიან ბევრის მიცემა, რასაკვირველია, არ შეგვიძლია, მაგრამ ჩვენ მაინც უგზავნით ქართულ სამეურნეო ლიტერატურას და გამოვიწერეთ რამდენიმე ცალი გაზეთი ჩვენ მიერ მოწყობილ ქოხ-სამკითხველოებს.

როგორ მუშაობს აჭარისტანში კოოპერაცია?

იგი ასე თუ ისე შესაფერისად მუშაობს, მაგრამ უბედურება ის გახლავთ, რომ ჩვენ არა გვაქვს რესურსები და ჩვენი კოოპერაცია ვერ ასცდენია გაფლანგვას.

შემდეგ, მუშაობა ახალ. კომ.-კავშირში.

ახ. კომკავშირი, როგორც აღნიშნა ახკომკავშირის ცენტრ. კომიტეტის მდივანმა, მართალია გაიზარდა რაოდენობრივად, მაგრამ ღირსებით კი ჯერ არ გაუმჯობესებულა. ასეთივე მდგომარეობაა აჭარისტანის ახკომკავშირის ორგანიზაციაში; ახ.-კომკავშირის ზრდა დიდია, მაგრამ მისი თვისების გაუმჯობესებისათვის კი არა გვაქვს არავითარი შესაძლებლობა არც მატერიალური რესურსებით და არც ხელმძღვანელობით.

### ამხ. ბახტაძე

ამხანაგებო, მე შევჩერდები ამხ. კახიანის მოხსენების ორ მომენტზე.

1-ლი—მენშევიკური ავანტიურა.

ამხ. კახიანმაც და პლენუმმაც სწორად შეაფასეს ეს ავანტიურა—რომ ეს გამოსვლა იყო ნაკარნახევი მენშევიკების საზღვარ-გარეთელი ბიუროს მიერ. ამხ. კახიანი სწორად აღნიშნავს, რომ ამ გამოსვლებს მეთაურობდენ აზნაურები, თავადები ვაჭრები და სხვა პირები, მაგრამ ავანტიურისტების ამ თაიგულმა გაიყოლია გლეხობის ერთი ნაწილიც. ცხადია, რომ ჩვენ გვქონდა რაღაც ნაკლი. ჩვენ ძირითად აპარატებს არამც თუ იმ დღეებში, როცა მენშევიკების ავანტიურა სწარმოებდა არ ჰქონდათ, არამედ ახლაც ვერა აქვთ ისეთი სახე, რომელიც შეეფერება გლეხობის მოთხოვნილებებს. კომუნისტები, რომლებიც უდგანან სათავეში თემ-ს აღმასკომებს და სოფლის საბჭოებს, სწორ პოლიტიკას არ ადგენ და ზოგჯერ თავისი პოლიტიკით კიდეც ეხმარებოდენ მენშევიკების გამოსვლას.

სოფლად ცოტა რამ არის გაკეთებული, მაგრამ ბევრი ჯერ კიდევ გასაკეთებელია. რევოლიუციონური კანონიერების ლოზუნგები მთლად არ ხორციელდება. როდესაც რომელიმე საბჭოთა დიდი კაცი ან საბჭოთა მოხელის დანაშაული დაუსჯელი რჩება, მე გეკითხებით, შეუძლია თუ არა მას დაიმსახუროს გლეხობის სიმპატია. რა თქმა უნდა, არა.

მეორე საკითხს, რომელსაც გაკვრით შეეხო ამხ. კახიანი, არის დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სიჭარბე. მაგრამ ამხანაგებო, ამაზე ლაპარაკი გაკვრით არ უნდა, არამედ ეს საკითხი სერიოზულად უნდა დაისვას ყრილობაზე. ეს საკითხი მომავალში ც. კ.—მა უნდა შეისწავლოს და წამოაყენოს მთელი თავის სიღრმით.

ჩვენ გვეუბნებიან რომ ც. კ.-ს ხაზი იყო სწორიო. მე გეკითხებით, თუ ეს ხაზი იყო სწორი, მაშ საიდან გამოჩნდა აჭარისტანის საკითხი; თუ ეს ხაზი იყო სწორი რატომ ც. კ.-ის დღის წესრიგიდან არ იშლება საკითხი აფხაზეთის შესახებ. თუ ც. კ.-ის პოლიტიკა სწორი იყო, მაშინ ვიღაცას მისი სწორი ხაზი ადგილობრივ გაუმრუდებია. ჩვენ ამას დავამტკიცებთ და ამის შესახებ უნდა ვილაპარაკოთ.

ამხანაგებო, როდესაც აჭარაში (მე ორი წელიწადი იქ ვმუშაობდი) იდგა პრინციპიალურ ხასიათის საკითხი, ეს საკითხი პარტიის იქაურ ხელმძღვანელ ორგანოში სწყდებოდა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ უყურებს ამას ამხ. ხიმშიაშვილი.

ამხანაგებო, ავიღოთ ასეთი დამახასიათებელი ფაქტი: 23 წელს მე მქონდა ამხ. ხიმშიაშვილთან დავა ბეგების საკითხის შესახებ; ე. ი. იმ ბეგების, რომლებიც გადავასახლეთ აჭარისტანიდან და რომლებიც შემდეგ ცდილობდენ უკან დაბრუნებას. ხიმშიაშვილს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ამ საკითხის გამო მიემართა ც. კ.-სათვის, იმიტომ რომ ის იქ სათანადო პასუხს მიიღებდა; ასეთი იყო ც. კ.-ტის ხაზი ამ საკითხში. მე ვატარებდი არა ჩემ ხაზს, არამედ ც. კ.-ისას. ბეგების გავლენისაგან უნდა გაგვეთავისუფლებია აჭარისტანის ფუხარა ხალხი და ამ ხაზს ჩვენ მტკიცედ ვატარებდით.

ახლა რაში მდგომარეობს ცენტრალურ კომიტეტის უსწორ-მასწორო მუშაობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ავტონომიურ რესპუბლიკებში ც. კ.-ი საკმაო გაბედულებით ვერ ამჟღავნებდა თავის მუშაობას ორგანიზაციაზე.

ამიტომ ცენტრალურ კომიტეტმა უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, თუ ჩვენი ორგანიზაცია არ ვარგა, გვაწრთვნათ იგი და მოვახდინოთ მისი ბოლშევიზაცია.

ახლა გადავალ აფხაზეთზე. ამხანაგებო, უკანასკნელ ამბებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთში, შეიძლება უწოდოთ, ბურჟუაზიულ ენაზე რომ ვსთქვათ, მთავრობის კაბინეტის გადადგომა. ქართველებს არ შეეძლოთ აეძულათ აფხაზები გადამდგარიყვნენ.

სწორად აღნიშნა ამხ. სერგომ, რომ ქართველმა ამხანაგებმა ნამდვილად მხარი დაუჭირეს ამ გადადგომას.

საერთოდ, უეჭველია ჩვენ უთანხმოება გვქონდა, იყო ეგრედწოდებული კინკლაობა და, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, სრულიად კანონიერი ოპოზიცია, კანონიერი კრიტიკა იყო ცენტრალური კომიტეტის ხაზის უსწორო გატარების წინააღმდეგ. ცენტრალური კომიტეტის ხაზი ა|კავ. საოლქო და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი ცხოვრებაში არ ტარდებოდა. აი ასეთი უთანხმოება არსებობდა.

ახლა ეროვნულ საკითხს შევეხოთ. იგი განსაკუთრებულ მწვავე ხასიათს იღებს აფხაზეთში, სადაც რთული ეროვნული ხლართი არსებობს, სადაც არსებობს ეროვნებათა დიდი კონგლომერატი და ამ საკითხის გადაჭრაზე არის დამოკიდებული თუ როგორ მოეპყრობა ყველა ამ ეროვნების გლეხობა საბჭოთა ხელისუფლებას. ამიტომ ჩვენ ავიღეთ კურსი ამ საკითხის სწორი გადაჭრისათვის. აქ ციტატები მოიყვანეს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სხდომის ოქმიდან. გამოიტანეს ვრცელი დადგენილება და რეზოლიუცია ამ საკითხის შესახებ, ამის შემდეგ კი ამავე საკითხის შესახებ დადგენილებათა მთელი რიგი გამოაქვს ცენტრალურ კომიტეტს.

მე გეკითხებით, გატარდა თუ არა ეს დადგენილებანი ცხოვრებაში. არა, არ გატარებულა. ამხ. კახიანმა აღნიშნა, რომ სამურზაყანოს მაზრაში საქმისწარმოება; დღემდე რუსულ ენაზე არის და ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. მაგრამ უნდა სთქვათ, რომ ის აქამდეც რუსულ ენაზე სწარმოებს. განა თქვენს დადგენილებებ ატარებენ ცხოვრებაში?

შემდეგ, ამხანაგებო, ჩვენ გვქონდა ზოგიერთის პრინციპიალური ხასიათის უთანხმოებაც ეკონომიური საკითხის გარშემო, და კერძოთ თამბაქოს პოლიტიკის გარშემო.

თამბაქოს პოლიტიკა შემდეგნაირად ტარდება. 21 წ. 5 ათასი დესეტინა ნათესი გაიზარდა 60 ათასი დესეტინამდე. თითქოს ერთგვარი პროგრესი ემჩნევა ამ დარგს, მაგრამ მეორე მხრით არის ასეთი შემთხვევებიც: ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობამ 400 ათასი მან. მოიგო თამბაქოს ოპერაციაზე. რასაკვირველია ამ საქმეზე 400 ათასის მოგება შესაძლებელია. ეს პროდუქტი მეტად შემოსავლიანია და საღდება არა მარტო ჩვენს კავშირში, არამედ უცხოეთშიაც. მაგრამ რა გზით მოიპოვა 400 ათასიანი მოგება ა|კ. სახელმწიფო ვაჭრობამ. უკანასკნელი ყიდულობს პირველი ხარისხის თამბაქოს მეორე ხარისხის ფასებში; მეორე ხარისხის—მესამე ხარისხის ფასებში.

ეხლა ჩვენ გვეუბნებიან, რომ საკითხი უკვე გადაწყდა. მაგრამ მე ვიტყვი, მისი სავსებით გადაწყვეტა შეუძლებელია.

### ამხ. ბაქრაძე

ამხანაგებო, მე მინდა შევეხო რამდენიმე საკითხს, რომლებიც ჩემის აზრით ადგილებზე მეტად მწვავედ არის დაყენებული. ეს საკითხია ცოცხალი კავშირის გაბმა ძირითად უჯრედებთან და პარტიული ხელმძღვანელობის გაწევა მათზე. ამ საკითხის გატარების დროს ჩვენ გვქონდა მრავალი დაბრკოლებანი მიმოსვლის მხრივ.

ჩვენ ეხლა ვემზადებით არჩევნებისათვის. ემზადებიან ჩვენი მტრებიც. როდესაც სამზადისს შევუდექით, ვნახეთ, რომ უჯრედები სავსებით არ არიან მომზადებულნი, პირადად, მე მოვიარე რამდენიმე უჯრედი და იქ მითხრეს—თუ არჩევნებზე იქნა სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელი ყველაფერი კარგად იქნება, თუ არა და არაო. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ არა აქვთ საკმარისი მომზადება, ამას კი ყურადღება უნდა მიექცეს.

შემდეგ მინდა შევეხო კომპარტიის მუშაობას. ჩვენ მაზრაში კომკავშირში არის 1200 წევრი. ამ მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას ესაჭიროება, როგორც ზნეობრივი, ისე პოლიტიკური აღზრდა...

აგრეთვე, ამხანაგებო, უნდა ითქვას, რომ პარტიის და კომკავშირის ადგილობრივი მდივნების ეკონომიური მდგომარეობა მეტად მძიმეა.

შემდეგ გადავდივარ სახალხო განათლების საკითხზე. ჩვენ წარსულ წლებში ვეუბნებოდით გლეხებს: „ააგეთ სკოლები, მოიყვანეთ თქვენი შვილები", წელს იმდენი მოწაფე მოაწყდა ჩვენ სკოლებს, რომ ვერ დავეტიეთ, ჩვენ გლეხებს შარშან ვეუბნებოდით, „ააშენეთ სკოლები და მასწავლებლებს ჩვენ მოგცემთ". 18 სკოლა არის აშენებული, თხოულობენ მასწავლებლებს და ჩვენ არა გვაქვს საშუალება დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნილება. ამას, ამხანაგებო, ყურადღება უნდა მიექცეს, განსაკუთრებით დუშეთის მაზრას როგორც უფრო ჩამორჩენილ კუთხეს.

შემდეგ ბიუჯეტის შესახებ. შარშანდელი ბიუჯეტით ჩვენ სამაზრო აღმასკომს არ მისცემია განსაზღვრული რაოდენობის თანხა. ჩვენ გვქონდა დავალიანება წარსული წლის 17,000 მან. თანახმად განკარგულებისა, ეს დავალიანება წარდგენილი იყო ახალ ბიუჯეტთან ერთად, მაგრამ იგი ამოშალეს.

### ამხ. გ. სტურუა

ამხ. კახიანის მოხსენების გამო არ ვფიქრობდი გამოსვლას იმდენად, რამდენადაც, ჩემის აზრით, ამ მოხსენებამ სავსებით ამოსწურა ყველა საკითხები, მაგრამ, როდესაც ეროვნული საკითხის შესახებ აქ გამოვიდა მთელი რიგი ორატორებისა, მე კი მუშაობა მიხდება ერთ-ერთ ასეთ ეროვნულ რესპუბლიკაში, საჭიროდ მიმაჩნია ვსთქვა რამდენიმე სიტყვა ეროვნული პოლიტიკის გატარების შესახებ.

ამ ეროვნულ რესპუბლიკებში მომუშავე ამხანაგები გამოვიდენ აქ. გამოვიდა ამხ. ბახტაძეც. ის ამგვარად აყენებს საკითხს: თუ ეროვნულ რესპუბლიკებში ცენტრალური კომიტეტის ხაზი სწორე იყო, მაშ რაღად მოხდა გაუგებრობაო. რის თქმა სურდა ამით. ალბად იმისი, რომ ცენტრალური კომიტეტის ხაზი არ იყო სწორი და ის კი მართალი იყო და ცენტრალურ კომიტეტს რომ მისი სიტყვა დაეჯერებინა, მაშინ ყველაფერი ჩინებულად იქნებოდა. ამის შემდეგ კი ის სხვადასხვა წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც ლაპარაკობს აფხაზეთის სახალხო კომისართა სამსახურიდან გადადგომის შესახებ. ამგვარად გამოდის, რომ თითქოს მოხდა კანონიერი ოპოზიცია ც. კ.-ის გეზის უკანონოდ გატარების წინააღმდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ თუმცა ცენტრალური კომიტეტის ხაზი სწორე იყო, მაგრამ რომელიღაც ოპოზიცია გამოჩნდა ცენტრალური კომიტეტის ხაზის უსწორო გატარების წინააღმდეგ.

ამხ. ბახტაძე ამბობს, რომ მას ბედნიერება ჰქონდა 4—5 წელიწადი ემუშავნა ამ რესპუბლიკებში. მას საკმარისი დრო და საშუალება ჰქონდა სწორედ გაეტარებინა ცენტრალური კომიტეტის ეს ხაზი. ამაში მას ხელს არავინ უშლიდა, პირიქით ეხმარებოდენ კიდეც. მაშ, რატომ არ არის მოხსნილი ცენტრალური კომიტეტის დღის წესრიგიდან აფხაზეთის საკითხი, სწორედ იმიტომ, რომ თვითონ ამხ. ბახტაძეს ეს ხაზი არ გაჰყავდა ისე, როგორც ესმოდა ცენტრალურ კომიტეტს და მასაც ავალებდა. ის თვითონ აცხადებს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა სწორად გადასწყვიტა ეს საკითხი და ამიერ-კავკასიის თათბირმა, ა|კ. საოლქო კომიტეტის პლენუმმაც სწორედ გადასჭრეს ეს საკითხი, ხოლო შემდეგ, როდესაც საოლქო კომიტეტს ცხოვრებაში გაჰყავდა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება, მაშინ, ბახტაძის აზრით ეს გადაწყვეტილება შეცდომათ აღმოჩნდა. გამოდის, რომ ცენტრალური კომიტეტი უარჰყოფს თავის საკუთარ ხაზს. როგორ უნდა მომხდარიყო ეს. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი ორგანო, რომელიც უარყოფდეს თავის დადგენილებას! ამხ. ბახტაძე ამის შესახებ პირდაპირ კი არ ლაპარაკობდა, არამედ ძალიან ბუნდოვანად. აქ ამხ. აკირტავამაც ილაპარაკა 20 წუთის განმავლობაში ამის თაობაზე და იმ დროს სულ ენის წვერზე მიდგა კითხვა: „რისი თქმა გინდა ბოლოს და ბოლოს. პირდაპირ სთქვი". და როდესაც ეს კითხვა დაუსვეს მხოლოდ მაშინ უპასუხა, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა [illegible] ხელები და მტკიცედ შეუდგეს თავის ხაზის გატარებასო. ამხ. აკირტავა იყო ჩვენს სამაზრო კონფერენციებზე, სოხუმის ორგანიზაციის აქტივის გაფართოებულ თათბირზე, სრულიად სოხუმის კონფერენციაზე და არც ერთი სიტყვა არ დაუძრავს, რომ ეს ხაზი [illegible] უნდა გატარდესო. გვითხარით მაინც, როგორ უნდა გაკეთდეს ეს. ამხ. ბახტაძე მართლა ამბობს, რომ ორგანიზაცია უნდა აღვზარდოთ, მაგრამ ის მეთოდები რომლებთაც ის მიმართავს ყოვლად შეუფერებელია.

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ, ეროვნული პოლიტიკის გატარების საქმეში ჩვენს განაპირა ქვეყნებსა თუ ეროვნულ რესპუბლიკებში უსათუოდ საჭიროა დიდი სიფრთხილე და ამ პოლიტიკის გატარების დროს საჭიროა ფხიზლად გვეჭიროს ყური, რადგანაც ამას, მეტ წილად ხან თავისდა უნებურადაც, ხან კი შეგნებულად გამოეხმაურებიან ხოლმე ჩვენი მტრები და [illegible].

ის ამხანაგები, რომლებიც დიდ პოლიტიკას ეპოტინებიან, უნდა ჩამოვიდნენ ციდან და იმუშაონ დედამიწაზე. ცაში სხვები მუშაობენ და ჩემი და თქვენი საქმე კი, ამხ. ბახტაძე, ის არის, რომ ყური ვუგდოთ, კარგად შევისწავლოთ ეს პოლიტიკა, კეთილსინდისიერად გავატაროთ ის ადგილობრივ. უნდა გაგვყავდეს ცენტრალური კომიტეტის პრაქტიკული გეზი, რომელიც თქვენ არ გაგვყავდათ.

### ამხ. ჭაბუკიანი

(ლეჩხუმი)

ამხანაგებო, ლეჩხუმისა და რაჭის გლეხობა საჭიროებს სოფლის მეურნეობის ნაყოფიერ განვითარებას. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი მაზრა მდიდარია ხილით, ღვინით, იქ მზადდება საუკეთესო აბრეშუმი; მაგრამ მას გზები არა აქვს; ამიტომ აქ პირველ რიგში უნდა დაისვას საკითხი გზების გაყვანის შესახებ. როდესაც აქ ამხ. კახიანი აკეთებდა მოხსენებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, მან არ ახსენა თუ ამ ბიუჯეტის რა ნაწილი ეკუთვნის გზათა აღმშენებლობას. საჭიროა აქ გამოვარკვიოთ თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან რამდენი პროცენტი აქვს დათმობილი საგზაო მშენებლობას. ამას საჭიროებს რაჭისა და ლეჩხუმის მაზრები და აგრეთვე სვანეთიც.

აქ ილაპარაკეს რევოლიუციონურ კანონიერების შესახებ, მაგრამ, საუბედუროთ, ზოგიერთი უშუალო გამტარებლები კანონისა მაზრებში, პროკურორები, არ იცნობენ საბჭოთა კანონმდებლობას, არ იციან პარტიის ხაზი, არ წაუკითხავთ არც ერთი ყრილობის დადგენილება და არ იცნობენ სავსებით ჩვენ საქმიანობას. ჩვენ ბევრჯერ დაგვისვამს ამის შესახებ საკითხი დასავლეთ საქართველოში. ჩვენ ვამბობთ, რომ პროკურორი არის თვალი საბჭოთა ხელისუფლების კანონების გატარებაში. პროკურორის ადგილზე უნდა იყოს ძველი პარტიული წევრი, მას უნდა კარგად ესმოდეს, შესისხლხორცებული ჰქონდეს კლასობრივი ინტერესები, რომ მან შესძლოს გაატაროს ცხოვრებაში ეს კანონმდებლობა.

გუშინ ამხ. მიშა შეეხო მიწის საკითხს. ჩვენ, მაზრებში მომუშავენი, მოვდივართ სამას ვერსიდან ამ საკითხზე სათანადო დავალებათა მისაღებად და ვერ ვიღებთ ჯეროვან პასუხს.

მიუხედავად იმისა, ამხანაგებო, რომ ლეჩხუმის მაზრაში მიწის სიმცირეა, საადგილ-მამულო რეფორმის გატარების დროს ჩვენ შევძელით ოთხასი დესეტინა მიწა ღარიბ გლეხებისათვის გადაგვეცა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოფილა კიდევ ჩამოსართმევი მიწები. ამ საკითხში პროკურატურამ მემამულეებს დაუჭირა მხარი და ჩვენს მუშაობას ხელი შეუშალა. პროკურორები მემამულეებს ექომაგებოდენ, მიწებს უბრუნებდენ მათ და ამით რეფორმას არღვევდენ. უნდა მოიხსნან და პასუხისგებაში იქნან მიცემულნი ის პირები, რომლებიც რევოლიუციონურ კანონებს კი არ ახორციელებენ, არამედ თვით არღვევენ მათ.

### ამხ. ლაკობა

(აფხაზეთი)

ამხ. კახიანის მოხსენება ცენტრალური კომიტეტის მოხსენების შესახებ უსათუოდ ჩვენი პარტიის ამ ყრილობის მოწონების ღირსია. ცენტრალური კომიტეტის მიერ წარმოებული მუშაობა საანგარიშო დროს განმავლობაში აშკარაა, ამ მუშაობის შედეგებიც დიდია შემდეგ საკითხებში: ნაციონალურ პოლიტიკაში, სამეურნეო და საბჭოთა აღმშენებლობაში და სხვა. მე საქმის ამ მხარეზე არ მინდა შეჩერება. მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმ საკითხებს, რომლებიც უშუალოდ ეხებიან აფხაზეთს.

ამხანაგებო! აფხაზეთის საკითხზე აქ ბევრი ილაპარაკეს. რაში მდგომარეობს აფხაზეთის საკითხის მთავარი ძარღვი. რომ ცოტად თუ ბევრად ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს დღეს აფხაზეთი, ჩვენ მოგვიხდება ცოტა შორიდან დაწყება.

საკითხი აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ ჯერ კიდევ 1921 წელში, ე. ი. აფხაზეთის გასაბჭოების დღიდანვე დაისვა. საკითხი წამოყენებული იყო ჩემ და ამხ. ეშბას მიერ. ჩვენ ამხ. სერგოს და ელიავას ბათომში ვუმტკიცებდით, რომ ასეთი დამოუკიდებულობა ამჟამად საჭიროა საბჭოთა ნამდვილ ხელისუფლების შესაქმნელად აფხაზეთში. ამ ამხანაგებმა გვიპასუხეს, თუ აფხაზეთში ნამდვილ საბჭოთა ხელისუფლების შესაქმნელად საჭიროა დამოუკიდებლობა, მიირთვით.

ასე დავბრუნდით ბათომიდან აფხაზეთში.

გვერიდებოდა ჯერ ჩვენი თავისთვის გვეწოდებინა რესპუბლიკის პრეზიდენტები, სახალხო კომისრები და სხვა. მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ მოკრძალებამ გაიარა, და ჩვენ ნამდვილი დამოუკიდებლობა გავატარეთ ერთ მშვენიერ დღეს თავს წამოგვადგა იტალიის გემი. უცხოეთის გემის კაპიტანი მოდის ლაკობას კაბინეტში, სხვა კომისრების კაბინეტშიც. ჩვენ მას ვხვდებით ისე, როგორც მინისტრების და დიპლომატების წესი მოითხოვს.

ამ გარემოებას ზედ ერთვის კიდევ აფხაზეთის ხალხის სხვა ტრადიციაც. აფხაზი თავის თავს „აფსუა"ს უწოდებს. რომ გადავთარგმნოთ, ეს ნიშნავს „სულის კაცს". რომ ჰკითხოთ აფხაზ პოეტს, თუ რად უწოდებს აფხაზი ასე თავის თავს, ის გიპასუხებთ, იმიტომ, რომ ის სტუმართმოყვარეა, რომ იგი მშვენიერ ბუნების წიაღში სცხოვრობს და სხვა. და მეც ცოტათი ვიზიარებდი ამ ტრადიციას, მაგრამ მე ამხანაგმა სერგომ სხვანაირად ამიხსნა საქმე და მეც მას დავეთანხმე. მან ამიხსნა, რომ აფხაზეთს მდიდარი ქვეყანაც რომ ჰქონდეს, აქედან რა სარგებლობა იქნებაო. ამ მდიდარ აფხაზეთისაგან გლეხები ჯერჯერობით არაფერს იღებენ. იქ მიწის წიაღში რაღაც არის, მიწის ზევითაც არის რაღაც, მაგრამ აფხაზეთის ხალხს მალიარია სულს უხუთავსო. „სულის კაცი" ალბად იქიდან წარმოსდგა, განაგრძო ახსნა ამხ. სერგომ, რომ აფხაზი არც რუსულად ლაპარაკობს, არც თურქულად და არც ქართულად ჰსურს ილაპარაკოს, არავისთან კავშირი არა აქვს, მას არავინ არ ხედავს და არც თვითონ ის ხედავს ვისმე. მან დაირქვა „სულის კაციო".

მაგრამ ამხ. სერგოს ეს განმარტება ცოტა გვიან მოვისმინეთ. რამდენიმე წლის განმავლობაში კი ჩვენ გვეგონა, რომ მართლაც „სულის კაცები" ვიყავით. და რაკი ჩვენ დამოუკიდებელი რესპუბლიკა ვართ, ვფიქრობდით, რომ ყველაფერი აფხაზეთს გარშემო უნდა დატრიალებულიყო.

ამხ. კახიანი მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ ზოგიერთ ამხანაგებს თავში უტრიალებდა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შესვლის აზრი და სხვ. ასეთი აზრი ბევრ პასუხისმგებელ ამხანაგს და მათ შორის მეც მაბოდებდა, მაგრამ საქმე ბოდვის იქით არ წასულა (სიცილი).

კახიანი: ბოდვა დასაძრახისი არ არის.

ლაკობა: ჩვენ რომ ავად ვიყავით, ამას ძალიან მალე მივხვდით. და ამ აზრს ერთხელ და სამუდამოთ გამოვეთხოვეთ. იმიტომ კი არა, რომ ამხ. კახიანი დაგვემუქრა. არა ამხ. კახიანმა სხვანაირად დასვა საკითხი: „თუ პირდაპირ გინდათ მოსკოვს შეუერთდეთ, შეუერთდით, თუ ა|კ. ფედერაციაში გინდათ შესვიდეთ, შედით, მაგრამ საჭიროა გამოვარკვიოთ, რას მოითხოვს აფხაზეთის ინტერესებიო".

მიგვითითა თუ არა მან საკითხის ამ მხარეზე, ჩვენ მივხვდით, რომ სერგოს სიტყვის არ იყოს, ჩვენ ჭიანჭველის ბუდე ვართ. აფხაზეთი ჭრელი რესპუბლიკაა. ამ რესპუბლიკის ცალკე ნაწილები ჯერ კიდევ არ შეზრდილან ერთად, როგორც საჭიროა. აფხაზეთში დაყენება საკითხისა იმის შესახებ, რომ ის ნამდვილად დამოუკიდებელია და სადღაც ჰსურს წავიდეს საქართველოდან—იმას მოვიტანს, რომ აფხაზეთი, როგორც ბავშვის [illegible] ხელით აგებული ხუხულა, ისე დაიშლება. ასეთია საქმის ნამდვილი მდგომარეობა. ეს სინამდვილეა, უნდა მივიღოთ ისე, როგორც არის.

ამხანაგებო! ჩვენი შეცდომა თვით აფხაზეთში ნაციონალური პოლიტი-

კას შესახებ არ არის შეგნებითი, არამედ ის გამოაშკარავდა ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში. 5 წელია, რაც აფხაზეთში საბჭოთა მთავრობა არსებობს. ის შეცდომები, რომლებიც არ გამოაშკარავებულა 21, 22, 23 და 24 წლებში, 1925 წელს გამოაშკარავდა. ყველა ჩვენი შეცდომა შემდეგში გამოიხატებოდა. პირველი შეცდომა აფხაზეთისა და საქართველოს დამოკიდებულების საკითხში იყო. წინა ყრილობაზე ჩვენ აღთქმა დავდევით წარმდგარიყავით ამ ყრილობის წინაშე უშეცდომოთ. მაგრამ ჩვენ ბედმა გვიმტყუნა. ჩვენ ამ ყრილობის წინ მეტად დარცხვენით გამოვდივართ და ჩვენი თავი ამ საკითხში ძალიან შემცდარათ მიგვაჩნია.

იმის მაგივრათ, რომ აფხაზეთის გასაბჭოების მეხუთე წელში ჩვენ დღიურ წესრიგში გადაგვეშალა აფხაზეთისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხი, ჩვენ პირიქით მოვიქეცით და კონსტიტუციური სისულელე ჩავიდინეთ. ჩვენი კონსტიტუცია ისეთნაირად დავსწერეთ, რომ თითქოს აფხაზეთისათვის საქართველო ამიერ-კავკასიის ფედერაციისაკენ გასავალ დერეფანს წარმოადგენდეს, ხოლო ამიერ-კავკასიის ფედერაცია კი, ჩვენი კონსტიტუციის თანახმად, უნდა იყოს საბჭოთა კავშირისაკენ გასავალი დერეფანი. მაგრამ რესპუბლიკათა კავშირიც გავაფრთხილეთ (აფხაზური ტემპერამენტით), რომ თუ რესპუბლიკათა საერთაშორისო კავშირი შეიქნება, ჩვენ იქაც შევალთ, ასე რომ ს.ს.რ.კ. იგივე „ბედი" მოელის, როგორც საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფედერაციას.

მეორე ჩვენი შეცდომა ენის საკითხშია. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ენის საკითხი არავითარ გადასინჯვას არ მოითხოვდა და ამ მხრით ყოველივე რიგზე არის. მაგრამ ამ საკითხის შესწავლამ დაგვიმტკიცა, რომ აფხაზეთში მოსახლე ეროვნებათა რიცხვობრივი, კულტურული და ეკონომიური შეფარდება ნებას არ გვაძლევს მარტო რუსულ ენას დავეჯეროთ, თუმცა იგი დიდი ოქტომბრის ენაა და თავის კულტურულ და პოლიტიკურ ხვედრითი წონის მიხედვით დიდია. მეგრელები და ქართველები რაოდენობით, ყოველ შემთხვევაში ნაკლები არ არიან ვიდრე აფხაზები, ისინი მოითხოვენ მათთვის გასაგებ ენას და ამაზე უარის თქმა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. აფხაზები და აფხაზეთის ინტელიგენცია ასე მსჯელობენ —რომ აფხაზურ ენიდან არაფერი არ გამოდის. (პირიდაპირ მეც ასე ვფიქრობ, რადგანაც ამ ენაზე არაა არც ლიტერატურა და არც ისტორია). და ისევ რუსული ენა იყოს. რუსულ ენის სანაცვლოთ სხვა დანარჩენი ენა აფხაზეთში უნდა დაიჩრდილოს. ყოველ შემთხვევაში ჩვენში ობიექტიურად ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, თუმცა ეს შეგნებულად არ მოგვიწყვია. ეს შეცდომა უნდა გამოგვესწორებინა.

მესამე შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ხელმძღვანელ მუშაკების ეროვნული შემადგენლობის მხრივ ყოველივე რიგზე არ იყო. უკანასკნელ ხანებში მეგრელები, სომხები და ბერძნები ლაპარაკობდნენ, რომ ამხ. ლაკობას და სხვებს ჩვენ შეგვიძლია შეურიგდეთ, მაგრამ ვერ დავეთანხმებით, რომ აფხაზეთის მთელი მართვა-გამგეობა მხოლოდ აფხაზების ხელში იყოს. საჭირო იყო ხელმძღვანელთა შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შეტანა. მეგრელები ამბობენ, რომ ისინი აფხაზებთან ერთად მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენენ და ამიტომ მათ სურთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მართვა-გამგეობაში. ამის შესახებ სამურზაყანოს გლეხმა გარკვევით განაცხადა საბჭოების უკანასკნელ ყრილობაზე და აქედან ჩვენ უნდა გამოგვეყვანა ერთგვარი პოლიტიკური დასკვნა.

შევიგნეთ თუ არა ჩვენი შეცდომები და შევუდექით თუ არა იმის გამოსწორებას? ჩვენ შეცდომებზე კეთილსინდისიერად გამოვტყდით და შევუდექით მათ გასწორებას. ჯერ შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა ეს საკითხები. მაგრამ როგორც საჭიროა ისე, ეს ვერ შევძელით და ვერც ცენტრალურ კომიტეტში დავსვით იგი. მაგრამ ჩვენ დაახლოებით მაინც ვსთქვით იმ წყლულზე, რომელიც მომწიფდა და ზომები მივიღეთ იმ არასასიამოვნო მითქმა-მოთქმის სალიკვიდაციოთ, რომელიც აფხაზეთის გარშემო არსებობს.

რა მივიღეთ პრაქტიკულად? ივლისის დასაწყისში ჩვენ აფხაზეთის პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად გამოვცხადდით ცენტრალურ კომიტეტში ყველა ჩვენი საკითხებით. ჩვენ ისინი რთულად გვეჩვენებოდა, მაგრამ როდესაც ცენტრალურ კომიტეტში დაისვა, აღმოჩნდა, რომ ისინი უბრალო პრაქტიკული საკითხებია, რომლებიც ცენტრალურ კომიტეტის სამდივნომ ჩვენთან აფხაზეთის პასუხისმგებელ ამხანაგებთან, ერთსულოვნათ შეთანხმებით გადასჭრა. ამ კომისიამ ბევრი რამ პრაქტიკული და სასარგებლო შეგვქმნა. მან ბევრი რამ უსიამოვნო სიმართლე გვითხრა, მაგრამ ჩვენ ყველაზე მეტად გვაინტერესებს ის, თუ რა სთქვა ა/კ. სალქო კომიტეტმა. ამიერ კავკასიის სალქო კომიტეტმა ამ კომისიის მოხსენებას ზედმეტი ბელეტრისტიკა ჩამოაშორა და ჩემის და ამხ. ალანიას მონაწილეობით გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებათა, რომელთაც თუ განვიხილავთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ უყურებდა იმ ხანად ამიერ-კავკასიის სალქო კომიტეტი აფხაზეთის ორგანიზაციას, მაშინ აშკარად და გარკვევით უნდა განვაცხადოთ, რომ ამიერ-კავკასიის სალქო კომიტეტი აფხაზეთის ორგანიზაციის და პასუხისმგებელ ამხანაგებს იმდენად დაავადმყოფებულად არა სთვლიან, რომ თვით არ შესძლებოდათ საკუთარ შეცდომათა გამოსწორება.

ა. კ. სალქო კომიტეტის ამ დადგენილებით, ჩავედი აფხაზეთში. ჩვენმა სალქო კომიტეტმა მიიღო ეს დადგენილებანი და რამდენიმე დღის შემდეგ აფხაზთა მუშაკების წრეებში დაიწყო მითქმა-მოთქმა. აზრის ნათელსაყოფად ვიტყვი: ჩვენ ა.-კ. სალქო კომიტეტის დადგენილებებზე უფრო შორს წავედით. ა. კ. სალქო კომიტეტს არ გამოუტანია დადგენილება იმის შესახებ, რომ ესა და ეს მუშაკი შეიცვალოს ამა და ამ პირით, ესა და ეს გადაყენებულ იქნეს და სხვა. მაგრამ მე და ამხ. ალანიამ პირდაპირ განვაცხადეთ, რომ ესა და ეს სახალხო კომისარი უნდა მოიხსნას, ესა და ეს უნდა გადაყვანილ იქნენ და მათ მაგიერ სხვები უნდა მოვიწვიოთ და მაშინ ეროვნული მომენტი აფხაზეთის ორგანოებში გადაჭრილი იქნება.

ამხანაგებო, ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკა აფხაზეთის და აჭარისტანის მიმართ სრულიად სწორია. მაგრამ, როდესაც ჩვენ ამ პოლიტიკას ვატარებთ ადგილობრივ, ყოველთვის ვერ ვდგევართ ხოლმე ჩვენი დანიშნულების სიმაღლეზე. თუ ც. კ-ი რამეს ასწორებს, იგი ასწორებს არა თავის ხაზს, არა მოცემულ ხაზს, არამედ ასწორებს ამხ. ხიმშიაშვილის, ბახტაძის, ლაკობას და სხვათა შეცდომებს. ასწორებს შეცდომებს აფხაზეთის ან აჭარისტანის პასუხისმგებელ მუშაკებისას, მაგრამ ც. კ-ს არ შეუძლიან წინასწარ გათვალისწინება ასეთი შეცდომების იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია და ასეთი რეცეპტი არ არსებობს.

ამხანაგებო! დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზეთის მიმართ ც. კ-ის მიერ მიღებულ ზომებისა და იმის გამო, რომ ჩვენ გვაქვს გარკვეული ტენდენცია აფხაზეთის ორგანიზაციის გაჯანსაღების, საქართველოს კომპარტიის შემდეგ ყრილობაზე აფხაზეთის საკითხში ჩვენ წავრდგებით შესრულებულ მოვალეობის გრძნობით.

ახლა მე რამდენიმე სიტყვა უნდა ვუძღვნა ჩემს მეგობარს ამხ. ბახტაძეს. ამხ. ბახტაძე აფხაზეთში ჰქმნის ისეთ აურ-ზაურს და აყალ-მაყალს როგორც სოჭის საკითხში. ჯერ სოჭაში არავინ გაუგზავნიათ, ყრილობაზე კი აცხადებენ, რომ სოჭის ოლქის მოსახლეობას ვქსაქსავთო და სხვა. ასეთი აჩქარება შეადგენს ამხ. ბახტაძის ძირითად შეცდომას. მან გამოსძებნა, რომ მიმდინარე წელს აფხაზეთის სახელმწიფო ვაჭრობამ 300—400 ათასი მან. მოიგო. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ საიდან მოდის ეს მოგება. თუ ბახტაძეს ყურს დაუგდებთ, ეს მოგება შესდგება გლეხების ფულებისაგან. ნამდვილად კი თამბაქოს საქმე ასეთ მდგომარეობაშია: თამბაქოს დამზადება სწარმოებს აფხაზეთის კოოპერაციისა და აფხაზ. სახელმწ. ორგანიზაციების საშუალებით ამ საკითხში მოსკოველი ამხანაგები არ გვეთანხმებოდნენ, მაგრამ ამიერ-კავკასიის ცენტრებმა მხარი დაგვიჭირეს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩვენ მართალნი ვიყავით. „ნედლმა თამბაქომ" ამ საკითხში ჩვენი გზა სწორად მიიჩნია.

კიდევ ერთ საკითხზე შევჩერდები. ამხ. აკირტავამ, ძალიან ბუნდოვანად განაცხადა, რომ გლეხები უკმაყოფილოა, და თუ არის ეს უკმაყოფილობა, საიდან გამოხატა იგი — ამაზე არაფერს ამბობს. თუ მას უნდა ჩვენი გლეხების „უკმაყოფილობა" ჩვენი ნაციონალური პოლიტიკით ახსნას – ეს არ შეეფერება სინამდვილეს. გლეხების უკმაყოფილება გასაჭირში გამოირკვევა. მენშევიკების აგვისტოს ავანტიურას ერთსულოვანი წინააღმდეგობით შეხვდა აფხაზეთის გლეხობა — განურჩევლად ეროვნებისა. ცხადია, უკმაყოფილო გლეხები ასეთ დროს ჩვენს მხარეზე არ იქნებოდნენ.

თუ გლეხებს უნდათ თავის დედაენაზე იქონიონ საქმის წარმოება და სხვ. ეს მართალია. მაგრამ ამის შესახებ მათ ჩვენთან კრებებით არ ულაპარაკიათ და არც აპირებენ ამას.

ნება მიბოძეთ ამით დავასრულო ჩემი სიტყვა.

# მეხუთე სხდომა

**თავმჯდომარე:** (ამხ. სტუხიშვილი) საბოლოო სიტყვა ეკუთვნის ამხ. მ. კახიანს. (ამხ. მ. კახიანის სიტყვის სტენოგრაფიული ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში)

ამხ. კახიანის სიტყვის შემდეგ, ამხ ქვანიას წინადადებით მიღებული იქნა რეზოლუცია ცეკას მოღვაწეობის შესახებ. რეზოლუცია მოთავსებულია მესამე გვერდზე.

**ამხ. ორახელაშვილი.** ეს არის ცეკას მუშაობის შესახებ რეზოლუცია. რაც შეეხება უფრო ფართე დადგენილებას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყვეს მუშაობა მომავალში, ამისათვის არჩეული იქნება განსაკუთრებული კომისია, რომელიც გამოიმუშავებს სპეციალურ დადგენილებას.

**თავმჯდომარე:** ვინ არის მომხრე წაკითხული რეზოლუციის (რეზოლუცია მიღებულია ერთხმად, ერთი დელეგატის თავშეკავებით). ამხანაგებო, არის წინადადება შეიქმნას კომისია ცეკას მომავალი მუშაობის შესახებ რეზოლუციის შესადგენად. (ყრილობა ერთხმად ადგენს არჩეულ იქნას ასეთი კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით:

1 ამხ. კახიანი, 2. [illegible], 3. ასრიბეკოვი, 4. ფანცულაია, 5. გიოგაძე, 6. ურუშაძე, 7. სტურუა გ., 8. დარახველიძე, 9. ბაქრაძე (დუშეთი) 10. აკირტავა, 11. კვირიკაძე. 12. ქვთარაძე ა., 13. ბოლქვაძე, 14. გოგიძე, 15. ქებაძე, 16 ბოჭორიშვილი, 17 სიამაშვილი, 18. რატნერი, 19. ვარ.მაშვილი, 20. ხაბურზანია, 21. რონხანი, 22. ტყაბლაძე, 23. ვართაპეტიანი, 24. ლ. ქავთარაძე, 25. გაბალოვი, 26. ბახტაძე გალია, 27. ორახელაშვილი მარიამ, 28. ძლენტი, 29. ლაკობა.

**თავმჯდომარე:** ამხანაგებო, ჩვენ მოვისმინეთ აგრეთვე სარევიზიო კომისიის მოხსენება. საჭიროა გამოტანილ იქნას ყრილობის მიერ დადგენილება სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ. ვის აქვს წინადადება.

**ამხ. ქვანია.** (კითხულობს რეზოლუციას):

„მოისმინა რა სარევიზიო კომისიის მოხსენება, საქართველოს კომუნისტურ პარტიის მეოთხე ყრილობა იწონებს კომისიის მუშაობას".

**თავმჯდომარე:** —არის თუ არა სხვა წინადადება (რეზოლუცია ერთხმად იქნა მიღებული). ამნაირად, ამხანაგებო, გადავდივართ დღის წესრიგის მორიგ საკითხზე საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ სიტყვა ეკუთვნის ამხ. ა. დოლიძეს.

# საკონტროლო კომისიის მუშაობა

## ამხ. ანდრო დოლიძის მოხსენება

ამხანაგებო, პირველ ყოვლისა, მე საჭიროდ მიმაჩნია გულახდილად განვაცხადო ყრილობის წინაშე, რომ ჩემს ძალ-ღონეს აღემატება ამომწურავი მოხსენების გაკეთება მთელი იმ მუშაობის შესახებ, რომელიც, ჩვენ ჩავატარეთ საანგარიშო ხნის განმავლობაში წარსული პარტიული ყრილობის დავალებით, ე. ი. საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის გაერთიანებულ ორგანოს მუშაობის შესახებ, მაგრამ იმედია, ჩემი მოხსენებებით ყრილობა გაეცნობა ამ ორგანოთა მუშაობის მთავარ ხაზს. ჩემი ზეპირი მოხსენების ნაკლი რამდენადმე შეივსება იმით, რომ თქვენ ხელთ არის ჩვენი მასალები, საიდანაც გაიგებთ რა აკეთა საკონტროლო კომისიამ და მუშათა გლეხთა ინსპექციამ. მართალია, ამ ანგარიშებსაც აქვთ თავისი ნაკლი, ისინიც სავსებით ვერ იძლევიან მთელი მუშაობის სურათს, იქ შეკვეცილი და შემოკლებულია მასალები, მაგრამ ჩემი სიტყვიერი მოხსენებით და დაბეჭდილი ანგარიშით მე მაინც ვფიქრობ ჩვენ შევძლებთ შევაფასოთ ამ ორგანოთა წარსულ საანგარიშო ხნის განმავლობაში ჩატარებული მუშაობა.

## გაერთიანებული ორგანო

დავიწყოთ იქიდან თუ რას წარმოადგენს ის ორგანო, რომელზედაც ლაპარაკი გვექნება. ყველამ ვიცით, რომ პარტიის გაერთიანებული ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია ახალ ორგანიზაციას წარმოადგენს. მას მხოლოდ ერთ ნახევარი წლის არსებობის ისტორია აქვს.

როდესაც 1924 წელში ჩვენ გვესტუმრა ამხ. კუიბიშევი და მოხსენება გააკეთა მან ამ გაერთიანებულ ორგანიზაციების შესახებ, მაშინ, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია წარმოადგენს დამხმარე გაერთიანებულ ორგანოს, რომელიც ხელს უწყობს ხელისუფლებას და პარტიას სახელმწიფოებრივ მოღვაწეობა-მშენებლობაში. ის თავის თავად არაფერს არ იგონებს, ის მთლიანად ემყარება იმ მეთოდებს და ხაზს, რომელსაც ატარებს პარტია და რომლის მიხედვითაც მუშაობს ხელისუფლება. აი რა სთქვა ამხ. კუიბიშევმა.

ამ აზრს ვემყარებოდით ჩვენ მთელ წარსულ მუშაობაში. ამ რიგად ჩვენი ორგანო არის ის, რაცაა პარტია და რაც არის ხელისუფლება. მისი ნაკლი ან მისი უარყოფითი მხარეები ერთ და იმავე დროს გულისხმობს პარტიის და ხელისუფლების ღირსებებს თუ ნაკლულევანებას, ასე რომ, აქ „ცოდვა და მადლი" თანაბრათ უნდა განაწილდეს, თქმა არ უნდა დეფექტები, თუ კი ასეთებს ჰქონდა ადგილი, და ეს უსათუოდ იქნებოდა, არ შეიძლება მივაწეროთ ორგანოს, რომელიც ასრულებს დამხმარე აპარატის ფუნქციებს და ხელს უწყობს პარტიას და სახელმწიფოს მის ყოველდღიურ მუშაობის წარმატებით წარმოებას. გაერთიანებულ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიღწევების შეფასების დროს საჭიროა განსაკუთრებული ობიექტიობა და მიუდგომლობა.

ჩვენი მუშაობა არაა საიდუმლოებით მოცული. მთელი ჩვენი მოქმედება ნათელია ამხანაგებისათვის და დაინტერესებული მშრომელი მასისათვის. ჩვენ ბევრჯერ გვქონია შემთხვევა, გვესაუბრა პარტიის წევრებთან პრესის საშუალებით, გარდა ამისა, სხვა და სხვა დროს მაზრებში იგზავნებოდა მრავალი კომისიები რომლებიც ადგილობრივად ატარებდენ ჩვენი დავალებით ამა თუ იმ მუშაობას. ამასთან ერთად, თვით საკონტროლო კომისიის და ინსპექციის წევრები პერსონალურადაც ვღებულობდით მონაწილეობას პარტიის და ხელისუფლების სხვადასხვა კომისიებში.

ასე რომ, ჩვენ ვცდილობდით ჩვენი მუშაობა დაგვეკავშირებინა ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობასთან, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

მე მინდა შევჩერდე რამოდენიმე სიტყვით თვით ჩვენი გაერთიანებული ორგანოს სტრუქტურაზე, ვინაიდან მას, როგორც ახალ დაწესებულებას, ზოგიერთი ამხანაგები საკმაოდ კარგად ვერ იცნობენ. აღსანიშნავია, რომ ეს ორგანო თავის სტრუქტურის მხრივ მეტად საინტერესოა. ერთი შეხედვით, ის თითქოს რთულია, როგორც გაერთიანებული ორგანიზაცია, მეორე მხრივ კი ის უაღრესად მარტივი აპარატია. ის ასრულებს მოვალეობას ორი მიმართულებით—პარტიული და საბჭოთა ხაზით. პარტიული მუშაობისათვის გამოყოფილია პარტკოლეგია, რომელშიაც მუშაობს 6 ამხანაგი. საბჭოთა ხაზით მუშაობას კი ხელმძღვანელობს ინსპექციის კოლეგია, 5 ამხანაგის შემადგენლობით. ამავე ინსპექციას ჰყავს აგრეთვე თანამშრომლები.

თავის მხრივ, ინსპექციას აქვს განყოფილებები. ერთი ასეთ განყოფილებათაგანია ოპერატიული განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს კომისრის მოადგილე. ეს განყოფილება განაგებს, როგორც არაგეგმითი, ისე გეგმითი სამუშაოებს. მასთანაა დაკავშირებული აგრეთვე, საგეგმო ინსპექცია და გეგმისგარეშე ინსპექცია.

არსებობს კიდევ ე. წ. სახელმწიფო დაწესებულებათა გამაუმჯობესებელი განყოფილება კოლეგიის ერთ ერთ წევრის ხელმძღვანელობით. ამ ორგანოებისათვის შექმნილია ერთი აღმასრულებელი და საქმის წარმოებაც გაერთიანებულია. უნდა ითქვას, რომ 1924 წლიდან ჩვენ მეტად გავამარტივეთ სამუშაო აპარატი.

მაგრამ, მთავარი და ყველაზე უფრო აღსანიშნავი გაერთიანებულ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში არის ის, რომ მათ სათავეში უდგია ერთი პრეზიდიუმი, რომელიც აკავშირებს მთელ აპარატს. პრეზიდიუმი უძღვება მუშათა და გლეხთა ინსპექციასაც და პარტკოლეგიის მუშაობასაც. აქ გვყავდა არჩეული 9 ამხანაგი.

გარდა ამისა, ჩვენ გვყავს რწმუნებულები ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკებში: აფხაზეთში—4 ამხანაგი, აჭარისტანში—4 ამხანაგი და 1-ც სამხრეთ-ოსეთში. რწმუნებულების საშუალებით, მჭიდრო კავშირი გვქონდა გაბმული ამ რესპუბლიკებთან. საერთოდ, ჩვენი გაერთიანებულ დაწესებულების აპარატი შესდგება 57 თანამშრომლებისაგან. აი ასეთი აპარატისათვის გამოჰყო მესამე ყრილობამ 27 საკონტროლო კომისიის წევრი, რომელსაც დაავალა მისი ხელმძღვანელობა. არჩეული ამხანაგები განაწილებული იყვნენ პარტკოლეგიაში, ინსპექციის კოლეგიაში და პრეზიდიუმში. როგორ შეასრულეს ამ ამხანაგებმა ყრილობის დავალება?

## ჩვენი მუშაობა

ჩვენი მუშაობა, პირველი ცდა, პირველი ნაბიჯი იყო. შეუძლებელია იმის თქმა, რომ ლენინის ანდერძი, რომელიც მან უკანასკნელი წერილების სახით დაგვიტოვა, სადაც ეხებოდა ინსპექციის და საკონტროლო ორგანოების მუშაობას, სავსებით განვახორციელეთ. ლენინი თვით გვირჩევდა ამ წერილში, რომ რაც შეიძლება მეტი სიფრთხილე და წინდახედულება გამოგვეჩინა ამ მუშაობაში.

ნორჩ ორგანოს არ ჰქონია გამოცდილება, ნაცადი გზა და მუშაობის ტრადიციები. ამიტომ ჩვენ ვიდოდით არა ფართე გზით, არა აჩქარებით, არამედ მოსინჯვით და ვიწრო ბილიკებით. ჩვენ ვსწავლობდით დაწესებულებების მუშაობას და გამოგვექონდა ამ მუშაობიდან ესა თუ ის დასკვნა. ჩვენ არ ვცდილობდით, რომ გაერთიანებულ საკონტროლო კომისიასა და ინსპექციის მუშაობით ვისიმე გული მოგვეგო ან ვისიმე წყენას მოვრიდებოდით. რაც საქმეები ამ ხნის განმავლობაში ჩვენს რეგისტრაციაში გატარდა, საკმაოდ მდიდარ მასალას იძლევა მომავალი მუშაობის კიდევ უფრო გაფართოვებისათვის. ახალმა საკონტროლო კომისიამ უნდა შეისწავლოს ეს მასალები და მასზე დაყრდნობით განაგრძოს თავის მუშაობა.

ჯერ კიდევ ჩვენ არ გვქონდა დასრულებული ორგანიზაციული მუშაობა, როდესაც მოხდა მენშევიკური ავანტიურა, გარდა იმისა, რომ აგვისტოს გამოსვლებმა საყოველთაოდ ნათელჰყო ქართველ სოც.-დემოკრატიის სრული იდეური სიკოტრე და მისი კონტრ-რევოლიუციონური ბუნება, ამ გამოსვლებმა ჩვენ მეორე სამსახურიც გაგვიწია, მან გამოააშკარავა ჩვენი ზოგიერთი ტკივილები, თუ დეფექტები. ცხადია, საკონტროლო კომისიის სათანადო პასუხი უნდა გაეცა იმ მოთხოვნილებისათვის, რომელიც მის წინაშე წამოაყენა ცხოვრებამ მენშევიკურ ავანტიურის შემდეგ. ამისათვის, საჭიროდ დავინახეთ მუშაობის მთელი სიმძიმე პროვინციაში გადაგვეტანა. პრესამ ფართეთ მოკიდა ხელი ჩვენი დეფექტების და ნაკლულოვანებათა გამოაშკარავებას. პარტიამ გადაჭრით აიღო კურსი გლეხობისაკენ და ჩვენ მივიღეთ ლოზუნგი „პირით სოფლისაკენ".

ჩვენს წინაშე დაისვა ორი დიდი სამუშაოს ჩატარების საჭიროება.

პირველი—გადასინჯვა და შემოწმება იმ პარტიულ ორგანიზაციების, რომლებმაც თავიანთი სისუსტით მენშევიკურ გამოსვლების დროს განსაკუთრებით ისახელეს თავი. ასეთი იყო ჩვენი ცეკას სექტემბრის პლენუმის დადგენილება და ამავე აზრს იზიარებდა სავსებით ცენტრალური საკონტროლო კომისია.

მეორე—დიდი სამუშაო, რომლის ჩატარება ჩვენ მოგვიხდა წარსულ საანგარიშო წლის განმავლობაში მდგომარეობდა საბჭოთა დაწესებულებების და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების გადასინჯვაში.

ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. პირველი მუშაობის ჩასატარებლად ჩვენ საჭიროთ მივიჩნიეთ გადაგვესინჯა მთლიანად შემდეგი მაზრები: ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ახალქალაქის, თიანეთის, სიღნაღის და ლეჩხუმის. როგორც ვიცით, აგვისტოს გამოსვლები ამ მაზრებს განსაკუთრებით შეეხო. ჩვენ მიზნად ვისახავდით, რომ დასახელებულ მაზრათა ორგანიზაციებიდან გაგვეძევებინა მერყევი ელემენტები და ამ რიგად, გაგვეწმინდა პარტია შემთხვევით მოტმასნილ პირებისაგან. ამ საშუალებით, რასაკვირველია, ჩვენ ვერ შევძლებდით მთლიანად გაგვეჯანსაღებინა დასახელებული ორგანიზაციები, მაგრამ ერთს მაინც მივაღწიეთ, ჩვენ მოვიშორეთ ისეთი ელემენტები, რომლებიც ჩირქს სცხებდენ და ახადვიანებდნენ კომუნისტურ პარტიის ოჯახს. ასეთ პირთა შორის მოჰყვა ასამდე მეტი კაცი. მაგრამ გარდა ზემოდ დასახელებულ ნაკლისა, აღმოჩნდა კიდევ სხვა, არასასურველი მოვლენებიც. გადასინჯვამ გამოააშკარავა პარტიის წევრთა პოლიტგანათლების სისუსტე, კინკლაობა, ურთიერთ შორის არაამხანაგური დამოკიდებულება; ჩვენ მოწმე გავხდით ისეთ მავნე გადახრების, როგორსაც ადგილი ჰქონდა ზუგდიდის, ახალქალაქის, აჭარისტანის და აფხაზეთის ორგანიზაციებში. ჩვენ აქ შევეხებით თუ როგორ ეჭირა თავი დასახელებულ ადგილებში ზოგიერთ კომუნისტებს ადგილობრივად წამოჭრილ სხვადასხვა სადაო საკითხებში. თქვენ დაინახავთ, თუ რამდენად სწორი, ბოლშევიკური იყო მათი ქცევა თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

### ზუგდიდის მაზრა.

ავიღოთ ზუგდიდის მაზრა. იქ ეხლაც კიდევ დარჩენილია ავადმყოფობა. ჩვენ გვაქვს დადგენილება, რომ ზუგდიდის ორგანიზაცია ხელმეორედ უნდა გადაისინჯოს. რა აღმოჩნდა იქ? ჩვენ იქ ვნახეთ, რომ მოიპოვებიან ამხანაგები, რომელნიც საკმაოდ ვერ გამოხარშულან ლენინის პარტიის ქვაბში და ხშირად სასტიკად ამახინჯებენ პარტიის მთლიან ბოლშევიკურ ხაზს. თუ ეს არაა კომუნისტები იქ არ მოაწერდენ ხელს იმ ტელეგრამებს, რომლებიც გაგზავნილი იყო მოსკოვში და ამიერ-კავკასიის საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტში. ამ ტელეგრამებში ისინი სწერდენ „გვიხსენით საქართველოსაგანო. ჩვენ ვდრტვინავთ მათ გამგებლობის ქვეშო. ასეთი ცილისწამება შეთხზეს ზუგდიდის ზოგიერთმა უპასუხისმგებლო ამხანაგებმა და მასზე სხვებსაც მოაწერიეს ხელი (ხმები: გვარები დაასახელეთ, გვარები მათი).

მე, ამხანაგებო ყველა გვარები ზეპირად არ მახსოვს, თუ საჭირო იქნება, სიას მერე მოგართმევთ. ვიცი მხოლოდ, რომ ამ საქმეში თავი ისახელა დადიანმა და როგავამ. რას ნიშნავს ეს?—ეს ნიშნავს, რომ ზუგდიდის ორგანიზაცია არაა კომუნისტურად აღზრდილი, ჩვენ მათი ასეთი ანტიბოლშევიკური მოქმედება სასტიკად დავგმეთ და ეს ამხანაგები პარტიიდან გავისტუმრეთ. მაგრამ ეს არ კმარა. კიდევ საჭიროა ზომების მიღება, რომ ზუგდიდის ორგანიზაცია გაჯანსაღებულ იქნას.

### ახალქალაქის მაზრა

გადავალ ახალქალაქის მაზრაზე. იქაც დიდი დაავადება იყო. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ დაავადებათ ვერ ჩავთვლით იმას, რომ ამ მაზრაში ადგილი ჰქონდა დაშნაკელების გავლენას. ეს ნაკლი უმთავრესად თვით ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების სისუსტეში უნდა ვეძებოთ. ჩვენ მოგვიხდა ახალქალაქის მაზრაში 3 ირადათ ყოფნა. აქ მიტინგებზე გამოდიოდენ და გვეუბნებოდენ: ავტონომია გვინდაო. კარგად ვიცით, ვისგანაც გამოდიოდა ეს მოთხოვნილება, მაგრამ ამავე დროს, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ იქ იყვნენ კომუნისტები, რომლებსაც საქმე აქამდინ არ უნდა მიეყვანათ. ახალქალაქის მაზრაში ადგილი ჰქონდა ისეთ მოქმედებებს, რომელიც რყვნიდა და შლიდა ჩვენს ორგანიზაციას.

ჩვენ მთლიანად დავშალეთ და გავრეკეთ იქაური პარტიული ორგანიზაცია. ახალქალაქის მაზრაში გაგზავნილი იქნენ სხვა ამხანაგები. დღეს იქაური ორგანიზაცია, შეიძლება ითქვას, ნორმალურად მუშაობს, თუმცა მე გადმომცეს ამ დღეებში, რომ იქ კინკლაობის ელემენტი კიდევ დარჩა, მაგრამ, ვფიქრობ, მიღებული იქნება ზომები ამ მავნე ნაშთების საბოლოოდ აღმოსაფხვრელად.

### ლეჩხუმის მაზრა

გადავიდეთ ეხლა ლეჩხუმის მაზრაზე. რა დავინახეთ ლეჩხუმის მაზრაში გამოსვლების შემდეგ? კრიტიკულ მომენტში ამ მაზრის ზოგიერთი ამხანაგები ვერ აღმოჩნდენ თავის მოწოდების სიმაღლეზე, გარდა იმისა, რომ თავი შეირცხვინეს, როგორც კომუნისტებმა, მათ სისხლის სამართლის დანაშაულიც კი ჩაიდინეს. ცხადია, ისინი განდევნილი იქნენ პარტიიდან, მაგრამ ეს მათ არ ვაკმარეთ. ცეკას და საკონტროლო კომისიის დადგენილებით, ლეჩხუმის მაზრის ორგანიზაციიდან გაძევებულ იქნა 50-ზე მეტი არასასურველი და პარტიის შემარცხვენელი ელემენტები. დღეს იქაური მუშაობა გაჯანსაღებულად უნდა ჩაითვალოს.

### გურია.

არ შემიძლია ჩემს მოხსენებაში არ შევჩერდე გურიაზედაც. ჩვენ ეს ორგანიზაცია მთლიანად გადავათვალიერეთ. გურიაზე, როგორც ვიცით, ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, იქაც უნდა მოგვენახა უცხო ელემენტები, რომლებმაც თავი ისახელეს. გურიაშიც ადგილი ჰქონდა პოლიტ-უცოდინარობას, კინკლაობას და შუღლს. ორგანიზაციის გადათვალიერების შემდეგ ჩვენ გავითავისუფლეთ 60 უღირსი პარტიის წევრებისაგან. ამასთან ერთად საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ, მიუხედავად იმ ნაკლულოვანებათა, რომელზედაც ზემოდ მოგახსენეთ, გურიის ორგანიზაცია არ ყოფილა მასიურად დაავადებული და დღეს, ასეთი ზომების მიღების შემდეგ, იქ მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა.

საკონტროლო კომისიამ მთლიანად გადაათვალიერა აგრეთვე სენაკის ორგანიზაციაც, საიდანაც გარიცხული იქნა რამოდენიმე ათეული ამხანაგი. სხვა მაზრებშიაც, რომლებიც შემჩნეულ იქნენ მავნე გადახრაში, ასეთივე ზომები იქნა მიღებული და მათაც ეს ბედი ეწვიათ.

### აფხაზეთი.

გადავალ ეხლა ავტონომიურ რესპუბლიკებზე. პირველ ყოვლისა, აფხაზეთი. აქ ყველაფერი ვერაა რიგზე. ცეკამ და საკონტროლო კომისიამ არაერთხელ მიიღო ზომები რომ მოესპო იქ არსებული კინკლაობა და უთანხმოება, რომელიც ხელს უშლიდა საერთო მუშაობას.

რა მოხდა აფხაზეთში? აქედან მოიხსნა რამდენიმე ამხანაგები, რომლებიც ერთმანეთს ვერ უთანხმდებოდენ მუშაობაში. მოვხსენით ასეთი ამხანაგები, მაგრამ ამ ზომებმა არ იკმარა, მათ ჩაუდენიათ კიდევ უფრო შეუფერებელი მოქმედება. იქ შეუკრებიათ ხელისმოწერა და პირდაპირ მავთულით მიუმართავთ ცეკასთვის, რომ შეუძლებელია ამ ამხანაგების აფხაზეთიდან გაწვევაო. ეს ყოვლად დაუშვებელი საქციელია. ჩვენი პარტია დისციპლინის ასეთ დარღვევას ვერ მოითმენს. სამწუხაროდ, ეს შედარებით ახალი ამბავია და საკონტროლო კომისია ამ ვერ მოესწრო მათ შესახებ შესაფერისი დადგენილების გამოტანა. საკითხი კი აფხაზეთის შესახებ ჩვენთან დაისვა და გამოტანილ იქნა დადგენილება, რომელიც ამბობს— ყველა დამნაშავე ამხანაგები სასტიკ პარტიულ პასუხისგებაში უნდა მიეცენ და გაძევებულ უნდა იქნენ პარტიიდან. ამას გარდა, ჩვენ დავადგინეთ, რომ უნდა მოხდეს აფხაზეთის ორგანიზაციის გაცხრილვა და შემოწმება. ეს დადგენილება ჯერ-ჯერობით ცეკას არ დაუდასტურებია, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის აუცილებლად უნდა ჩატარდეს, თუ გვინდა, რომ აფხაზეთის ორგანიზაციამ თავი დააღწიოს იმ სნეულებას, რომლითაც ის დღეს არის დაავადებული.

### აჭარისტანი.

ეხლა გადავალ აჭარისტანზე. თავიდანვე იქ საკონტროლო კომისიას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მომხდარ კონფლიქტის მოწესრიგებაში. როგორც ვიცით, აჭარისტანის ამბებს უკვე ლიკვიდაცია ეყო, და, ჩემის აზრით, ეს ლიკვიდაცია ისე ჩატარდა, როგორც ეს უფრო მიზანშეწონილი იყო, აჭარისტანში გაიგზავნა კომისია, რომელმაც გამოარკვია, თუ რატომ და რა პირობებში მოხდა იქაური კომუნისტების მიერ პარტიის საერთო ხაზის დამახინჯება. შედეგად ამ კომისიის მუშაობას მოყვა ის, რომ ზოგიერთი ამხანაგები გაძევებულ იქნენ ჩვენს რიგებიდან და დ ნარჩენები კი დარჩენ პარტიაში პირობით.

### სამხრეთ—ოსეთში.

სამხრეთ-ოსეთში პარტიის დიდ დაავადებას არ ჰქონია ადგილი. იქაური დავა და უთანხმოება მოკლებული იყო რაიმე პრინციპიალურ ნიადაგს და პირად კინკლაობაზე იყო აღმოცენებული. ჩვენ მოგვიხდა ამ ორგანიზაციის გადათვალიერებაც, რომლის შემდეგაც საჭიროდ დავინახეთ პარტიის ზოგიერთ წევრების მიმართ გვეხმარა რეპრესიული ზომები და ისინი ჩვენ ოჯახიდან გაგვეცოცხა.

### საბჭოთა უჯრედები.

ეხლა ორიოდე სიტყვა საბჭოთა დაწესებულებების და უმაღლეს სასწავლებლების პარტიულ უჯრედების გადასინჯვის და მისგან მიღებულ შედეგების შესახებ. ჩვენ სავსებით შევასრულეთ პარტიის დადგენილება და მთლიანად გადავსინჯეთ ყველა ეს უჯრედები. ამ გადასინჯვის დროს პარტიის რიგებს გარეშე მოჰყვა 100 კაცამდე. დანარჩენების მიმართ ჩვენ გამოვიტანეთ სხვადასხვა სახის გამაფრთხილებელი დადგენილებები. ზოგ მათგანს გამოეცხადა გაფრთხილება, ზოგს საყვედური და ნაწილს მივუთითეთ პოლიტცოდნის სისუსტეზე. ამრიგათ ამ გადასინჯვამ თავის სარგებლობა მოიტანა, ერთი მხრივ მან ჩვენი პარტია გაანთავისუფლა ზედმეტ ბარგიდან და მეორე მხრით ინტერესი გაუღვიძა პარტიის წევრებს თავისი მოვალეობის შეგნებისათვის და პოლიტიკურ ცოდნის გადიდების საქმეში.

### ინსპექციის მუშაობა.

გადავდივარ ეხლა ინსპექციის კოლეგიის მუშაობაზე. ამ კოლეგიამ საანგარიშო წლის განმავლობაში ჩაატარა მრავალი საგეგმო და გეგმის გარეშე მომუშავე დაწესებულებათა გადასინჯვა-შემოწმება. მას მოუხდენია 50 მდე საგეგმო მუშაობათა გადასინჯვა და დაახლოვებით ამდენივე გეგმის გარეშე მუშაობის გადასინჯვის საქმეში.

ეს გამოკვლევები სხვადასხვა ხასიათისაა. ჩვენ გამოვააშკარავეთ მრავალი ნაკლი ჩვენი დაწესებულებების. აღმოჩნდა, რომ ადგილი აქვს უმოქმედობას, გაფლანგვას, მითვისებას და სხვა ასეთებს. ჩვენ პასუხისგებაში ვაძლევდით ასეთ შემთხვევაში დამნაშავე პირებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო ორგანოები აქ მოიკოჭლებდენ და არ ღებულობდენ შესაფერის ზომებს ბოროტმოქმედთა ასალაგმავად. ასეთ შემთხვევას ჰქონდა, მაგალითად ადგილი ბათომის სახალხო ბანკის რევიზიის დროს, სახალხო მამულების შემოწმების საქმეში და სხვა.

### —სოფლად.—

რა გავაკეთეთ ჩვენ, ამხანაგებო, იმისათვის, რომ ხელი შეგვეწყო პარტიის და ხელისუფლების ახალ კურსისათვის სოფლად მუშაობის დარგში და გაგვემაგრებია კავშირი მუშისა და გლეხს შორის? ამ მიზნით, ჩვენ საჭიროთ დავინახეთ გამოკვლევა მოგვეხდინა ისეთ დაწესებულებებში, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ სოფელთან. ასეთია გლეხობის კომიტეტები, მილიცია, პროკურატურა, სასამართლო და სხვანი. აღმოჩნდა, რომ ამ დაწესებულებებსაც საკმაოდ მრავალი ნაკლი აქვთ. ამ გადასინჯვის დროს და მისგან მიღებულ შედეგების თანახმად გამომუშავებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი, აღნიშნულ დაწესებულებათა მუშაობის გაჯანსაღებისათვის.

ამას წინეთ, საკონტროლო კომისიის პლენუმზე მოსკოვში ამხ. კუიბიშევმა გააკეთა მოხსენება ჩვენს მორიგ ამოცანებზე. მან სთქვა, რომ საკმარისი არ არის ჩვენი ორგანოებისათვის მხოლოდ სარევიზიო და საკონტროლო მუშაობით დაკმაყოფილება. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისათვის და უშუალო მონაწილეობა უნდა მივიღოთ ამ მუშაობის ჩატარებაში. ასეთი ამოცანა საქართველოს გაერთიანებულ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშეც სდგას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენ მუშაობაში მაინც მთავარი ადგილი უჭირავს სარევიზიო და საკონტროლო მუშაობას.

წარსული საანგარიშო წლის განმავლობაში, ცენტრალურ საკონტროლო კომისიას 5 პლენუმი ჰქონდა, სადაც ჩვენ ვამუშავებდით საკუთარი მოქმედების პროგრამებს და გეგმებს, შემდეგ კი პრეზიდიუმი მათ ატარებდა ცხოვრებაში.

### დასკვნა

დასასრულ, ვუკეთებ რა ჯამს მთელ ჩვენს მუშაობას, მე იძულებული ვარ განმეორებით აღვნიშნო, რომ გაერთიანებულ საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხ. ინსპექციის საქმიანობა იყო მხოლოდ ცდა და პირველი ნაბიჯები თუ გამოყენებული იქნა ის! გამოცდილება რაც ჩვენ უკვე გვაქვს ამ დარგში და უკვე დაგროვილი მასალები შესაფერისად დამუშავდა, მომავალი საკონტროლო კომისიის მუშაობა უფრო ფართედ იწარმოებს.

ჩვენი პარტია და ხელისუფლება ენერგიულად მუშაობს, ის თავდადებით აშენებს ახალ ცხოვრებას, მაგრამ ჩვენ ვიმყოფებით მძიმე პირობებში, ჩვენს პარტიას გარშემო ახვევია წვრილ-ბურჟუაზიული მასები და საბჭოთა აღმშენებლობისათვის მტრულად განწყობილი ელემენტები. მათი გავლენა აქა-იქ უნებლიედ იჩენს თავს პარტიის რიგებშიაც. ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება მეტის მტკიცის დაცვა, რომ უზრუნველყოფილ იქნას პარტიის სალი, სწორი ბოლშევიკური ხაზის გატარება. დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ შემდეგში დავაზღვიოთ თავი იმ მავნე გადახრებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და რომელზედაც მე თქვენ აქ დღეს გიამბეთ.

რომ ჩვენ შევინარჩუნოთ ჩვენი წმინდა ბოლშევიკური სახე, საჭიროა საკონტროლო კომისია ფრთხილად იდგეს სადარაჯოზე პარტიის სიწმინდეს და სიჯანსაღეს. ამ სიწმინდის და სიჯანსაღის დროშა ჩვენ პარტიას თავის დაარსების დღიდანვე მაღლა ეჭირა. მომავალში ის კიდევ უფრო ზევით უნდა ავწიოთ და მედგრად გავსწიოთ წინ იმ დიად იდეალების განხორციელებისათვის, რომლის ისტორიული პასუხისმგებლობაც დაკისრებული აქვს ლენინის სახელობიან კომუნისტურ პარტიას. (მხურვალე ტაში).

გამოვიდა და იყიდება
ჟურნალი „სოფლის კომუნისტი"
№ 6.
შინაარსი
პარტიული ყრილობა და ჩვენი ამოცანები.
ნ. დანელია—საბჭოთა არჩევნები და პარტიული უჯრედები.
ვ. ბახტაძე—ლიკვიდატორობის წინააღმდეგ სარწმუნოების საკითხში.
გ. მუშიშვილი—კორესპონდენტთა მოძრაობა და პარტიული ხელმძღვანელობა.
ა. კეკელია—კომკავშირის მონაწილეობა საბჭოებში.
შ. ა—ძე.—მშრომელ ქალთა მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში.
საერთაშორისო მიმოხილვა:
ალ. ბაბავა—საგარანტიო ხელშეკრულება.
ადგილობრივი ცხოვრება:
ა. კვირიკაძე—რევოლიუციონური კანონიერება და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები.
ა. ბზეკალავა—პოლიტ-სკოლები და პარტიული უჯრედები.
ვ. აკობაშვილი—სოფლის კომუნისტი და სოფლის მეურნეობა.
პარტმუშაკი—შენიშვნები დუშეთის მაზრის ორგანიზაციის შესახებ.
ბიბლიოგრაფია:
ვ. გ—ნი.—ჟურნალი „ახალი სოფელი", № 2.
ხ. ალიანი—ი. გორევი. სოციალიზმის ისტორია.
პროლეტარიძე—„ეკონომისტი", წიგნი—1, 2.
ჟურნალი დაეგზავნება ხელისმომწერთ და გაიყიდება ყველგან.
ნ. 361.

## რკინის გზებზე

### კაზანცევის და კუნცე კნორის მუხრუჭების გამოცდა

**გამოცდა საუღელტეხილო ხაზზე დამთავრდა.**

ა.-კავკასიის რკინისგზების სურამის საუღელტეხილო უბანზე კაზანცევისა და კუნცე კნორის მუხრუჭების გამოცდა უკვე დამთავრდა. ამ გამოცდისათვის შექმნილია სპეციალური მატარებელი, რომელიც იწონის 180.000 ფუთს.

აღნიშნულ გამოცდაზე კუნცე კნორის მუხრუჭებმა ვერ შეასრულეს დამუხრუჭების სისწრაფის ნორმა, რამაც გამოიწვია ძლიერი ჯინჯგალი, რის გამოც მატარებელი გაწყდა ორ ადგილას და მატარებლის უკანა ნაწილი საგრძნობი სიძლიერით დაეჯახა წინა ნაწილს.

რაც შეეხება კაზანცევის მუხრუჭებს, მათ ყველა პირობები დამუხრუჭებისა განსაცვიფრებელი სისწორით შეასრულეს. მუხრუჭები მშვენივრად მოქმედებდენ, რაცაც დაამტკიცა მათი ენერგიის დაუშრეტელობა.

**მუხრუჭების გამოცდა სომხეთის გზაზე.**

კუნცე-კნორის და კაზანცევის მუხრუჭების გამოცდის ხელმძღვანელის ამხ. ბეკეტოვისაგან ა|კ. რკ. გზების სამმართველომ მიიღო დეპეშა, რომლითაც იტყობინება, რომ 1 დეკემბერს ჯაჯურის უღელტეხილზე ორჯერ მოახდინეს საცდელი მატარებლის დაშვება. საცდელი მატარებელი იწონის 90 000 ფ. და შესდგება—154 ღერძისაგან. მატარებლის დაშვება წარმოებულ იქნა კუნცე კნორის მუხრუჭებზე. სისწრაფე შესრულებულ იქნა საკმაო სისწორით. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში სისწრაფეში ადგილი ჰქონდა მერყეობას.

დაშვების დროს ეჩნეოდა ორი მოვლენა: სამუხრუჭო ძალის მარაგის უქონლობა და მუხრუჭების უძლურება.

ორ დეკემბერს ესევე მუხრუჭები გამოცდილ იქნა ჰორიზონტალურ ხაზზე ღერძების ამდენივე რაოდენობით, ხოლო მატარებლის სიმძიმე უდრიდა 80.000 ფუთს. ამ შემთხვევაში გამოცდამ იგივე შედეგები მოიტანა, როგორც გერმანიის გზაზე.

### სადგურ თბილისის გადაკეთება

სალიანდაგო სამსახურის საარქიტექტურო განყოფილება ამუშავებს თბილისის სახაზო სადგურის გადაკეთების პროექტს.

ეს გამოწვეულია იმით, რომ სადგური ძალზეა დატვირთული საბარგო ოპერაციებით და იმით, რომ იგი ზაფხულში, როდესაც აგარაკებზე მიმავალ მგზავრთა რაოდენობა საგრძნობლად მატულობს, ვერ იტევს აუარებელ მგზავრებს.

პროექტის მიხედვით განზრახულია სატრანზიტო და პირდაპირ მგზავრთა მოძრაობის ოპერაციების გამოყოფა საგარაკო და ქალაქის [illegible] (იმავალ მგზავრობის ოპერაციებისაგან.

ამ პროექტის განხორციელებისათვის განზრახულია, საგარაკო ბილეთების და ბარგების მიღება გადატანილ იქნეს სადგურის ქვედა სართულში, საიდანაც გვირაბის საშუალებით გაუშვებენ მგზავრებს ბაქანზე. ამ გვარად სადგურის ოპერაციები განაწილებული იქნება ქვედა და ზედა სართულებს შორის.

## სახალხო კომისართა საბჭოში

**შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოებისათვის წიგნებისა და ბლანკების შესაძენად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში საჭირო თანხის გაღების შესახებ.

სახკომსაბჭომ დაავალა საქ. ს. ს. რ. ბიუჯეტის გადამსინჯავ სპეციალურ კომისიას გამოარკვიოს არის თუ არა მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ადგილობრივი ორგანოების საკანცელარიო ხარჯები გათვალისწინებული მიმდინარე წლის ადგილობრივი ბიუჯეტით. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ხარჯები საქართველოს ს. ს. რ. 1925|26 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის, ეთხოვოს ა|კ. სახალხო კომისართა საბჭოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში საჭირო თანხის გაღება.

**ცენტრალური პარტიული სკოლის ხარჯები**

ვინაიდან ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების თანახმად ცენტრალური პარტიული სკოლის სამეურნეო ხარჯები შეტანილი უნდა იქნეს ადგილობრივ ბიუჯეტში, დაევალა საქართველოს ს. ს. რ. ადგილობრივი ბიუჯეტის გადამსინჯველ კომისიას გამოარკვიოს აღნიშნული ხარჯების რაოდენობა და შეიტანოს იგი თბილისის აღმასკომის ხარჯთაღრიცხვაში.

**მიწათმოქმედების და განათლების სახ. კომისარიატების 25|26 წლ. ბიუჯეტის გარშემო**

წინადადება მიეცა მიწათმოქმედების და განათლების სახ. კომისარიატებს სასწრაფოდ წარმოადგინონ სახკომსაბჭოში თავისი მოსაზრებანი დამატებითი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების საჭიროების შესახებ ბიუჯეტის იმ პუნქტებში, რომელიც ბიუჯეტის სხვადასხვა ინსტანციაში გატარების დროს განსაკუთრებით იქნა შემცირებული, რის შემდეგ უნდა აღიძრას სათანადო შუამდგომლობა ა|კ. სახკომსაბჭოს წინაშე.

**ბრძოლა რქოსანი საქონლის ჭირთან**

რქოსანი საქონლის ჭირის გავრცელების გამო დაარსდა საგანგებო კომისია აღნიშნულ ჭირთან ბრძოლისათვის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის [illegible] (შინაგან საქ., ა|კ. ინსპექციის სახ. კომისრების და კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო-სავეტერინარო ს. საქართველოს წარმომადგენლის შემადგენლობით.

ეთხოვა ა|კ. სახ. კომისართა საბჭოს ასეთივე კომისიების აზერბეიჯანში და სომხეთში დაარსება.

## ქრონიკა

**ალმასკომში**

— მილიციის და საერთოდ საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვის საქმისათვის 1925—26 წ. ხარჯთ აღრიცხვით აღმასკომმა გადასდო 771,833 მანეთი.

— სახელმწიფო გადასახადების აღრიცხვებიდან თბ. მაზრიდან თბ. აღმასკომს წინასწარი გამოანგარიშებით მიმდინარე წელს შემოუვა 572.043 მან.

**სტატისტიკურ სამმართველოში**

— **სიმინდის მოსავალი.** საქ. ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს წინასწარი ცნობებით წელს საქართველოში მოვიდა 23 მილიონი ფუთი სიმინდი.

— **საქონლის რიცხვი.** მთელ აჭარაში, ცენტრ. სამმართველოს ცნობით, ამჟამად ირიცხება 54,413 სული საქონელი, მათ შორის 1649 ცხენი და 28,590 სხვილფეხა საქონელი.

**ჯანსახკომში**

— პასტერის ინსტიტუტის განყოფილებები წელს ჯანსახკომის მიერ გახსნილი იქნება ბათომში, ქუთაისში და აღმოსავლეთ საქართ. ერთ ერთ ქალაქში, ცოფიან ძაღლებისაგან დაკბენილთა საექიმოთ.

**მევენახეობა**

— **ამერიკული ლერწი.** საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასწყვიტა ამერიკული ვაზის ლერწის შესაძენათ მევენახეებს მისცეს სესხათ 36 ათასი მანეთი.

— **ნამყენი ვაზი.** გასულ წელს მთელ საქართველოში დამზადებული იქნა 1,402,000 ცალი ნამყენი ვაზი.

**სოც. დაზღვევის სამმართველოში**

— **რადიუმი სამკურნალოთ.** სოც. დაზღვევის სამმართველოს განზრახვა აქვს საზღვარგარეთ შეიძინოს 6.000 მანეთის რადიუმი დაზღვეულთა სამკურნალოთ.

— **სამშობიარო დახმარება.** სოც. დაზღვევის სამმართველოს დადგენილებით სამშობიარო დახმარება დაზღვეულებს მიეცემა ორსულობის 7 თვის შემდეგ.

— ტყუპი ბავშვების დაბადების შემთხვევაში, თუ ერთი მათგანი დაბადების შემდეგ მოკვდა, სამშობიარო (სამზითო) დახმარება გაიცემა ერთი სულის მიხედვით.

**წითელ ჯარში**

— 1905 წლის რევოლუციის 20 წლის თავზე მოხდება ქართ. სამხ. პოლიტკოლის კლუბის საზეიმო გახსნა.

— **სამხედრო ჟურნალი.** დეკემბრის ბოლო რიცხვებში ქუთაისში გამოვა სამხედრო-პოლიტიკური ჟურნალი ყოველთვიურად.

— **პოლიტხელმძღვანელები.** მე-4 ლეგიონთან არსებული [illegible] პოლიტხელების გადასამზადებელი კურსები დაამთავრა 13 მსმენელმა.

**კრებები და მოხსენებები**

— კონსტანტინე კაპანელის ავადმყოფობის გამო, მისი მოხსენება „ჰამლეტის პრობლემა", რომელიც დანიშნული იყო პარასკევს 4 დეკემბ., გადატანილია ხუთშაბათს, 10 დეკემბრისთვის.

### შემთხვევები

— **უეცარი სიკვდილი.** 2 დეკემბ. დღის 3 ს. რუსთაველის პრ. ოპერის თეატრის წინ უეცრად გარდაიცვალა მოქ. სერგო სოლომონის ძე არუთინოვი.

— ამავე დღეს, დღის 3 საათზე მე-10 სამილიციო რაიონის უფრ. მილიციონერი [illegible] სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ უეცრად გარდაიცვალა თავის ბინაზე (ფოთის ქ. № 28).

— **თავდასხმა.** 21 ნოემბ. ღამის 12 საათზე მოქ. ეკატერინე ტელიკაშვილს სოფ. ნორიოში თავს დაესხნენ 4 შეიარაღებული პირი გაძარცვის მიზნით, მაგრამ ატეხილ ყვირილზე განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანიათ და გაქცეულან, რის დროსაც ეკ. ტელიკაშვილს ერთ-ერთ მათგანისათვის წაურთმევია ნაბადი.

— **ბანდიტის მოკვლა.** 2 დეკემბერს დილის 11 ს. თიანეთის თემ-მილიციის შეტაკება მოუხდა კუკიელის ბანდასთან. სროლა გაგრძელდა ერთი საათი, რის დროსაც მოკლული იქნა ბანდიტი ლადო ოძიაშვილი. ბანდიტებმა კი მოკლეს კომკავშირის წევრი ოსია ყურშაკიშვილი.

— **ქურდობა.** 2 დეკემბ. საღამოს 10 ს. ლოტკინის ქ. № 33 ელენე ხედიანის ბინიდან მოიპარეს 200 მან. ნივთები.

— ამავე დღეს ჩერქ. ქ. № 61 გაქურდეს ბაგრატ მარტიროზოვის ბინა.

## მუშათა ცხოვრება

### წარმოებას ეს ნაკლი ხელს უშლის

(ა.-კავკ. რკ.-გზ. მთავ. სამ. სახწ. ადმინისტრაციის საყურადღებოთ).

დღეს ყველასთვის ცხადია, რომ წარმოების ასაწევად ყოველივე ღონეს ხმარობენ და ენერგიას ხარჯავენ. ჩვენი სახელმწიფო ორგანოები ამ დროს ა|კ. რკ.-გზ. მთავ. სამასალო საწყობში კი მუშებს მუშაობის დროს არაქვთ ის ხელსაწყო იარაღები, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ როგორც წარმოების ასაწევად, აგრეთვე მუშების ჯანის შესანარჩუნებლად.

ამას ხედავს ვისაც მოვალეობას იგი შეადგენს, მაგრამ არ ვიცი საქმის გულგრილობას მიეწერება ეს, თუ არ ცოდნას, და ის იარაღები მაინც არა გვაქვს. აქ მუშებმა რომ მეტი სარგებლობა მოუტანონ წარმოებას საჭიროა ხელსაწყოების შეძენა. ის წვრილმანი რამეც, რომელიც აქვე საწყობში შეიძლება გაკეთდეს, სულ იოლად უნდა მიეცეთ მუშებს. მათ არ მოუხდებათ ამა თუ იმ [illegible] რამის ძებნა, რომელზედაც რამოდენიმე ათეულ წუთებს კარგავს მუშა ყოველდღიურად. თვის ბოლოს ეს წუთები რამოდენიმე დღეებს შეადგენს. აქ საჭიროა იყოს გაკეთებული საკმაო რაოდენობით სხვადასხვა გვარი ლომები; უნდა გაკეთდეს ვაგონზე შესატან-ჩამოსატანად, ასაგორებელ-ჩამოსაგორებლად ბოჯკები და სხვ. უნდა მოეწყოს მე-6-ე განყოფილების სარდაფებისათვის ლარები (ორივე სარდაფზე), ტივის ხეების დასაცლელად შესაფერისი სვეტებით (ბოძები ეხლა კი უბრალო ფიცრებს და „სტოიკებს" ხმარობენ, რასაც ხშირი მორცხი მოსდევს). აუცილებლად საჭიროა სამხრეულები (თუ ტყავის არა, ნაბდის მაინც); აგრეთვე სათვალეები და პირის საფარი, ხელის ტაჯკები, ლაფათქები ტარით მორგებული, რამოდენიმე ცალი ზურგის კურტანი, მძიმე ტვირთისათვის დასაქაჩავი „ლებიოდკები" თოკები, ბლოკები, და კიდევ ბევრი სხვა.

აი ამ წვრილმანი რამეთი დარწმუნებული უნდა იყვეთ, რომ წარმოებას ბევრს შევმატებთ. დღეს კი გადმოცლის თუ დატვირთვის დროს მასალა ტყდება და იბნევა, ყველაფერ ამას ავსცდებით და სახელმწიფო საქონელსაც მეტი მოვლა ექნება. ყველა ეს საჭირო იარაღები უნდა ინახებოდეს ერთ ადგილზე, სადაც დილაობით მუშების დანაწილების დროს ყველა მიმართავენ და საჭირო ხელსაწყოს მიიღებენ, მათი ძებნა არ დასჭირდება მუშას. ის ჩქარა დაიწყებს მუშაობას.

ამაზე ამხ. ვ. კოჩნიევმა უნდა იზრუნოს ის მის მოვალეობას შეადგენს.

მუშკორი გვაზაურელი.

### მთავარ სახელოსნოების ადგილკომში

19 ნოემბერს მოწვეული იქნენ ყველა საამქროების დელეგატები და უბკავშირის დამზღვევ სალაროს თავმჯდომარე ამხ. ლაშქარაშვილი.

კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ბოლქვაძე.

კრებას დაესწრო 100-დე ამხანაგი.

საანგარიშო მოხსენება უბკავშირის დამზღვევ სალაროს მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. ლაშქარაშვილმა. მომხსენებელი შეეხო ჯამაგირების საკითხს ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთათვის, ფულადი დახმარების გაცემის წესს დაზღვეულ მუშებისათვის, რომლებსაც დაკარგული აქვთ შრომის უნარი, აგრეთვე შეუფარდა 1925 წლის მუშაობა წარსულ წლებსას. ამ საკითხის ირგვლივ შემოვიდა რამოდენიმე შეკითხვა. კამათში მიიღეს მონაწილეობა 6 კაცმა, რომლებიც შეეხენ საავადმყოფოში ავადმყოფების მიღების არა ნორმალურობას ექიმების მიერ არა ავადმყოფთათვის ჯეროვან ყურადღების მიქცევას გასინჯვის დროს, განსაკუთრებით კი კბილის ექიმებისას, რომლებიც ხშირად გაფუჭებულ კბილის მაგიერ გლეჯავენ საღ კბილსაც.

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ მუშებს უხდებათ საავადმყოფოში რიგში დგომა არა ნაკლებ 3—5 საათობით. რაც ცუდათ მოქმედობს ავადმყოფზე.

ყველამ კარგად ვიცით თუ რა არის ადამიანისათვის კბილები. კბილი არის პირველი წყარო ჯანმთელობისათვის და ეხლა, როცა მთელი ძალა-უფლება გადმოვიდა მუშა-გლეხთა ხელში, ეს საქმეც უნდა დავაყენოთ სასურველ დონეზე.

შემდეგ ინფორმაციული მოხსენება გააკეთა მთავარ სახელოსნოების ადგილკომის საორგ. საგანთ. მუშაობაზე ამხ. სუხიშვილმა, რომელმაც ხაზგასმით მიგვითითა ხელმძღვანელების უყოლობის გამო, მუშაობის სისუსტეზე, თუმცა ადგილკომთან არსებობს) რადიო წრე, სიმებიანი ორკესტრი, მომღერალთა გუნდი, დრამატიული დასები—რუსულ ქართულ ენებზე და სხვ.

კრებამ დაადგინა ეთხოვოს საუბნო კომიტეტს, რათა დაუყონებლივ იქნენ გამოგზავნილი პროფ. და პოლიტ. წრეების ხელმძღვანელები და მით მიეცეს საშუალება ადგილკომს პირნათლად შეასრულოს მისი მოვალეობა მისის წინაშე და ამით არ ჩაიაროს—მათმა კულტურულმა მუშაობამ.

ლევ. გუნია.

### № 1 გამასწორებელ სახლის თანამშრომლებში

(ქ. აღმასკომის საყურადღებოთ)

ხსენებულ გამსახლის თანამშრომლებს არ ეშველათ არაფერი, რათა მათთვის მოემატებინათ ხელფასი. ბევრჯერ ყოფილა შეპირება, მაგრამ მხოლოდ შეპირებად რჩებოდა და მეტი არაფერი. აქ მსახურობენ მეტნაწილად ცოლშვილიანები და როგორ შეიძლება, რომ 19 და 20 მანეთად მათ არჩინონ თავიანთი ოჯახები. ამაზედ უნდა იზრუნოს ადგილკომმა.

სხვათა შორის აღძრული იყო შუამდგომლობა (მას აქეთ უკვე ორი წელიწადია), რათა მათთვის მიეცათ ტრამვაის უფასო ბილეთები. მაგრამ ამასაც არ ეშველა არაფერი ამდენ ხანს.

სხვათა შორის აქ ძალიან მოისუსტებს კულტურული მუშაობაც. საჭიროა ამასაც ადგილკომმა მიაქციოს სათანადო ყურადღება და აამოძრაოს კულტძალები.

მუშკორი ა. დ. მათხოჯელი.

### გამოგზავნილი წერილებიდან

— **სახლის პატრონები მუშებს ყოველმხრივ ავიწროებენ.** ვერ იქნა და ვერ მოეღო ბოლო სახლის პატრონების თავხედობას. სახლის პატრონები მუშებს სახლს ან სრულიად არ აქირავებენ, ანდა თუ მიაქირავებს, ავიწროებენ მათ ყოველმხრივ. ბინის დაქირავების დროს მუშამ სახლის პატრონს თუ არ მისცა ხელწერილი მისთვის აუტანელ ქირის გადახდის შესახებ, მას სახლის პატრონი ახლოსაც არ მიიკარებს. თუ მუშა ხელწერილს მისცემს და ფულს კი ვერ გადიხდის, მაშინ სახლის პატრონი იკლებს მას ლანძღვა-გინებით და სხ.

საჭიროა ამათ თავხედობას ბოლო მოეღოს.

ბლ. ბეგ—ლი.

— **მოსალოდნელ უბედურების ასაცილებლად.** ავჭალის თემში მცხოვრები მოწაფეები განიცდიან დიდ გაჭირვებას მატარებლის მხრივ. მეტ წილს მოწაფეებისას სწავლა ეწყობათ 12 საათზე (ნაშუადღევს) და გაკვეთილების გათავების შემდეგ მატარებლს (ბორჯომისას) ვერ უსწრებენ, რომელიც 4 საათზე გადის თბილისიდან. ამიტომ მათ უხდებათ ღამის 9 საათის მატარებელ № 10-ით წამოსვლა, ეს მატარებელი ბაქანზე არ ჩერდება და მომავალი მოწაფეები კი ხტებიან ხოლმე გაქანებულ მატარებლიდან. შეიძლება ამას მოჰყვეს ვინმე მატარებლის ქვეშ. რკინისგზის ადმინისტრაციამ უნდა ააშოროს მუშების შვილებს უბედური შემთხვევა, მატარებლის ბაქანზე შეჩერებით.

ავჭ. წყალსადენის მუშა ლურსმანაშვილი.

### მადლობა გამსახლების უფროსს

მე-2-ე გამსახლს განაგებს ამხ. ხატიაშვილი. სულგრძელობა, თავაზიანად მოქცევა პატიმრებისადმი—არის ძირითადი თვისებანი ამ პატიოსან და კეთილ ადამიანისა. ბევრი კარგი მუშაკი ჰყავს მას გარშემო შემოკრებილი, როგორც მაგ. ჩირიკაძე და წერეთელი. უკანასკნელნი მუშაობენ სწრაფად და აუარებელ ხალხს უძღვებიან როგორც წესი და რიგია.

მარო—ჯან.

## მუშათა ქრონიკა

### რკინისგზის უბკავშირის სალაროში

— **სანატორიაში დაზღვეულების გაგზავნა.** რკ. გზ. უბნის დამზღვევმა სალარომ ჩრდილოეთ-კავკასიის სანატორიუმებში გაგზავნა ხუთი კაცი.

— **ავადმყოფების ახტალაში გაგზავნა.** რკ. გზის უბნის დამზღვევმა სალარომ ახტალაში გაგზავნა 29 დაზღვეული ავადმყოფი.

— **წყალტუბოშიც გაიგზავნენ ავადმყოფები.** რკ. გზ. უბნის დამზღვევმა სალარომ, წყალტუბოში გაგზავნა 100 კაცი სამკურნალოდ.

— **სალაროს სახსარი.** რკ. გზ-ს უბნის დამზღვევი სალარო არსებობს შემდეგი წყაროებიდან: რკინისგზა აძლევს 11 პროცენტს, სალარო აერთებს ძირითადი წევრების გარდა სხვადასხვა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც შედიან რკ. გზაში; აღნიშნულ დაწესებულებებიდანაც ეძლევა სალაროს განსაზღვრული პროცენტები.

— **მუშაობის შეცვლა.** ვინაიდან მუშა-მოსამსახურეები დილით სიარულით სცდებოდენ წარმოებას, ამისთვის რკ. გზ. უბნის დამზღვევმა სალარომ დილის მუშაობა გადაიტანა საღამოზე. ამ გვარად მუშაობა წარმოებს დღის 1 საათიდან, საღამოს შვიდ საათამდე.

— **ამბულატორიაშიაც ავადმყოფთ საღამოობით იღებენ.** რკ. გზ. უბნის დამზღვევმა სალარომ ამბულატორიაში ავადმყოფების მიღება დააწესა საღამოობით.

— **დამატებითი დახმარება.** მოხუცებულობით დავრდომილებს გარდა პირდაპირი დახმარებისა, რკ. გზ. უბნის დამზღვევი სალარო აძლევს ზედმეტ დახმარებას ფულით და ექიმობითაც.

— **უმუშევართა დაზღვევა.** რკ. გზის უბნის დამზღვევ სალაროს ჰყავს 195 უმუშევარი, რომლებიც არიან დაზღვეულნი.

— **უმუშევართა ორი ჯგუფი** რკ. გზ. უბნის სალაროში დაზღვეული უმუშევარნი განიყოფებიან ორ ჯგუფად: 1-ლი ჯგუფის დაზღვეული უმუშევარი იღებს თვიურად 15 მანეთს ხოლო მეორე ჯგუფის კი 10 მანეთს.

## წერილები სოფლიდან

### მ ც ხ ე თ ა

მცხეთის თემში სცხოვრობს 415 კომლი, თემში შედის 2 სოფელი, ს. წიწამური და თვით მცხეთა. მცხოვრებლები უმთავრესად მისდევენ სამსახურს ზაჰესში, ხოლო 20 პროც. მოსახლეობისა მისდევს მეურნეობას, სთესვენ პურსა და ქერს.

აღმშენებლობითი მუშაობა თემში ამ ბოლო დროს გამოცოცხლდა: შეკეთებულია კლუბის შენობა, გამოყვანილია წყარო, შეკეთებულია სამკითხველოს შენობა, გაუკეთდა რემონტი სასკოლო შენობას, რომლის შემოსავალი ამჟამად უდრის 110—120 მანეთამდე თვეში, გაკეთებულია წითელი სასადილოსათვის დიდი დარბაზი, კეთდება ამჟამად თემის ცენტრში ბაღი და უმთავრესი, რაც გაკეთებულია მცხეთის აღმასკომის მიერ,—ეს არის სინათლის გაყვანა ზაჰესიდან. მცხეთის დაწესებულებები, მთავარი ქუჩები, ბაღი, ზოგიერთი სავაჭროები და ბინები განათებულია ელექტრონის სინათლით თემში არსებობს 7 წლედი, სადაც სწავლობს 301 მოწაფე.

თემში არსებობს აგრეთვე ქოხ-სამკითხველო, რომელსაც ყავს თავისი საბჭო; წელს სამკ. შეძენილი იქნა 150 მან. სხვადასხვა ლიტერატურა; სამკითხველო ამჟამად განათებულია ელექტრონით.

თემში სულ არის 1654 მცხოვრებია. აქედან წერა-კითხვის უცოდინარია 1. 59

მცხეთაში აგრეთვე არსებობს კოოპერატივი, ბანკი, გლეხკომი ფოსტა-ტელეგრაფის განყ., საექიმო და სავეტერინარო პუნქტი. ამ ორგანიზაციების მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მცხეთის თემში აკრეფილია 98 პროცენტით; მცხეთის გლეხობას თავისი წილილი სახელმწიფოს სალაროში შეაქვს თავის დროზე და ძალდაუტანებლად.

გ. ნადარეიშვილი.

### ზარმაც მუშას მიწა არ უნდა მიეცეს

(ს. ტელეფა, შორაპნის მაზრა)

სოფ. ტელეფაში სცხოვრობს ერთი გლეხი ილიკო ზარნაძე. მას აქვს ერთი ქცევა-ნახევარი სახნავი მიწა, რომელსაც ადგილობრივმა მიწკომმა კიდევ მიუმატა რვაასი საჟენი სახნავი მიწა. აღნიშნული მიწები მას არცერთ წელს არ დაუმუშავებია, ყავს კარგი ხარები, მაგრამ მიწას არ ამუშავებს და სამაგიეროთ დაიდის ქირაში; მიჩვეულია ლოთობას და უსარგებლოთ ხარჯავს აღებულ ფულს. წელს კი მან საკუთარი ადგილები გაუშვა დაუმუშავებელი, საფონდო მიწა კი დაიმუშავა, ისიც მეზობლების რჩევა-დარიგების შემდეგ; რატომ უნდა გაცდეს ასეთი კარგი საყანე მიწა ზარმაცის ხელში და რატომ არ უნდა მიეცეს ის პატიოსან მუშაკს. საჭიროა თერჯოლის თემის საბჭომ მიაქციოს ყურადღება ამ მოვლენას.

გრ. ხირბილაძე.

### გაგვიხსენით წითელი სასადილო

(ასურეთის მუშკოოპის გამგეობის საყურადღებოთ)

ასურეთის გლეხკომმა ა|წ. თებერვლის დამლევს გახსნა სოფ. ასურეთში წითელი სასადილო. ამ სასადილომ იარსება 7 თვე და შემდეგ დაკეტილი იქნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სასადილოს გამგემ გაფლანგა ფული და სასადილო გაკოტრდა.

სოფ. ასურეთში სცხოვრობს 1500-მდე, სული, რომლებიც ვარდებიან კერძო ვაჭრის ხელში. ს. ასურეთში თითქმის ყოველდღე ახლო-მახლო სოფლებიდან მოდიან მშრომელი გლეხები, რომლებსაც ტყავს აძრობენ კერძო ვაჭრები.

საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს ასურეთის მუშკოოპის გამგეობამ და გახსნას წითელი სასადილო, რაც დიდ სარგებლობას მიუტანს მუშკოოპსაც და მშრომელ გლეხობასაც.

გლეხკორი ა. დ. მათხოჯელი.

### ზ უ ბ ი ს თ ე მ ი

(ლეჩხუმი)

ზუბის თემი ახლად გამოყოფილია. წინედ ეს თემი ეკუთვნოდა ოყურეშის თემს, მაგრამ ხალხის მოთხოვნილების გამო ზუბი გამოყოფილი იქნა ცალკე თემად.

ა. წ. ნოემბრის 21-ს მომხდა ხსენებულ თემში მისვლა კოოპერატივის რწმუნებულთა არჩევნების ჩასატარებლად. ჩემი ყურადღება მიიპყრო ფართო აღმშენებლობითმა მუშაობამ. თემში მოუწყვიათ სკოლა, კოოპერატივის შენობა, აფთიაქის ბინა, სამმართველო, ჰა და კიდევ დაუწყიათ ახალი ქვის სახლის გება. ადგილობრივ აღმასკომის თაოსნობით, ამ თემში მოკლე დროის განმავლობაში ბევრი რამ არის გაკეთებული. თუმცა თემს ბევრი რამ აკლია, მაგრამ ენერგიული მუშაობის შემდეგ შეიძლება ყოველთვის გამოსწორება, თუ ეს ყველაფრის გაკეთება არ შეუძლია, აქ საჭიროა ადგილობრივი ხელისუფლების ფართო დახმარება.

ვარაპი.

### გაგვიხსენით სკოლა

ორბელის თემში (ლეჩ. მაზრა), შედის ათი სოფელი და ირიცხება ათასამდე კომლი; ეკონომიურად შეძლებული თემია. ორბელის თემი მევენახეობა-მეღვინეობის რაიონია;

ამ თემის ცენტრში არსებობს ერთი ოთხწლედი, ხალხი ამით ვერ კმაყოფილდება და გლეხების შვილებს უხდება სხვა რაიონში 7—10 ვერსის მანძილზე სკოლაში სიარული ყოველდღე (ასეთია მანძილი სოფ. წილამიერსა და დ. ლაილაშის შორის).

ამ სამოსწავლო წლის დასაწყისში ლეჩხუმის მაზრის განათლების ინსპექცია შეგვპირდა სკოლის გახსნას რომელსაც უნდა ჰქონოდა შვიდწლედის უფლებები.

ხალხი აღტაცებით შეეგება ამ დაპირებას; ადგილობრივმა თემაღმასკომმა და სათემო გლეხკომმა მიიღეს ზომები შენობისა და მიწის გამოსანახავად და ყველაფერი მოაგვარეს.

მაგრამ დაპირება დღემდე არაა შესრულებული.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, და ასეთი დიდი თემი არ დარჩეს უსკოლოთ.

სიო.

### სოფ. ამილახვრიანთ-კარი

(დუშეთის მაზრა)

აქ წელს დაარსდა 4-წლიანი შრომის სკოლა; მის დაარსებას დიდი თანაგრძნობით შეხვდა ადგილობრივი გლეხობა, მაგრამ სიღარიბის გამო ვერაფრით ეხმარება მას; თემის აღმასკომიც ვერ აქცევს ჯერ-ჯერობით მას სათანადო ყურადღებას. საჭიროა კი, რომ ამ სკოლას ყურადღება მიაქციოს როგორც ცენტრალურმა, ისე სამაზრო ხელისუფლებამ და დაეხმაროს მას როგორც სასწავლო ნივთებით, ისე შენობის მოწყობაში.

დიდ მადლობას ვუძღვნით ბაზალეთის თემის აღმასკომს, რომელმაც გადმოგვცა „სინათლისაკენ" 2 ცალი, 5 რვეული და 1 ფანქარი, რეზო შაბურიშვილს და ქრისტეფორე ფირცხელაურს—20 რვეული და 3 ფანქარი, მეთუნუქე ანდრია რუსს—20 რვეული და 12 ფანქარი. იმედია ზემოხსენებულ ამხანაგებს სხვებიც გამოეხმაურებიან.

სკოლის გამგე ქეთო სხვიშვილი.

## სოფლის ქრონიკა

— **გლეხკომის მუშაობა.** ლაგოდეხის გლეხკომმა (სიღნაღის მაზრა) წელს ლაგოდეხზე 7 ვერსის დაშორებით მოაწყო კურორტი გოგირდის წყლებზე, რაც გლეხკომს დაუჯდა 4000 მან.

— **თოვლი რაჭაში.** ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში რაჭაში მოვიდა თოვლი ერთ არშინამდე.

— **ბრძოლა ნიაღვართან.** თელავში შეუდგნენ იმ ადგილების შეკეთებას საიდანაც მოსალოდნელი იყო ნიაღვარის მოვარდნა.

— **გორში** მოეწყო საერთო საცხოვრებელი ბინა მაზრიდან ჩამოსულ მუშაკებისათვის.

— **ბაღდადის რაიონში** (ქუთ. მაზრა) ახლო ხანში მოეწყობა სახალხო სასამართლოს სესიები.

— **სენაკის** აღმასკომმა დაადგინა ზემო-ჭალადიდში გახსნას აფთიაქი.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**კერძო პირთათვის მსხვილი მასშტაბის სამხედრო ტოპოგრაფიული რუკებისა და გეგმების ჩამორთმევის შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩამოერთვას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა კერძო მოქალაქეს ისეთი სამხედრო ტოპოგრაფიული რუკა და გეგმა, რომლის მასშტაბითაც ერთი დიუმი უდრის ორ ვერსსა და მეტს

2. ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს 1-ლ მუხლში აღნიშნული რუკა და გეგმა, ხოლო არა აქვს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევოლუციონური სამხედრო საბჭოს სპეციალური ნებართვა ამ რუკასა და გეგმის შენახვისა და გამოყენებისათვის, ვალდებულია, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, ჩააბაროს იგი: ქალაქ ადგილას—მაზრის სამხედრო კომისარიატს, ხოლო სოფლად—სათანადო თემის აღმასრულებელ კომიტეტს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამა მუხლში აღნიშნული დაწესებულებანი ჩაბარებულ გეგმებსა და რუკებს წარუდგენენ კავკასიის წითელდროშოვან არმიის შტაბს.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავეს, მაზრისა და ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, დაედება ადმინისტრატიული სასჯელი: ფულადი ჯარიმა ას მანათამდე და დაპატიმრება ვადით ორ თვემდე.

4. მეთვალყურეობა ამა დადგენილების შესრულებისათვის დაეკისრება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელიც განახორციელებს მას მუშათა და გლეხთა მილიციის მეშვეობით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯ უ ღ ე ლ ი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ა ლ. ს ი ლ ა რ ი ძ ე

1925 წ. დეკემბრის 3.

თბილისი-სასახლე.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

### პ ა რ ტ ი უ ლ ი

— სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომ. უჯრედთა ბიურო, ამით აცხადებს კომ. უჯ. წევრ-ამხანაგების საყურადღებოთ, რომ ა|წ. 4 დეკემბერს (პარასკევს) საღამოს 8 საათზე შესდგება სახ. უნ. კომ. უჯრედთა გაერთიანებული ღია კრება.

პარტ. დისციპლინის ძალით ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრებ სავალდებულოა.

გაერთ. კომ. უჯრედთა ბიურო.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ—განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ამხ. ჩარკვიანთან.

1) კალანდაძე ს. ფ., 2) ბულიანცი სედრაკ მისაკის ძე, 3) დოლიძე ვ. ა., 4) მჭედლიშვილი ვლადიმერ დავითის ძე.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ნოემბრის 30-ს თბილისში გარდაიცვალა მხცოვანი და დამსახურებული მწერალი

**სოფრომ მგალობლიშვილი**

კვირას, 6 დეკემბერს 12 საათზე, ხელოვანთა სასახლეში (ი. მაჩაბლის ქ. 13) გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რის შემდეგ ცხედარი გასვენებულ იქნება დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში დასაკრძალავად. ნ. 366—3—1

სახელმწიფო დრამა | შაბათს, 5 დეკემბერს
პირველად ამ სეზონში
ი. გედევანიშვილის
ს ი ნ ა თ ლ ე
1 აქტად
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის.
ქართ. საოპერო სტუდიის ორკესტრი. მონაწილეობს მთელი დასი
კ ვ ი რ ა ს, 6 დ ე კ ე მ ბ ე რ ს
ჰ ა მ ლ ე ტ
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის.
მონაწილეობს პირველი შემად. ქართ. საოპ. სტუდიის ორკესტრი
360 4—1

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 4 დეკემბერს
ზ. ფალიაშვილის ოპერა
დ ა ი ს ი
დანიელიანის, ვენაძის, ქუმსიაშვილის, ისეცკის და სხვათა მონაწ.
შაბათს 5 დეკემბერს
პ ი კ ი ს ქ ა ლ ი
ბარონკინას, პანკრატოვას, კიპარენკო-დამანსკის და ილინის მონაწ.
კვირას 6 დეკემბერს
გ. დოლიძის ოპერა
ქეთო და კოტე
ნ. 363 3—2

ა|წ. 8 დეკემბრიდან გაზ. „სპარტაკის" ნაცვლად
იწყებს გამოსვლას
ს. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ყოველდღიური გაზეთი
„ახალგაზრდა კომუნისტი"
ამხ. ვ. ბახტაძის რედაქტორობით
გაზეთს ექნება შემდეგი მუდმივი განყოფილებები:
1. სახელმძღვანელო ხასიათის წერილები კომკავშირის მუშაობის ყველა დარგიდან.
2. წერილები საბჭოთა-პარტიულ ამოცანებზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე, მუშათა საერთაშორისო მოძრაობაზე.
3. ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობა (კომუნისტური ახალგაზრდობის მოძრაობა და ჩვენი მტრები საზღვარ-გარეთ)
4. ჩვენი კავშირის ცხოვრება.
5. ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრება.
6. პიონერთა შორის.
7. საქართველოს სამეურნეო აღმშენებლობა.
8. მეცნიერება და ტეხნიკა, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ახალგაზრდობა და ხელოვნება, ქრონიკა და სხვა.
თვითეული კომკავშირელი, ყოველი ახალგაზრდა მუშა და გლეხ. ყოველი მოსწავლე, ახალგაზრდა და წითელარმიელი უნდა იწერდეს და კითხულობდეს თავის გაზეთს
„ახალგაზრდა კომუნისტს"
თვითეულმა ა. ლ. კ. კ. უჯრედმა, თვითეულმა კლუბმა, ქოხსამკითხველომ და სკოლამ უნდა გამოიწეროს
„ახალგაზრდა კომუნისტი"
ხელის მოწერის პირობები გაზეთის ფასი ქალაქათ და გარეთ..
1 თვით . . . . . 60 კაპ.
3 „ . . . . . 1—80 „
6 „ . . . . . 3—50 „
1 წლ. . . . . . 7 მან.
რედაქციის და კანტორის მისამართი: ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) № 30 მე 3-ე სართული ოთახი 36.
ხელის მოწერა სწარმოებს კანტორაში.
გაზეთის პირველი ნომერი გამოვა 8 დეკემბერს
ნ. 327 5—4.

# საშემოსავლო გადასახადი

ა. | კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში აცხადებს საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა საყურადღებოდ, რომ 1925 | 26 საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარში აღნიშნულ გადასახადის ძირითადი განაკვეთების გამოანგარიშება მთავრდება ა. | წ. 1 დეკემბრისათვის.

დაწესებულებათა, წარმოებათა და მეურნეობათა მიერ მუშების, მოსამსახურეების და პენსიონერებისაგან გამოანგარიშებული საშემოსავლო გადასახადის ძირითადი განაკვეთები უნდა დაკავებული იქნეს ნახევარი წლის განმავლობაში თანასწორ ნაწილებათ ჯამაგირიდან, პენსიიდან და სამუშაო ხელფასიდან ყოველ თვიურად, დაწყებული 1926 წ. იანვრიდან.

სავაჭრო და სამრეწველო წარმოებათა I—III ხარისხების მეპატრონენი სოფელ ადგილებში, დაბეგრილნი კატეგორია „ვ“ მიხედვით, აგრეთვე სოფელ ადგილებში მცხოვრები ხელოსნები და შინამრეწველები, დაბეგრილნი კატეგორია „გ“ მიხედვით, საშემოსავლო გადასახადის ძირითად განაკვეთებს იხდიან ორ ვადაში: პირველ ნახევარს არა უგვიანეს 1926 წლის 15 იანვრისა და მეორეს—15 მარტისა.

დანარჩენი მოქალაქენი იხდიან საშემოსავლო გადასახადის ძირითად განაკვეთებს ერთდროულად არა უგვიანეს 1926 წლის 15 იანვრისა. მოქალაქეებმა, რომლებსაც თავის დროზე არ ჩაბარდათ გადასახადის ფურცლები, უნდა მიმართონ ფინანსთა ინსპექტორის კანცელარიაში მათზე შეწერილი გადასახადის რაოდენობის გამოსარკვევად.

ა. | კ. ფინსახ. რწმუნებ. საქართ.—მგალობლიშვილი.
გადასახადთა განყოფ. მმართველი—ჯაფარიძე.
პირდაპ. გადას. ქ—განყოფ. გამგე—ბეჩირგანიშვილი.

ნ. 368 1—1

---

სეზონის საუკეთესო სურათი

# კოლიციის ბრჭყალებში

ბეტი კომპსონის მონაწილეობით

ადგილების ფასი: პირველი სეანსის დასაწყისამდე: პარტერი—35 კ. ამფიტეატრი—25 კ., მეოთხე ადგილები—20 კაპ.

აპოლო
ართისტრო
როლეი

ქლერე კოვენა

# ნიშანი Z ზერო

მთავარ როლში დუგლას ფერბენქს.

საუკეთესო ამერიკული სურათი.

ო-3 ნ. 254

---

ხელის მომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

**„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას**

რუსთველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

---

კბილის ექიმი

**ფ. თ. რატიან თუხარელისა**

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე დ. 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 19 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

---

# ფინანსთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ

# პირველი საგლეხო სესხის

მეხუთე და მეექვსე ტირაჟი მოხდება მიმდინარე წლის დეკემბერში სამარკანდში, უზბეკთა რესპუბლიკის სატახტო ქალაქში.

მოგებათა მეხუთე ტირაჟი დაიწყება 5 დეკემბერს, შემდეგ კი შესდგება მოგებათა მეექვსე ტირაჟი.

თითეულ ტირაჟის დროს გათამაშებული იქნება 22,160 მოგება საერთო ჯამით 250.000 მან.

**გათამაშებული იქნება**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10 | მოგება | 1.000 | მანეთიანი | თითო, |
| 150 | „ | 100 | „ | „ |
| 750 | „ | 50 | „ | „ |
| 2.500 | „ | 25 | „ | „ |
| 6,250 | „ | 10 | „ | „ |
| 12,500 | „ | 5 | „ | „ |

იმ ობლიგაციების ნომრების სია, რომლებსაც ხვდება მოგება, თავის დროზე გამოქვეყნებული იქნება გაზეთებში

---

კინო „აპოლო“ დღეიდან უთვალავ კინო „აპოლო“

მერი პიკფორდ ხელახლა ეკრანზე სეზონის საუკეთესო სურათში

# „ორი პრეტენდენტი“

7 ნაწილად

მერი პიკფორდ ერთ და იმავე დროს ასრულებს დედის და შვილის როლს.

უკრავს სიმფონიური ორკესტრი რამანოვსკის ხელმძღვანელობით.

**შენიშვნა:** 1 სეანსის დაწყებამდე პარტერი 35 კ. ამფიტეატრი 25 კ. 4 ადგილი 20 კ.

სოლო-მალუწსევი

364 1—1

---

# რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსული ლექსიკონის ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გრძელდება ხელისმოწერა პროფ. ი. აბულაძის შრომაზე

## „რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ ლექსიკონზე“

4 ტომათ

ლექსიკონი ხელისმომწერთ დაურიგდებათ 1926 წ. იანვრ. ნაკვეთობით. ვინც ა | წ. დეკემბრის დამლევამდის მოაწერს ხელს, იხდის ლექსიკონის საფასურად 14 მანეთს (თვიურათ 1 მ. 50 კ.), დაწესებულებები კი ღირებულებას არა ნაკლებ 50 პროც.

1926 წლის იანვრიდან ლექსიკონის ფასი გადიდებული იქნება.

ლექსიკონის გამომცემელი და ხელმძღვანელი თვით რედაქტორი პროფ. ი. აბულაძე.

ლექსიკონის გასავრცელებლად მოწვეულნი არიან პ სუხისმგებელი აგენტები, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში

პროვინციის ძველ აგენტებს ვსთხოვთ დაუყოვნებლივ გადმოგზავნონ მანდატები და გაასწორონ ანგარიშები.

მისამართი: რუსთაველის პრ. № 8.

ნ. 362—3—1 ტექნიკური მდივანი დავ. კასრაძე.

---

# განძის რაიონის

## ქ. თბილისში მცხოვრებთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 6 დეკემბერს, დილით კვირას დილის 10 საათზე, საქართველოს სოფლო სამეურნეო მუზეუმის შენობაში ჯორჯიაშვილის ქუჩა, № 5 (ყოფილი ბარიატინის ქ.), მოწვეულია განძის რაიონის, ქ. თბილისში მყოფ მცხოვრებთა კრება.

**დღის წესრიგი:**

1. მოხსენება საინიციატივო ჯგუფის.
2. განძის რაიონის კეთილ-მოწყობის მიზნით ხელმძღვანელ ორგანოს არჩევა და
3. მიმდინარე საკითხები.

**ვთხოვთ აუცილებლად დაესწრონ შემდეგ ამხანაგები:**

1. ზაქარაია ეფრემ, 2. დანელია მიშა ა. ძე, 3. დანელია ბაკო ბესოს ძე (კომბანკი), 4. მიშა პ. ძაგანია (ერკოოპი), 5. გრიშა თ. ძაგანია, 6. ბაახიები გრიგორ და ნიკოლოზი, 7. პატარაიები ბართლომე კირილე და შალვა, 8. ნიკოლავა ვანო, 9. ჯიქიები სერგო და ანთონ, 10. გაბუნიები სილოვან, გრიშა, ლეო და ქსენია, 11. ჭაჯაიები პეტრე და მელიტონ, 12. კორსავა ლევან, 13. ძაგანია ვიქტორ, 14. კუცია კონსტანტინე, 15. კეკელიები ექიმი (ვენეროლოგი) ბაგრატი და შალვა, 16. აბუნია პიტა (დიმიტრი), 17. დანელიები ჯუბე, შალვა, ისაკ და ნესტორ 18. ალშიბაია ჟორჟი, 19. სარჩიმელიები ალიოშა, ლევანი და სხვანი.

კრების მომწვევი ინიციატორები: 1. პ. დანელია, 2. ი. ბასილაია, 3. [illegible]

ნ. 366 3—1

---

# მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

## ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

ო—28

---

ახალციხის სამაზრო აღმასკომის კომუნალური განყოფილება

აცხადებს, რომ განყოფილების მიერ იცემა იჯარით (ყოფილ კიროშჩევის) ლუდის ქარხანა, რომელიც საჭიროებს ფრიად მცირე შეკეთებას, ყოველ გვარ საჭირო ქონებით.

იჯარით აღების მსურველმა უნდა მიმართოს კომუნალურ განყოფილებას ქ. ახალციხეში.

3—1 № 708 კომუნალური განყოფილება.

---

# — ცეკავშირი —

შტაბის ქუჩა № 4,6

## მიღებულია

სამაგიდო კალენდარები დიდი და პატარა ფორმატისა (ფაბრიკა „სვეტოჩი“. ყოფ. კირხნერისა).

სახელმწიფო დაწესებულებებს—საგანგებოთ დაკლებულ ფას ზ ი. გარეშე ქალაქების შეკვეთა სრულდება ფოსტის საშუალებით

2—1 ნ. 296

---

კვირას ა. წ. 6 დეკემბერს 11 ნახ. საათზე მიწსახკომის სასოფლო სამეურნეო მუზეუმის შენობაში (ჯორჯიაშვილის ქ. № 4) მიწა-ტყის კავშირის სამეცნიერო ტექნიკუმის ძალთა სექცია მართავს

# აგრონომ ჭავჭავაძის მოხსენებას

„რაციონალური ორგანიზაცია თანამედროვე პირობებში საცდელ მუშაობისა კახეთის საცდელ სადგურზე“.

პას.-მგებელ მდივნის მაგიერ—კოპალეიშვილი.

1—1 369

---

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლო აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი ამით აცხადებს, რომ 7 დეკემბერს 1925 წ. დილის 12 საათზე და აბაში № 1828, 1829 მუხრანის ბაზარში საჯარო ვაჭრობით გაყიდის გიორგი მამასახლისოვის მოძრავ ქონებას: საწერ მაგიდას, ხალიჩას, სასწორს, დაფნას და სხვ. შეფასებულს 200 მანეთად, ანტონ უჩანეიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 25 ნოემბრის 1925 წ. თარიღით, № 5638 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

706 1—1

---

კრებული „ჩვენი მეცნიერების“ რედაქცია მის მიერ 1 დეკემბრ. 1925 წ. გაცემულ ყველა მანდატებს აცხადებს გაუქმებულად და წინადადება ეძლევათ ყველა აგენტებს დაუყოვნებლივ წარმოადგინონ ძველი მანდატები და ანგარიშები. საჭიროა გამოცდილი აგენტი სათანადო პასუხისმგებლობით.

რედაქტორ-გამომცემელი—ან. შილაკაძე.

709 1—1

---

საქართ. „ავიაქიმი“-ს ვერცხლის ლატარიის

ა | წ. 2 დეკემბ. მოგ. ბ ლ

## ბილეთების ნომრების

# სია

მოგებ. ნივთ. 10 მ. ღირ. მოგებ. ნივთ. 15 მ. ღირ.

| სერია | ნომერი | სერია | ნომერი | სერია | ნომერი |
|---|---|---|---|---|---|
| 135 | 120 | 074 | 239 | 117 | 012 |
| 085 | 073 | 0 2 | 207 | 092 | 064 |
| 118 | 242 | 040 | 280 | 032 | 074 |
| 018 | 288 | 006 | 336 | 081 | 479 |
| 073 | 119 | 059 | 125 | 010 | 346 |
| 045 | 457 | 035 | 323 | 114 | 273 |
| 062 | 239 | 067 | 182 | 032 | 237 |
| 013 | 479 | 024 | 341 | 043 | 043 |
| 022 | 115 | 021 | 180 | 084 | 313 |
| 001 | 467 | 052 | 202 | 053 | 281 |
| 063 | 036 | 038 | 414 | 061 | 087 |
| 070 | 404 | 017 | 235 | 019 | 356 |
| 041 | 290 | 039 | 392 | 002 | 303 |
| 049 | 312 | 041 | 284 | 025 | 141 |
| 040 | 240 | 053 | 022 | 052 | 466 |
| 085 | 019 | 032 | 009 | 043 | 233 |
| 053 | 160 | 064 | 108 | | |
| 002 | 296 | 052 | 294 | | |
| 049 | 355 | 094 | 301 | | |
| 109 | 202 | 117 | 172 | | |
| 015 | 007 | 034 | 248 | | |
| 018 | 386 | 068 | 847 | | |
| 102 | 469 | 118 | 225 | | |
| 018 | 282 | 042 | 217 | | |
| 0 3 | 434 | 006 | 433 | | |
| 046 | 093 | 096 | 445 | | |
| 044 | 469 | 0 0 | 276 | | |
| 114 | 344 | 119 | 065 | | |
| 113 | 002 | 005 | 097 | | |
| 061 | 445 | 053 | 440 | | |
| 093 | 228 | 100 | 027 | | |
| 081 | 177 | 108 | 107 | | |
| 085 | 018 | 010 | 255 | | |
| 027 | 435 | 094 | 333 | | |
| 044 | 239 | 077 | 411 | | |
| 0 1 | 136 | 091 | 097 | | |
| 079 | 105 | 041 | 288 | | |
| 020 | 197 | 011 | 331 | | |
| 106 | 291 | 090 | 121 | | |
| 064 | 463 | 095 | 356 | | |
| 112 | 171 | 074 | 291 | | |
| 112 | 114 | 069 | 081 | | |
| 061 | 248 | 059 | 141 | | |
| 116 | 117 | 038 | 240 | | |
| 093 | 018 | 014 | 381 | | |
| 038 | 079 | 002 | 171 | | |
| 019 | 421 | 135 | 137 | | |
| 050 | 035 | 074 | 372 | | |
| 090 | 253 | 032 | 156 | | |
| 071 | 277 | 066 | 242 | | |
| 022 | 058 | 100 | 032 | | |
| 068 | 255 | 068 | 010 | | |
| 020 | 296 | 015 | 497 | | |
| 094 | 429 | 049 | 307 | | |
| 019 | 214 | 090 | 303 | | |
| 021 | 118 | 050 | 042 | | |
| 113 | 015 | 002 | 345 | | |
| 015 | 469 | 033 | 381 | | |
| 011 | 460 | 029 | 396 | | |
| 006 | 221 | 088 | 132 | | |
| 084 | 045 | 061 | 343 | | |
| 110 | 215 | 010 | 039 | | |
| 018 | 283 | 043 | 093 | | |
| 077 | 461 | 029 | 404 | | |
| 005 | 303 | 101 | 079 | | |
| 015 | 033 | 026 | 072 | | |
| 106 | 276 | | | | |
| 094 | 350 | | | | |
| 004 | 072 | | | | |

მოგებული ნივთების მიღება შეიძლება 4 დეკ. ა/წ. საქართველოს, „ავიაქიმი“-ს ცენტრალურ საბჭოში ორი თვის განმავლობაში.

საორგანიზაციო კომისია.

1—1
ნ. 368

---

НА НОВОЕ БОЛЬШ. ИЗДАНИЕ — ОТКРЫТА ПОДПИСКА ЦЕНТРОСОЮЗА — НА НОВОЕ БОЛЬШ. ИЗДАНИЕ

# „БИБЛИОТЕКА РОЗНИЧНОЙ ТОРГОВЛИ“

## 52 ВЫПУСКА.

„Библиотека розничной торговли“ будет состоять из 52 отдельных выпусков по 4—5 печатных листов каждый.

„Библиотека розничной торговли“ начнет выходить в свет с 15-го декабря т. г. еженедельными выпусками и будет закончена изданием не позднее 1-го декабря 1926 года

„Библиотека розничной торговли“ предназначается для работников низовой кооперации, госрозницы и частных предприятий, а также для товароведных курсов, школ, библиотек и всех интересующихся вопросами розничной торговли в СССР.

„Библиотека розничной торговли“ редактируется специалистами, и каждый выпуск представляет собою вполне законченное оригинальное произведение, впервые появляющееся на русском языке и имеющее чисто практическое значение.

В „Библиотеке розничной торговли“ принимают участие опытные специалисты-сотрудники Центросоюза, ВСНХ, Сельскосоюза, Всекобанка, НКРКИ, Всекопромсоюза, Наркомвнуторга, МСПО, Аркоса, Плодовинсоюза, Маслоцентра и др., а также практические и научные сотрудники и специалисты-товароведы различных учебно-просветительных и исследовательских учреждений и институтов.

**Издание печатается на лучшей белой бумаге, в плотной обложке.**

**15 р.** ПОДПИСНАЯ ЦЕНА НА ВСЕ 52 ВЫПУСКА „БИБЛИОТЕКИ РОЗНИЧНОЙ ТОРГОВЛИ“ **15 р.**

**ДОПУСКАЕТСЯ РАСРОЧКА:**

| | |
|---|---|
| При подписке | 6 руб. |
| К 1-му апреля 1926 г. | 5 „ |
| К 1-му августа 1926 г. | 4 „ |

**Об'явления и публикации торгового и производственного характера для печатания в одном или нескольких выпусках, по указанию заказчика, принимаются по следующему тарифу:**

| | |
|---|---|
| 1 ая страница позади текста | 100 руб. |
| пол. „ „ „ | 50 „ |

При заказе на помещение об'явления в нескольких выпусках предоставляется скидка по соглашению.

**Проспект издания высылается безплатно по первому требованию.**

**Подписку, подписные суммы и заказы на об'явления направлять по адресу:**

Москва. Б. Черкасский пер., дом № 17 Главной Конторе газеты „КООПЕРАТИВНЫЙ ПУТЬ“, телефон № 1-91-07.

Б. 345 3-1

---

# ა.-კავკ. ს.ს.რ. რკინის გზათა სამმართველო

აცხადებს, რომ 1925 წ. 16 დეკემბერს დღის 12 საათ. ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოსთან (თბილისი სადგურის ქ. № 1) დანიშნულია

# შერეული შეჯიბრება

ტვირთების და ბარგის დატვირთვა-გადმოტვირთვის, ვაგონების დაცვის და აგრეთვე სადგურ შორაპანში შავი ქვის გადატვირთვის, ტვირთის დაცვის და მგზავრებისათვის ტვირთმზიდავთა დახმარების საქმეების იჯარის წესით გასაცემად ამიერ-კავკ. რკინის გზის სადგურებზე

1926 წ. 31 დეკემბრამდე

იმ პირთ, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ზემოხსენებულ სამუშაოების საიჯარო შეჯიბრებაში, სამმართველოსთან არსებულ საგანგებო ყუთში უნდა ჩაუშვან სალერბო გადასახად გადახდილი წერილობითი განცხადება, ან პირადათ გამოცხადდენ შეჯიბრებისათვის დანიშნულ დროს პირად მონაწილეობის მისაღებად ფასების გასაცხადებლად. წერილობითი განცხადებები უნდა ჩაუშვან სამმართველოს მე № 201 ოთახის კარებთან ჩამოკიდებულ ყუთში; განცხადებებზე დაწერილი უნდა იყოს: „ამიერ კავკასიის რკ. გზათა სამმართველოს სატვირთო სამუშაოთა იჯარით გასაცემად დანიშნულ შეჯიბრებისათვის“

განცხადებებში სახელის, მამის სახელის და გვარის გარდა, აღნიშნული უნდა იყოს სამუშაოთა ფასები (როგორც მაგ. დატვირთვის, გადმოტვირთვის, ბარგის დაცვის, გადატვირთვის დახარისხების და შავი ქვის გადატვირთვის ფასები).

განცხადებას თანდართული უნდა ჰქონდეს ქვითარი რკინის გზის ერთ-ერთ სალაროში წინასწარი საწინდარის შეტანის შესახებ, რომელიც უნდა უდრიდეს საერთოდ დაწესებულ იჯარის ძირითადი თანხის 10 პროც. ამ საწინდარის ძირითადი თანხა საქართველოში დაწესებულია 5.000 მან. აზერბეიჯანში 5.000 მან., სომხეთსა და ნახიჩევანში 3.000 მანეთი. ძირითადი საწინდარი შეტანილი იქნება ხელშეკრულების დადების შემდეგ.

ეს პირობები სავალდებულოა აგრეთვე იმ პირთათვის, რომელნიც გამოცხადდებიან შეჯიბრებაში პირადათ მონაწილეობის მისაღებათ. მათ გამოცხადებისთანავე უნდა წარმოადგინონ სათანადო ქვითარი ზემო აღნიშნულ საწინდარის შეტანის შესახებ.

შეჯიბრებითი წესით გასაცემი სამუშაოები დანაწილებულია ცალკე რესპუბლიკებში საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში ნახიჩევანითურთ.

ცალკე პირებსა და დაწესებულებებს შეუძლიანთ განცხადება შეიტანონ სამუშაოების ორ რესპუბლიკაში წარმოების შესახებ. და აგრეთვე მთელს ხაზზე რისთვისაც მათ შესაფერისად უნდა გაადიდონ საწინდარის რაოდენობაც.

საწინდარი უკანვე არ დაუბრუნდებათ იმ პირთ, რომელთაც სამუშაო მიეცემათ.

დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე უქმეების გარდა (საექსპლოატაციო სამსახურის საბარგო სადგურების ნაწილში დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე). განცხადებების შემოტანის უკანასკნელ დროთ დანიშნულია 1925 წლის 16 დეკემბრის 12 საათი. პირადათ მონაწილეობის მიმღებ პირთა გამოცხადების უკანასკნელ დროთ დანიშნულია 1925 წლის 16 დეკემბრის 12 საათი და 30 წუთი.

ამ.-კავკ. რკ. გზათა გამგეობის თავმჯდომარე ივანოვი.
საექსპლოატაციო სამსახურის უფროსის მაგ. ტოლსტონოგოვი.

ნ. 367 2—1

---

**ექიმი გ. მ. ფხალაძე**

კანისა და ვენერიული სნეულებან (სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართ: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეხო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ.

---

**ექიმი გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38.

---

**ექიმი ი. ი. გერიშვილი**

გენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მახეილის შესახვევი № 8.

---

**დავკარგე** დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 814, სერაფიონ მდივნიშვილის სახელზე. ჩ. გ. 711 1—1

**დავკარგე** ღვინის სარდაფის პატენტი № 630 და № 3384 მე-3 ხარისხის, გიგო კარაპეტისძე ადამოვის სახელზე. ჩ. გ. 707 1—1

**დავკარგე** სამხედრო აღრიცხვის ქაღალდი და პასპორტი მეირსებ მალალაშვილის სახელზე. ჩ. გ. 704 1—1

**დავკარგე** სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 1158 იაკობ დვალის სახელზე. ჩ. გ.

**დავკარგე** პარტბილეთი № 495903, ვასილ მიხეილის ძე მაკალათიას სახელზე. ჩ. გ. 711 1—1

**დავკარგე** ლომბარდის ქვითარები № 7580, და № 7694 ელისაბედ ეგაძისა ასული სახელზე. ჩ. გ. 709 1—1

**დავკარგე** დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 27551 და კავშირის წიგნაკი № 2044 ზახარ გალუსტოვის სახელზე ჩ. გ. 705 1—1

**დავკარგე** მეტრიკული მოწმობა ცენტ. მმაჩ. განყ. 1924 წ. № 2606 ფილიპე ფოცხვერიას სახელზედ. ჩ. გ. 710 1—1

**დავკარგე** უვადო პასპორტი სურათიანი, პირადობის მოწმობა და წლიური სამგზავრო ბილეთი იოსებ გიორგის ძე ქურდიანის სახელზე. ჩ. გ. 703 1—1